

ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი



№ 1

1998

ქ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი

Д З И Е Б А Н И

Журнал
Центра археологических исследований
Академии наук Грузии

D Z I E B A N I

The Journal
of the Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences

№ 1

1998

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
ქ531

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო:

ოთ. ლორთქიფანიძე (თავმ.), აკად. წ/კორ.
თ. მიქელაძე, პროფ. ი.მ.დ.
ვ. ლიჩელი, ი.მ.დ.
ირ. ჯალალანია, ი.მ.დ.
ვ. ჯაფარიძე, ი.მ.კ.
ბ. კვიციანი, ი.მ.კ.
ბ. ნარიშკინი, ი.მ.კ.
ბ. ჯორბენაძე, ი.მ.კ.
ბ. მინდიაშვილი, ი.მ.კ.
დ. ბაქრაძე (პასუხისმგებელი მდივანი)

სარედაქციო კოლეგია: ოთ. ლორთქიფანიძე (მთ. რედაქტორი)
დ. კაჭარავა
ბ. კვიციანი
ბ. ნარიშკინი
ბ. ჯორბენაძე

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 1998

შინაარსი
Содержание
Contest

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი	5
Центр археологических исследований	6
Centre for Archaeological Studies	7

ს ტ ა ტ ი ე ბ ი
С т а т ь и
a r t i c l e s

1. ლ. ქორქია. აფიანჩას მღვიმური ნასახლარის პალეოეკოლოგიური ინტერპრეტაცია	9
Л. О. Коркия. Палеоэкологическая интерпретация пещерной стоянки Апианча (Абхазия) (Резюме)	13
L. Korkia. Paleoecological Interpretation of the Apiancha Site (Abkhazia) (Summary)	13
2. ა. ორჯონიკიძე. აღრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I	15
А. З. Орджоникидзе. Поселение раннебронзовой эпохи Дигашени I (Резюме)	21
A. Ordshonikidze. Frühbronzezeitliche Siedlung Digascheni I (Zusammenfassung)	21
3. ნ. შანშაშვილი. კვირისტავის სემიოტიკური სტატუსი მტკვარ-არაქსელთა დაკრძალვის რიტუალში	23
Н. Э. Шаншасchwili. Семиотический статус пряслица в погребальном ритуале куро-аракской культуры (Резюме)	26
N. Schanschaschwili. Semiotische Status der Wirtel im Grabritual der Kura-Arakh-Kultur (Zusammenfassung)	26
4. ზ. მახარაძე. ენეოლით-აღრებრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი პრობლემა	27
З. Э. Махарадзе. Некоторые проблемы кавказской археологии эпохи энеолита – ранней бронзы (Резюме)	32
Z. Makharadze. Some Problems of the Caucasian Archaeology of Aeneolithic-Early Bronze Age (Summary)	32
5. ლ. სახაროვა. კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ	34
Л. С. Сахарова. Еще раз о типологии колхидского топора (Резюме)	40
L. Sakharova. Once again about the typology of the Colchian Axes (Summary)	41
6. რ. პაპუაშვილი. გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის	43
Р. Э. Папуашwili. К относительной хронологи колхидских могильников эпохи поздней бронзы – раннего железа (Резюме)	55
R. Papuaschwili. Zur vergleichenden Chronologie der spätbronze – früheisenzeitlichen kolchischen Gräberfelder (Zusammenfassung)	56
7. ნ. სულავა. საქართველოში აღმოჩენილი მძივისებურკალიანი ფიბულები	58

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

დაარსდა 1977 წლის 28 აპრილს.

ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია (განყოფილებები): ძველი ქვის ხანის, პრეისტორიული არქეოლოგიის, ანტიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიის, კლასიკური არქეოლოგიის, არქეოლოგიის თეორიისა და ინფორმატიკის, არქეოლოგიის ისტორიისა და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის, ინტერდისციპლინარული კვლევის, არქეოლოგიურ ძეგლთა დოკუმენტაციისა და პუბლიკაციის, მშენებლობებზე არქეოლოგიური სამსახურის, რესტავრაციის, ფიქსაციის და ლაბორატორიული მომსახურების.

ცენტრს აქვს რეგიონალური ფილიალები (განყოფილებები) – დმანისში, სიღნაღში, ქუთაისში, მესტიამში; არქეოლოგიური მუზეუმები – თბილისისა და ვანში.

კვლევის უმთავრესი სამეცნიერო მიმართულებებია: ადამიანის თავდაპირველი განსახლება საქართველოსა და კავკასიაში; პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკა და სოციალური ორგანიზაცია; მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა-განვითარება; ქართველთა ეთნოგენეზი და არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური იდენტიფიკაცია; ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია; ბრინჯაოსა და ადრეკინის ეპოქების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია; პირველი ქართული სახელმწიფოების (იბერია, კოლხეთი, ლაზიკა) კულტურა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები, მათი ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაციებთან; შუა საუკუნეების ქალაქები, ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა, კულტურული ურთიერთობანი კავკასიის ხალხებთან (იხ. „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (1977-1996). ბიბლიოგრაფია“, თბილისი, 1997.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მზადდება საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეული, არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხა, არქეოლოგიური ატლასი, ძველ ქართულ და ანტიკურ-ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული დასახლებული პუნქტების არქეოლოგიურ-ტოპოგრაფიული ცნობარები, განმარტებითი ტერმინოლოგიური ლექსიკონი, მრავალენოვანი არქეოლოგიური ლექსიკონი, ბიბლიოგრაფიულ-ანალიტიკური ცნობარები.

იქმნება არქეოლოგიური არტეფაქტების საძიებო სისტემები.

არქეოლოგიურ ძეგლთა ტექნიკური მეთოდებით ძიების მიზნით მიმდინარეობს აეროფოტოგადაღებათა დეშიფრაცია.

ინტერდისციპლინარული კვლევის განყოფილების ლაბორატორიებში ხორციელდება სპექტრული, მიკრორენტგენულ-სპექტრული, ქიმიური, მეტალოგრაფიული ანალიზები; დათარიღება არქეომადანიტური მეთოდით; პალეობოტა-

ნიკური, პალეოზოოლოგიური, პალეოდენდროლოგიური და ტრასოლოგიური კვლევები; არქეოლოგიური ნივთების კონსერვაცია.

ცენტრის არქეოლოგიური ექსპედიციები ახორციელებენ საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებსა და მის ფარგლებს გარეთ (ჩრდილო კავკასიაში – დაღესტანში, მოსკოვში – დონის მონასტერში). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა დიდ მშენებლობათა ზონებში, სადაც რეგულარულად მუშაობდნენ ცენტრის ექსპედიციები. აღმოჩენილია, შესწავლილია და საქართველოს სახელმწიფო საცავებში დაბინავებულია ათასობით არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის ძველი საქართველოს ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშები. სულ 1977-1997 წლებში ცენტრის ექსპედიციებმა რეგულარული გათხრებით, საცდელი თხრილებითა თუ ზედაპირული დაზვერვებით გამოავლინეს, აღრიცხეს და შეისწავლეს 700-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლი (ნასოფლარები და ნაქალაქარები, სამაროვნები, წარმოების ნაშთები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, ნაეკლესიარები და ნამონასტრეკები). ეს ძეგლები ასახავენ საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანის და საზოგადოების ისტორიის ყველა ეტაპს – ძველი ქვის ხანის სულ ადრეული პერიოდიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. ცენტრის ექსპედიციების გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების ნუსხა უმნიშვნელოვანესი წყაროა როგორც საქართველოს არქეოლოგიური რუკისათვის, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქების დემოგრაფიული სიტუაციის რეკონსტრუქციისათვის. რიგ ექსპედიციებს აქვთ სტაციონარული ბაზები სპეციალიზირებული ბიბლიოთეკებით, არქეოლოგიური მასალების საცავებით, ფოტოთეკებით (თბილისში, სიღნაღში, დუშეთში, კავთისხევში, ნასტაკისში, სიონში, ხაშურში, წალკერში, ჩითახევში, მესტიამში, ვანში).

ცენტრს აქვს ბიბლიოთეკა უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისა და ძველი ისტორიის დარგში.

ცენტრი გამოსცემს პერიოდულ და სხვა სერიალებს, პრეპრინტებს.

რეგულარულად ატარებს ყოველკვირეულ სემინარებს (არქეოლოგიურ საუბრებს); ყოველწლიურ სესიებს საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებზე; პერიოდულ საერთაშორისო სიმპოზიუმებს თემაზე: „შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის და არქეოლოგიის პრობლემები“ (ვანი) და „კავკასია ევრაზიის ადრეულითონების ხანის კულტურათა სისტემაში“ (სიღნაღი).

ცენტრი თანამშრომლობს (ლიტერატურის, ინფორმაციისა და სპეციალისტების გაცვლა, ერთობლივი ექსპედიციები, კოლოქიუმები

და პუბლიკაციები) ყოფილი საბჭოთა კავშირის, ევროპის, აშშ-სა და კანადის სამეცნიერო ცენტრებთან.

ცენტრში ფუნქციონირებს არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სპეციალობის საატესტაციო საბჭო.

ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ

Основан 28 апреля 1977 г.

Центр имеет следующие структурные единицы (отделы): археологии каменного века, преисторической археологии, античной и средневековой археологии, классической археологии, теории и информатики, истории археологии и аналитической библиографии, междисциплинарных исследований, документации и публикации археологических памятников, организации археологических исследований на новостройках, реставрации, фиксации и лабораторного обслуживания.

Центр имеет региональные филиалы (отделения) в Дманиси, Сигнахи, Кутаиси, Местия; археологические музеи в Тбилиси и Вани.

Основные научные направления: первоначальное расселение человека на территории Грузии и Кавказа; экономика и социальная организация первобытного общества; зарождение и развитие производящей экономики; этногенез грузин и этническая атрибуция археологических культур; металлургия бронзы и железа; хронология эпох бронзы и раннего железа; культура, социально-экономические структуры первых грузинских государств (Иберии, Колхиды, Лазики) и их взаимоотношения с цивилизациями Ближнего Востока и Средиземноморья; города, ремесленное производство и торговля средневековья, культурные взаимоотношения с народами Кавказа (см. Центр археологических исследований. 1977-1996. Библиография. Тбилиси, 1997).

В Центре археологических исследований в настоящее время готовится Многотомник археологии Грузии, Свод археологических памятников, Археологический атлас, топографическо-археологические справочники об упоминаемых в древнегрузинских и антично-византийских источниках населенных пунктах, Толковый словарь археологической терминологии, Многоязычный археологический словарь, библиографическо-аналитические справочники.

Ведется работа по созданию поисково-информационных систем археологических артефактов.

С целью поиска археологических памятников производится дешифрация аэрофотоснимков.

В лабораториях отдела междисциплинарных исследований производятся спектральный, микрорентгено-спектральный, химический, металлографический анализы; археоманитное датирование; палеоботаническое, палеозоологическое, палеодендрологическое и трасологическое исследования; консервация археологических предметов.

Экспедиции Центра ведут археологические исследования во всех регионах Грузии и за ее пределами (на Северном Кавказе, в Москве – в Донском монастыре). Особо большие работы были проведены в зонах новостроек, где регулярно работали экспедиции Центра. Открыты, изучены и помещены в государственные хранилища Республики тысячи археологических памятников, среди которых имеются высокохудожественные образцы древнего искусства Грузии. Всего в 1977-1997 гг археологические экспедиции Центра археологическими разведками, регулярными раскопками и т.д. выявили, зафиксировали, исследовали свыше семисот памятников (поселений, могильников, фортификационных сооружений, древних церквей и монастырей, остатков производства) всех периодов истории человечества – от самых ранних стадий каменного века до позднего средневековья. Свод выявленных экспедициями Центра археологических материалов имеет исключительно важное значение как для составления общей археологической карты Грузии, так и для реконструкции демографических ситуаций в различные периоды.

Ряд экспедиций имеют стационарные базы со специализированными библиотеками, хранилищами археологических материалов, фототеками (в Тбилиси, Сигнахи, Душети, Кавтисхеви, Настакиси, Сиони, Хашури, Цагвери, Читахеви, Местия, Вани).

Центр располагает библиотекой, в основном, по археологии и истории Грузии и Кавказа.

Центр издает периодические и другие сериалы, препринты.

Проводятся регулярные еженедельные семинары (Археологические беседы), ежегодные научные сессии об итогах полевых археологических исследований и на тему "Гру-

зия во всемирном культурно-историческом процессе"; периодические международные симпозиумы "Проблемы древней истории и археологии Причерноморья" (в Вани) и "Кавказ в системе культур эпохи ранних металлов Евразии" (Сигнахи).

Центр сотрудничает (обмен литературой, информацией и специалистами, совме-

стные экспедиции, коллоквиумы и публикации) со странами бывшего СССР, Европы, США, Канады.

В Центре функционирует диссертационный Совет, где защищаются диссертации в области археологии и этнографии.

CENTRE FOR ARCHAEOLOGICAL STUDIES

Established on 28 April 1971.

The structural units (departments) of the Centre are: Stone Age, Neolithic-Bronze, Classical and Medieval archaeology, Archaeological Theory and Informatics, Regional Archaeological service, Interdisciplinary Studies, Archaeological Explorations on New Construction sites, History of Archaeology and Analytical Bibliography, Graeco-Roman Archaeology, Documentation and Publication of Archaeological Relics, Recording and Restoration.

The Centre has regional branches in Dmanisi, Signaghi, Kutaisi, and Mestia; archaeological museums in Tbilisi and Vani.

The main scientific directions of research are: the original settlement of man in Georgia and the Caucasus; the economy and social organisation of primitive society; the inception and development of manufacturing economy; the ethnogenesis of the Georgians and ethnic identification of archaeological cultures; bronze and iron metallurgy; chronology and periodization of the Bronze and Early Iron Ages; the culture, socio-economic and political structures of the first Georgian states (Iberia, Colchis, Lazica) and their relations with the Near Eastern and Mediterranean civilisations; medieval cities, artisanship and trade, cultural relations with the peoples of the Caucasus (see "Centre for Archaeological Studies (1977-1996). Bibliography". Tbilisi, 1997).

Under preparation at the Centre for Archaeological Studies are: a multi-volume Archaeology of Georgia, a list of archaeological remains, archaeological atlas, archaeological-topographic references of settlements mentioned in Old Georgian and Classical and Byzantine sources, an explanatory terminological dictionary, multilingual archaeological dictionary, bibliographic-analytical references.

Systems of search for archaeological artefacts are being developed.

Aerial photographs are being deciphered with the purpose of searching for archaeological remains by technical methods.

Laboratories of the department of interdisciplinary studies conduct spectral, microrentgen-spectral, chemical, and metallurgical analyses, dating by the archaeo-magnetic method; palaeobotanic, palaeozoological, palaeodendrological and trace studies; conservation of archaeological objects.

The archaeological expeditions conduct field-archaeological explorations in various regions of the republic and beyond its borders (North Caucasus, Moscow). Particularly large-scale work has been carried out in the zones of construction, where expeditions of the Centre conduct studies regularly. Thousands of archaeological relics have been brought to light, studied and placed in the state depositories of Georgia, including highly-artistic remains of Georgian culture. In all in 1972-1997 the expeditions have identified, recorded and studied over 700 archaeological relics through regular excavations, exploratory digs and surface observations (ancient sites of villages or towns, burial grounds, remains of metallurgical manufacture, fortifications, sites of former churches and monasteries). These remains cover all stages of the history of human society on Georgian territory – from the Early Bronze Age to the Late Middle Ages. The archaeological remains, brought to light by the Centre, constitute a major source both for an archaeological map of Georgia and for the reconstruction of the demographic situation of various periods on Georgian territory.

Some expeditions have permanent bases with specialized libraries, depositories of archaeological materials, photo-collections (in Tbilisi, Signaghi, Dusheti, Kavtiskhevi, Nastakisi, Sioni, Khashuri, Tsaghveri, Chitakhevi, Mestia, Vani, Salkhino, Pichori).

The Centre has a library, mainly on the archaeology and ancient history of Georgia and the Caucasus.

The Centre issues periodical and other serials, and preprints.

Regular weekly seminars (archaeological conversations), annual sessions on the field-archaeological studies, periodical international symposia on the themes: "The Problems of the Ancient History and Archaeology of the Black Sea Littoral" (Vani) and "The Caucasus in the

System of the Eurasian Early-Iron Age Cultures" (Sighnaghi) are held.

The Centre cooperates with the scientific centres of the former Soviet Union, Europe, the USA and Canada.

A republican Scientific Certifying Council functions at the Centre at which theses are defended in archaeology and ethnography.

ლიანა ქორქია

აზიანას მღვიმური ნასახლარის პალეოეკოლოგიური ინტერპრეტაცია

საქართველოს ცალკეულ მხარეთა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვის ხანის პერიოდთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემების შესწავლის საქმეში, როგორცაა ადამიანის განვითარება, მისი საყოფაცხოვრებო საქმიანობა და იმ ბუნებრივი და პალეოეკოლოგიური პირობების აღდგენა, რომელშიდაც პირველყოფილ ადამიანს და ადამიანთა საზოგადოებას უხდებოდა ცხოვრება. ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე გარკვეული პასუხი შეიძლება გაგვცეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ.

აფხაზეთის მრავალფეროვანი ბუნება დიდი ხანია იქცევდა მკვლევართა ყურადღებას. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, „აფხაზეთი შემკული არის ყოველითა ნაყოფიერებითა და ჰავით, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენახი, პირუტყვი, ნადირნი, ფრინველნი და თევზი მრავალნი“ [1, გვ. 171].

აფხაზეთი მთავორიანი მხარეა, იგი უმთავრესად მოიცავს ბზიფის, კოდორისა და ფსოუს აუზებს. საკვლევ რაიონში მდ. კოდორს შედარებით ვიწრო და გრძელი ზოლი უკავია და თავისებური ბუნებრივი და კლიმატური პირობებით ხასიათდება [2, გვ. 171]. მაღალი მთები და ზღვისპირა მდებარეობა განაპირობებს ნალექების სიუხვეს, განსაზღვრავს აქაურ ბუნებრივ პირობებს.

მდ. კოდორი, თავისი მრავალრიცხოვანი წყალუხვი შენაკადებით და მდიდარი იხტიოფაუნით, წარმოადგენს აფხაზეთის მდინარეთა მთავარ არტერიას,

ლ. მარუაშვილი აფხაზეთს ყოფს ორ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ქვერაიონად, დასავლური ანუ ბზიფის, აღმოსავლური ანუ კოდორის ხეობა [2, გვ. 118]. ბუნებრივი ლანდშაფტური პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია საქართველოს სხვა დანარჩენი რეგიონებისაგან და ეს განსხვავება უწინარეს ყოვლისა განპირობებულია მისი ზღვისპირა მდებარეობით და ვერტიკალურ-ზონალური განაწილების კანონს ემორჩილება.

აფხაზეთის ტერიტორია გეოლოგიური აგებულებისა და გეომორფოლოგიური თავი-

სებურებიდან გამომდინარე ორ მთავარ რეგიონად ნაწილდება. მთიანი აფხაზეთი – მაღალი და საშუალო მთიანი მრავალსართულიანი ლანდშაფტითა და მეზოფილური მცენარეულობით. აფხაზეთის მთიანეთი - ერთსართულიანი, ბორცვიანი, ნოტიო სუბტროპიკული კლიმატითა და მნიშვნელოვნად გარდაქმნილი ლანდშაფტით.

მთიან აფხაზეთს უკავია დასავლეთ კავკასიონის სამხრეთული ფერდობის შედარებით ვიწრო ზოლი (30-60 კმ), მოქცეული მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემსა და შავი ზღვის სანაპიროს ბორცვიან რელიეფს შორის. მისი კლიმატი ზღვის ჰაერის მასების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, გამოირჩევა ატმოსფერული ნალექების სიუხვეთ (1400-1700 მ), მაღალი შეფარდებითი სინოტივით და დადებითი საშუალო წლიური ტემპერატურებით (+5,8-8,4°). ოპტიმალური კლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელია კოლხეთის ტიპის მეზოფილური მდიდარი ფლორის არსებობისათვის, იქ სადაც ტყიანი სარტყელი 1800-1900 მ სიმაღლემდე აღის, ალპური კი 2700-2900 მ-დე.

კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილის სიახლოვის გამო შავი ზღვის ნაპირთან აფხაზეთის მთისპირეთის ზოლი ვიწრო გორაკ-ბორცვიანი რელიეფით არის წარმოდგენილი, რომლის გეომორფოლოგიური თავისებურება განსაზღვრულია ტექტონიკური ხასიათით და გეოლოგიური აგებულებით. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცარცის კარბონატული ქანები, მრავალრიცხოვანი კარსტული მღვიმეებით. სწორედ აფხაზეთის მთისწინა ზონაში წარმოქმნილმა კარსტულმა მღვიმეებმა და რბილმა კლიმატმა (სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა 13-15⁰-ის ფარგლებში მერყეობს), იარაღის დამზადებისათვის საჭირო გეოლოგიური ქანების და კაჟიანი კირქვების არსებობამ განსაკუთრებული, ოპტიმალური პირობები შექმნეს პალეოლითეული ადამიანის დასახლება-ცხოვრებისათვის.

მკვლევართა აზრით, კოდორის ხეობის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მეოთხეული პერიოდის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. პლეისტოცენში მას დიდი ცვლილებები არ განუცდია. თუმცა მდ. ბზიფის აუზისაგან გან-

სხვაგვებით, მდ. კოდორის აუზის რელიეფი გამოირჩევა უფრო მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობით, თანამედროვე მყინვარების გავრცელებით და ძველი გამყინვარების მნიშვნელოვანი განვითარებით [3, გვ. 118].

საგულისხმოა, რომ დღემდე სადისკუსიოდ რჩება საკითხი მდ. კოდორის აუზის მეოთხეული გამყინვარების ჯერადობისა და მათი მაქსიმალური საზღვრების გავრცელების შესახებ. ლ. მარუაშვილის [4, გვ. 1-12] აზრით, ძველი მყინვარები, რომლებიც მთავარი ქედიდან საკენისა და გვანდრას ხეობებით ჩამოდიოდნენ, ვერ აღწევდნენ მათი შეერთების ადგილამდე, თავდებოდნენ ზღვის დონიდან 1400-1500 მ სიმაღლეზე. გამყინვარების უფრო დიდ მასშტაბებზე მიუთითებენ ვ. გრომოვი, ე. შანცერი, პ. ფედოროვი და სხვები, რომლებიც ძველი გამყინვარების არსებობის ნიშნებზე მიუთითებენ "წებელდის მორენის" სახელწოდებით. დ. წერეთელი [9, გვ. 77-88] მდ. კოდორის აუზში ვიურმული გამყინვარების უტყუარ ნიშნებს აღნიშნავს 720-840 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე. ხოლო უფრო ადრეული გამყინვარების ნიშნებს (რისული, მინდელური) 530-550 და 1150-1200 მ აბსოლუტურ სიმაღლეებზე. მიუხედავად ასეთი ფართო მასშტაბური გამყინვარებისა მდ. კოდორის აუზის ქვემო წელში მთელი მეოთხეული პერიოდის განმავლობაში, შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო დღევანდელ ლანდშაფტურ პირობებთან ახლო მდგომი ბუნებრივი გარემო, [9, გვ. 77-88] რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ქვის ხანის ადამიანის მჭიდრო განსახლებისათვის ზემოთ აღნიშნულ რეგიონში (სვანთა - სავანე, ცივი მღვიმე, ქვაჭარა, ჭამპალი, აფიანჩა და სხვა.).

ძეგლთა ასეთი სიმრავლე ნათელყოფს ს. ზამიატინის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ კავკასიის ტერიტორიაზე ფართოდ მოქმედ ტექტონიკურ მოძრაობებს და გამყინვარების სხვადასხვა საფეხურებს, მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია პირველყოფილ ადამიანთა განსახლებასა და მათ საყოფაცხოვრებო საქმიანობაზე [7]. ჩამოთვლილ ძეგლთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა აფიანჩას მღვიმეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. კომპლექსურად გააზრებული გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, პალეონტოლოგიური, პალინოლოგიური და სხვა შესწავლის შედეგები ნათელს ჰყენს იმ ეკოლოგიურ სამყაროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მუსტიედან ნეოლითური ეპოქის ჩათვლით.

აფიანჩის მღვიმე მდებარეობს მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე, მისგან ხუთიოდე კი-

ლომეტრის დაშორებით, სოფელ წებელდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთა აფიანჩას სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 450 მ სიმაღლეზე.

მღვიმე განვითარებულია ადაგუას ხევის მარჯვენა მხარეზე ფსკერიდან დაახლოებით 5-10 მ სიმაღლეზე, მღვიმის ძირში აფიანჩასა და ადაგუას მთებს შორის მდებარეობს მდ. კოდორისაკენ მერიდიანულად მიმართული 200-300 სიგანის დახშული, მშრალი დეპრესიული ხევი ტალღურ-ბორცვოვანი რელიეფით, რომელიც ზოგ ადგილას ამოვსებულია ფერდობებიდან ჩამოტანილი დელუვიური მასალით, აქვე შეიმჩნევა არა ერთი, დახშული კარსტული სასულე. ადაგუას ხევი ტეხილ-საფეხურებიანი ზედაპირით ეშვება კოდორის ხეობაში. გარდატეხის საფეხურში ადგილი აქვს კარსტული წყლების ზედაპირულ გამოსვლებს, ხშირად საკმაოდ დიდი დებიტებით. მსგავსი პროცესები შეინიშნება აგრეთვე ადაგუასა და აფიანჩას ფერდობებზეც [4, გვ. 1-12].

მღვიმის წინა ფართობზე ალუვიური ნალექების არსებობა უნდა მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ ახლო გეოლოგიურ წარსულში ადაგუას, ამჟამად მშრალ დეპრესიაში გაედინებოდა მდინარე. ამრიგად არ არის გამორიცხული, რომ აფიანჩას კარსტულ მღვიმეში მცხოვრებ ადამიანებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლად არა მარტო კარსტული წყაროებით, რომელთა არსებობა ახლო გეოლოგიურ წარსულში უტყუარი ნიშნებით არის დადასტურებული, არამედ ადაგუას მდინარის ზედაპირული ნაკადითაც, რომელთა გარეშეც პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, რამეთუ საცხოვრებელი ადგილის შერჩევა მისი არსებობის აუცილებელი პირობა იყო.

აფიანჩის მღვიმის ფართობი 276 მ²-ია, კარგადაა განათებული და მშრალია, შესასვლელი თაღისებური აქვს და პირიქით მოქცეულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ყურადღებას იპყრობს მღვიმის მარცხენა მხარეზე მდებარე, ჭერიდან ჩამოვარდნილი დიდი ზომის კირქვის ლოდი. იგი თითქოსდა ქმნის ბუნებრივ ზღუდეს საკმაოდ დიდ ფართობზე და იცავს მღვიმეში მცხოვრებ ადამიანებს გარეპირობების უარყოფითი გავლენისაგან. ამავე დროს მღვიმის ფენები უფრო კარგადაა შემონახული და გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული. მ. თვალჭრელიძის აზრით, ლოდი ჩამოვარდნილია თაღური ნაწილიდან მღვიმეში ჯერ კიდევ ადამიანის იქ დასახლებამდე.

ადამიანის ცხოვრების კვალი მხოლოდ მღვიმის გადახურულ ნაწილშია წარმოდგ-

ენილი, კულტურული ფენები კარგადაა შემონახული. მასალა ნაკლებად პატიინიზირებულია, წყლის მოქმედების კვალი არ ეტყობა, რაც განპირობებული უნდა იყოს აგრეთვე, იმ გარემოებითაც, რომ მღვიმის თავზე ხშირი მცენარეულ საფარია, რომელიც მეტნაკლებად არეგულირებს და ანელებს წყლის მოქმედებას, შესაბამისად კირქვების გამოფიტვას და ნაპრალების გაფართოებას, რის გამოც წვიმიანობის დროსაც კი მღვიმე მშრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მღვიმეში არსებული ნალექები ძირითადად წარმოდგენილია ლოდნარი მასალით - სხვადასხვა ზომის კირქვის შრეებრივი ნატეხებით და მათი შემავსებელი თიხნარით. მღვიმური ნალექების ამგები მასალის ზომების, მათი განაწილების, განლაგებისა და ფერის თავისებურებებიდან გამომდინარე ლითოლოგიურად გამოიყოფა ცხრა ჰორიზონტი; შრეების ლითოლოგიური მახასიათებლები იცვლება, როგორც ვერტიკალურ ჭრილში, ასევე მღვიმის სიღრმისაკენ.

მღვიმური ნალექების ამგები კლასტური მასალის პეტროგრაფიული შედგენილობა გვიჩვენებს, რომ იგი ავტონტონურია და წარმოქმნილია მღვიმის კედლებისა და ჭერის დაშლის შედეგად.

სტერილური შრეები განსხვავებით კულტურული ჰორიზონტებისაგან მექანიკური გამოფიტვის პროდუქტს წარმოადგენს, ხოლო კირქვის ღორღოვანი მასალა პირველად ბუნებრივ განლაგებაში იმყოფება. რაც შეეხება მღვიმის სიღრმისაკენ ლითოლოგიური შედგენილობის ცვალებადობას, იგი დაკავშირებულია მხოლოდ მიკროკლიმატთან.


მ. თვალჭრელიძის აზრით, კულტურულ შრეებში ორგანული წარმოშობის ფოსფორის არაერთგვაროვანი შემცველობა მიუთითებს, სხვადასხვა პერიოდებში ადამიანის მიერ მღვიმის ათვისების განსხვავებულ ინტენსიობაზე.

აფიანჩის მღვიმეში წლების მანძილზე ჩატარებული გათხრების შედეგად დადგინდა ფენათა სტრატეგრაფიული განლაგება. გამოიყო ცხრა ლითოლოგიური ჰორიზონტი, რომელთაგანაც ორი მე-6-8 - სტერილურია, შვიდი კი კულტურული ფენის შემცველი. მოპოვებული მასალა ცალკეული იარაღთა ტიპებისა და მათი დამუშავების ტექნიკის მიხედვით მიეკუთვნება ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდს და შეიცავს: ნეოლითური, მეზოლითური და ზედაპალეოლითური ეპოქების სხვადასხვა შესატყვის ინვენტარს, აგრეთვე ქვედაპალეოლითის - მუსტიერული ხანის მასალასაც. როგორც ჩანს, აფიანჩელი ადამიანი ათასწლეულების მანძილზე არ ტოვებს ერთხელ საცხოვრისად არჩეულ მღვიმეს და გარკვეულ ზნეჩვეულებებზე დამყარებული ანვითარებს თავის კულტურულ დონეს თუ საყოფაცხოვრებო საქმიანობას. თუ როგორ კლიმატურ, ლანდშაფტურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და არსებობისათვის ბრძოლა აფიანჩას უძველეს ბინადარს, ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პალინოლოგიური ანალიზის მონაცემები.

აფიანჩის მღვიმის ჰოლოცენური ნალექები, რომელიც მეზოლითურ და ნეოლითურ ეპოქებს განეკუთვნება (1-3) პალინოლოგიურად შესწავლილ იქნა ნ. კლაპატოვსკაიას მიერ [6, გვ. 198-221] პლეისტოცენური კი, რომელიც პალეოლითის სხვადასხვა ეპოქის შესატყვისია (შრეები (მე-4, 5, 6, 7, 8, 9), შეისწავლა ი. შატილოვამ [8, გვ. 298-301]. მათგან მე-9 ჰორიზონტი მუსტიეს ეპოქით თარიღდება და გეოქრონოლოგიური შკალის მიხედვით კარაგანდის დასასრულს შეესაბამება [9, გვ. 77-88]. იმდროისათვის მღვიმის გარშემო არსებული მცენარეულობა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ძირითადად ფოთლოვანი ჯიშებით: მურყანი, თხმელა, ცაცხვი, მუხა, კაკალი, რცხილა, თხილნარი [6, გვ. 198-221]. ჰიფსომეტრიულად უფრო ზემოთ განლაგებული უნდა ყოფილიყო წიფლის ტყეები. ტყის ქვედა სართულებსა და ველებში ხარობდნენ გვიმრები და ბალახოვანი მცენარეები: ავშანი, ნაცარქათამა, რთულყვავილოვნები, ტუჩყვავილოვნები, წიწვოვანები, მიხაკისებრი და სხვა. ბალახოვანი მცენარეთა მტვრის შემადგენლობა პალინოლოგიურ სპექტრში შეადგენს 80%-ს.

წიფლის ტყის ზემოთ წიწვოვანი მცენარეები ბინადრობდნენ, თუმცა ეს ტყეთა მასივები მღვიმიდან საკმაოდ შორს უნდა ყოფილიყვნენ განლაგებულნი, რადგან სპექტრებში ნაძვისა და სოჭის მტვრის ერთეული მარცვლები გვხვდება. მე-7 ჰორიზონტში, რომელიც გვიანი პალეოლითის ადრეულ სტადიას, ანუ გეოლოგიურად ახალი ეპქსინის დასაწყისს შეესაბამება პალინოკომპლექსის შედგენილობა რამდენადმე იცვლება. ფოთლოვანი მცენარეების რაოდენობა (ცაცხვის გამოკლებით) მცირდება, სამაგიეროდ იზრდება წიწვიანების - ნაძვის, სოჭისა და ფიჭვის შემადგენლობა.

წიფლის ტყის ზემოთ წიწვოვანი მცენარეები ბინადრობდნენ, თუმცა ეს ტყეთა მასივები მღვიმიდან საკმაოდ შორს უნდა ყოფილიყვნენ განლაგებულნი, რადგან სპექტრებში ნაძვისა და სოჭის მტვრის ერთეული მარცვლები გვხვდება. მე-7 ჰორიზონტში, რომელიც გვიანი პალეოლითის ადრეულ სტადიას, ანუ გეოლოგიურად ახალი ეპქსინის დასაწყისს შეესაბამება პალინოკომპლექსის შედგენილობა რამდენადმე იცვლება. ფოთლოვანი მცენარეების რაოდენობა (ცაცხვის გამოკლებით) მცირდება, სამაგიეროდ იზრდება წიწვიანების - ნაძვის, სოჭისა და ფიჭვის შემადგენლობა.



ნახ. 1. პალინოლოგიური დიაგრამა აფიანჩას მღვიმის ნალექებიდან

მე-6 კორიზონტში და მეხუთე კორიზონტის ქვედა ნაწილში (25970± 650 წელი. ნახ. 1) ამ მცენარეთა მტვრის რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება: ნაძვისა აღწევს 41%, ხოლო სოჭისა - 25%-ს. უნდა ვივარაუდოთ რომ, პალინოსპექტრებში მთავრი კომპონენტების შემცველობის მერყეობა გამოხატავს იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა მცენარეულ საფარში მე-7, მე-6 და ნაწილობრივ მე-5 კორიზონტის დაღეჭვის დროს. როგორც ჩანს ამ პერიოდში წიწვოვანი ტყეების არეალი გაფართოვდა და მათი გავრცელების ქვედა საზღვარი ბევრად უფრო ახლო აღმოჩნდა მღვიმესთან, ვიდრე დროის ადრეულ მონაკვეთში.

ამ კორიზონტების პალინოლოგიური კომპლექსების შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები ასახავენ კლიმატის გამკაცრებას (აცივებას), რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ახალ ეპსინურ დროში. ტემპერატურის დაცემასთან ერთად დასავლეთ საქართველოში სინოტივის მომატებაც უნდა მომხდარიყო, რაც მუქწიწვოვანი ტყეების სარტყლის დაწევას გამოიწვევდა.

მე-5 კორიზონტის ზედა ნაწილში (17300± 500 წელი) და მე-4 კორიზონტში (14600 ± 350 წელი) პალინოკომპლექსის შემადგენლობა კვლავ იცვლება, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ზედაპალეოლითის შუა პერიოდიდან წიწვოვანი მცენარეთა ჯგუფები ჰიფსომეტრულად ისევ იწევენ მაღლა, მთიან ზონაში. მოგვიანებით, პოლოცენურ ეპოქაში ი. შატილოვას აზრით, მეზოლითსა (9960 ± 160 წელი) და ნეოლითში (9690±160 წელი) ჰავის გათბობამ და ტენიანობის მომატებამ, გამოიწვია ფართოფოთლოვანი ტყეების ფართობის გაზრდა და აფიანჩას მღვიმის შემოგარენის ტყით შემოსვა. ამ პერიოდის ჰავა პალეოლითთან შედარებით კიდევ უფრო თბილი იყო და უახლოვდებოდა თანამედროვე ბუნებრივ პირობებს.

აფიანჩას მღვიმის პლეისტოცენურ ნალექებში კაუჩის ინვენტართან ერთად წარმოდგენილი იყო პალეონტოლოგიური ნაშთებიც. იგი შესწავლილია ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩისა და ა. ვეკუას მიერ. მასალის უმეტესი ნაწილი ძუძუმწოვრებს განეკუთვნება და შეიცავს

მღვიმური დათვის, მურა დათვის, კეთილშობილი ირმის, გარეული ტახის, დომბის და პირველყოფილი ხარის ნაშთებს. აქვეა მოპოვებული ფრინველთა ძვლები: გარეული მტრედი, კავკასიური როჭო და სხვა.

აქ აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფაუნისტური მასალის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ იქ მცხოვრებ ადამიანთათვის მონადირეობა საარსებო საშუალებათა მოპოვების ერთერთი წყარო იყო. აქვეა მოპოვებული თევზის – შავიზღვისპირეთის ორაგულის, წვერასა და კალმახის ძვლის ფრაგმენტები [7, გვ. 1-9].

აფიანჩას მღვიმის პოლოცენურ ნალექებში აღმოჩენილი ფაუნისტური ნაშთები (კეთილშობილი ირემი, გარეული ღორი, მურა დათვი, შველი, არჩვი); ამფიბიებისა და თევზის ძვლის ფრაგმენტები, ქვისა და ძვლის ინვენტარი (ხელშუბისპირები, სადგისები, შურდულის ქვები, ხეჩაქუჩები, ჰარპუნები, ისრისწვერები, ანკესები, საწაფები, წალღისებური ფორმის იარაღები) ნათელიყოფენ, რომ აქ ცხოვრობდა მონადირეთა, მეთევზეთა გარკვეული ჯგუფი, რომელთა საქმიანობაში შემგროვებლობასაც გარკვეულ როლი ენიჭებოდა.

ამრიგად, მრავალფენიანი აფიანჩას მღვიმის ერთიანობაში გააზრებული არქეოლოგიური, პალეინოლოგიური, პალეონტოლოგიური, გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და სხვა მეთოდებით შესწავლის შედეგები ნათელს ჰყენს იმ ეკოლოგიურ სამყაროს, რომელშიც უხდებოდა არსებობისათვის ბრძოლა პირველყოფილ ადამიანს - გვიან მუსტიედან ნეოლითური ეპოქის ჩათვლით.

Л. О. Коркия

ПАЛЕОЭКОЛОГИЧЕСКАЯ ИНТЕРПРЕТАЦИЯ ПЕЩЕРНОЙ СТОЯНКИ АПИАНЧА (АБХАЗИЯ)

(Резюме)

Апианча находится в бассейне р. Кодори вблизи села Цебельда. В пещере выделяются 9 литологических горизонтов - 5 культурных слоев, два стерильных.

Характер орудий и состав костей из отложений пещеры Апианча свидетельствует о ведущей роли охоты в жизни ее древних обитателей. Определенное место занимало рыболовство (кости черноморского лосося) и собирательство.

Отложения пещеры были изучены и палинологическим методом. Выделенно три этапа.

1. Мустье - (гор. 9) Характеризуется теплым климатом. В нижнем поясе гор. преобладают листовенные формации, которые лишь на высоких уровнях сменяются хвойными лесами.

2. Второй этап охватывает раннюю стадию верхнего палеолита и первую половину среднего (7-5 гор.). В это время происходит снижение температуры. Хвойные леса спускаются почти до уровня пещеры.

3. Третий этап объединяет вторую половину среднего (5 гор.) и финальную стадию верхнего палеолита (4 гор.), поздний мезолит (2, 3 гор.) и ранний неолит (1 гор.). Наступает потепление и вновь распространяются сосново-широколиственные леса.

Итак, комплексное изучение памятника проливает свет на экологические условия существования древнего человека и позволяют правильно уяснить его взаимоотношение с окружающей средой.

L. Korkia

PALEOECOLOGICAL INTERPRETATION OF THE APIANCHA SITE (ABKHAZIA)

(Summary)

Apiancha is located in the basin of the Kodori river near village Tsebelda. Nine lithological horizons can be distinguished in the cave; there are five cultural and two sterile layers.

Nature of the implements and composition of the bones from deposits indicate to the leading role of hunting in the life of its ancient inhabitants. Fishing (bones of Black Sea salmon) and gathering were common too.

Deposits of the cave were as well examined with palynological method. Three different stages can be identified:

1. The Mousterian Age (horizons 9,8) - can be described as a warm climate period. In the lower Mountain zone, leaf-bearing formations are prevailing, that are changed to coniferous woods only on higher levels.

2. Includes Early stage of Upper Palaeolith and first half of Middle Palaeolith (horizons 7-5). Temperature is decreasing. Coniferous woods are almost down to the cave level.

3. Combines the second half of the Middle (horizon 5) and a final stage of the Upper Palaeolith (horizon 4), Late Mezolith (horizon 2,3) and Early Neolith (horizon 1). It is getting warmer and pine, broad-leaved forests are spreading out again.

Thus, a complex study of the archaeological monument of Apiancha shows an ecological conditions in the life of an ancient man and helps to understand his relations to the surroundings.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941.

2. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1964.

3. დ. ტაბიძე, მდ. კოდორის აუზის გეომორფოლოგია. თბ., 1966.

4. ე. წერეთელი, სვანთა სავანისა და აფიანხას და მათი მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიურ-გეომორფოლოგიურ თავისებურებათა საკითხისათვის. თბ., 1977 (ხელნაწერი).

5. И. П. Герасимов, В. Л. Величко, А. К. Марков, Природно-климатические этапы в ледниковой, периглациальной и приморской областях восточноевропейского сектора. Чет. система, т-I, М., 1982.

6. Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. Н. Куренкова, Многослойный памятник Апианча (Абхазия). - Четвертичная система Грузии. Тб., 1982.

7. Л. Д. Церетели, Л. О. Коркия, Рыболовство в Грузии в эпоху камня. Тб., 1991.

8. Л. Д. Церетели, Л. О. Коркия, И. И. Шатилова, Итоги археологического и палеонтологического изучения многоярусной стоянки Апианча. - Хроностратиграфия палеолита Северной, Центральной Азии и Америки. Новосибирск, 1990,

9. Д. В. Церетели, Плейстоценовые отложения Грузии. Тб., 1966.

ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I

სადღეისოდ კარგადაა დადგენილი, რომ ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ინტენსიურად ითვისებენ ჯავახეთის პლატოს [22, გვ. 56; 8, გვ. 172]. ეს ბუნებრივია ამ კულტურის არეალში მოქცეული მაღალმთიანი ჯავახეთისათვის, რომელიც მიწათმოქმედებისა და განსაკუთრებით, მესაქონლეობის განვითარებისთვის საჭირო მძლავრი ბაზის არსებობით, ჩანს, სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი საზოგადოების სამეურნეო-ყოფით მოთხოვნილებას. ეს პლატო მეზობელი თრიალეთის ზეგნის მსგავსი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება და საშუალებას იძლევა ერთნაირ პირობებში წარმოვიდგინოთ ამ კულტურის განვითარება [22, გვ. 54]. თვლიან, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ამ უმთავრესი საზაფხულო საძოვრებით უნდა ესარგებლათ მიმდებარე დაბლობებში მცხოვრებ ტომებს [22, გვ. 59]. უკვე ამ დროიდან ივარაუდება მათი გამოყენება ქვემო და შიდა ქართლისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რასაც ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა შერწყმა უნდა მოყოლოდა შედეგად [4, გვ. 64-65]. სწორედ ეს მიზეზია მიჩნეული უმთავრეს ხელისშემშლელ გარემოებად ჯავახეთის ამ პერიოდის ძეგლების კულტურული მიმართების ზუსტი განსაზღვრის საქმეში [4, გვ. 64].

ჯავახეთის პლატო იმ რეგიონს წარმოადგენს, სადაც მოსალოდნელია მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური ვარიანტების გამოვლენა, რომელთა შესწავლამ ხელი უნდა შეუწყოს მათი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროს ნათლად გარკვევას, ამიერკავკასიის ადრებრინჯაოს ხანის რიგი ძეგლების ქრონოლოგიკა-პერიოდიზაციის, კულტურული ატრიბუციისა და სხვა საკვანძო საკითხების უკეთ წარმოჩენას.

მტკვარ-არაქსის კულტურის გარდა ჯავახეთის პლატოზე გამორიცხული არაა სინქრონულ კულტურათა ძეგლების გამოვლენაც. დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიასთან ტერიტორიული სიახლოვე ამის დაშვების შესაძლებლობას იძლევა. ასევე, საინტერესოა იმის გარკვევა, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ოლქების მსგავსად აქაც გავრცელდა ადრეყორღანული კულტურა, თუ მისი კულტურის განვითარება განსხვავებული გზით წარიმართა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს.

ეს და სხვა მრავალი საკითხი ყოველთვის იდგა სამხრეთ საქართველოს სიძველეთა შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართა წინაშე [18; 22; 4; 7]. იგივე საკითხები აინტერესებდა აკც-ს ჯავახეთის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელ

არქეოლოგიურ ექსპედიციას, როდესაც მან გათხრების საწარმოებლად მდ. ფარავნის ნაპირას განლაგებული, ამ ხანის კერამიკის შემცველი რამდენიმე ნამოსახლარიდან შეარჩია ერთი – დიგაშენი I. იგი ნინოწმინდის რაიონშია, სოფ. ჯიგრაშენის ტერიტორიაზე, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირას, ზღვის დონიდან 1900 მ სიმაღლეზე მდებარე ბუნებრივ გორაზე. ამ გორის თხემსა და მის დასავლეთიდან მიმდებარე ფერდზე 1987-1988 წწ. მცირე მასშტაბის გათხრებით აღნიშნულმა ექსპედიციამ გამოავლინა გვიანი და ადრებრინჯაოს ხანის ფენები [21, გვ. 80].

ადრებრინჯაოს ხანის ფენა შეიცავდა ტერასულად განლაგებულ ქვის, ოთხკუთხა ფორმის ძლიერ დაზიანებულ ნაგებობათა ნაშთებს. ერთგან დაფიქსირდა სტრატიგრაფიაც, მაგრამ აქ აღმოჩენილი მწირი და უსახო ნივთიერი მასალა არ იძლევა შედარებისა და რაიმეს გარკვევით თქმის საშუალებას. ნაგებობებს ახლო პარალელი ეძებნება აქვე, ჯავახეთის ამირანის გორაზე [22, გვ. 76]. სოფ. სათხეშიც გაითხარა ქვის ოთხკუთხა შენობები [11, გვ. 7]. ანალოგიური შენობებია სამცხეშიც – ახალციხის ამირანის გორასა და აბასთუმანში [12, გვ. 98]. ქვის ამგვარივე არქიტექტურა ახასიათებს ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის ძეგლებს არიჭს, კეტის და ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიის რიგ ნამოსახლარებსაც – ქარაზს, პულურს და სხვა [18, გვ. 147; 12, გვ. 99]. ოთხკუთხა ნაგებობები ძალზე დამახასიათებელი ჩანს შიდა ქართლისათვისაც, ოღონდ აქ უფრო წნულთხალესილი შენობებია გავრცელებული [12, გვ. 83].

ნასახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმეტესობა კერამიკაა. არაკერამიკული ნაწარმი კი წარმოდგენილია ბრინჯაოს ოვალური საკიდითა (ტაბ. I₂₁) და ქვისა და ძვლის მცირეოდენი იარაღით – ქვასანაყით, საბეგველით, სახვრეტით და სხვ. რომელთა ანალოგები კარგადაა ცნობილი სინქრონული ნასახლარებიდან. თუმცა, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ნასახლარებისაგან განსხვავებით, დიგაშენ I-ში ამგვარი იარაღი უფრო იშვიათია. ყურადღებას იქცევს ხელსაფეკვაკების, კაჟის ნამგლის ჩასართების, ისრისპირებისა და სხვა სამეურნეო იარაღის შედარებითი სიმცირე. ქვისა და ძვლის სამეურნეო იარაღის სიღარიბე დამახასიათებელი ჩანს საერთოდ მაღალმთიანი ზოლის ძეგლებისათვის [16, გვ. 87]. ამას, ბეშთაშენთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება [20, გვ. 112]. როგორც ვარაუდობენ, ეს მოვლენა მაღალ-

მთიანი ზოლის იმდროინდელი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის თავისებურებით უნდა იყოს გამოწვეული [16, გვ. 87].

რაც შეეხება კერამიკას, ის ძირითადად ტიპური მტკვარ-არაქსული ნაწარმია. ჭარბობს შავ და მოვარდისფრო პრიალა ჭურჭელი, რომელშიც განიჩევა დერგი, ქოთანი, ხელადა, ჯამი, ზოგჯერ შემკული რელიეფური, ამოღარული, ნაკაწრი და წერტილოვანი ორნამენტით. ფორმებზე მსჯელობა ყველაზე უკეთ № 2 ნაგებობის ჭურჭლითაა შესაძლებელი (ტაბ. I_{1, 2, 9, 14-17, 20}).

აქ აღმოჩენილ მაღალყელიან მუცელგამობერილ ქოთნებს კორპუსზე მიძერწილი ლენტური ყურებით (ტაბ. I_{16,20}) ზუსტი ანალოგები არ ეძებნება. ზოგადად იგი შეიძლება შევუდართოთ მარტყოფის № 4 ყორღანის ერთ ჭურჭელს უფრო დაბალი და განიერი ყელით [12, ტაბ. CXLV]. გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ციხიაგორის B₂ ფენის ცალყურა ჭურჭელიც [5, ტაბ. XXV]. უფრო შორეული მსგავსება შეინიშნება ხიზანანთგორის C ფენის სამყურა ჭურჭლის ფორმასთანაც [3, გვ. 62, სურ. 12].

გამობერილი კორპუსითა და ოდნავ გამოყვანილი ვიწრო ყელით ამ ქოთნებს უკავშირდება მასთან ერთად აღმოჩენილი ხელადის ტიპის ორი ჭურჭელიც (ტაბ. I_{14,15}). ორივე ჭურჭელს ყური პირსა და მხარზე აქვს მიძერწილი. ერთს მხარზე სამი ამოღარული სარტყელი და მის ქვეშ დაშტრიხული ტეხილხაზოვანი ლენტი შემოუყვება. ფორმით ამ ჭურჭელს ემსგავსება ზოგიერთი ხელადა საჩხერედან [16, ტაბ. XIV₆]. ქვაცხელას C₁ ფენის ზოგ ხელადას ჩვენი ეგზემპლარის მსგავსად ყური პირსა და მხარზე აქვს მიძერწილი და ჭრილი ტეხილხაზოვანი ლენტებითაა ორნამენტირებული [15, ტაბ. IV]. შორეული მსგავსება ჩანს ხიზანანთგორას C ფენისა [3, გვ. 66, სურ. 17] და დიდუბე-კიკეთის რიგის ხელადებთანაც, მაგრამ როგორც წესი, ადრეული ხანის ამ ჭურჭელს ყური განსხვავებულად – ყელსა და მხარზე აქვს მიძერწილი. რაც შეეხება ორნამენტს, იგი მსგავსია ამ ნამოსახლარის ზოგიერთი ფრაგმენტის შემკობისა, წარმოდგენილი ტეხილხაზოვანი დაშტრიხული ლენტებისა და წერტილების კომბინაციით (ტაბ. I_{4, 5}).

ამ ორნამენტს ხშირად ვხვდებით ამირანისგორის ორმოსამარხების კერამიკაზე (14, სურ. 17, 7, ტაბ. 21); ასევე, ქვემო ქართლის ძეგლების – ლაითმაზისა და დანგრეული გორის კერამიკაზეც [18, სურ. 47, 48]; ტეხილხაზოვანი დაშტრიხული ლენტებია ციხიაგორის B₂ ფენის ჭურჭელზე [5, ტაბ. XXXV₂] და სხვ. ძალზე ფართოდაა ამგვარი ორნამენტი არარატის ველის ძეგლების კერამიკაზე [23, სურ. 116-117]. როგორც ჩანს, იგი დამახასიათებელია საერთოდ ცენტრალური ამიერკავკასიისათვის კვიანმტკვარ-არაქსულ ხანაში [2, გვ. 22].

ამგვარი ორნამენტი არც ადრეული ყორღანების ნაწარმისათვისაა უცხო. გრაფიკულ ორნამენტს, მათ შორის ხაზოვან-წერტილოვან შევრონებსა და ლენტებს ძირითადი ადგილი უკავია თრიალეთის ადრეული ყორღანების კერამიკაში [2, გვ. 22]. განსაკუთრებით კარგადაა იგი წარმოდგენილი ბედენურ კერამიკაზე. მას ვხვდებით ბედენის № 10, ქვემო ქართლის № 7, თრიალეთის XI ყორღანთა ჭურჭელზე [1, გვ. 101, სურ. 40; 17, გვ. 157, სურ. 62; 2, ტაბ. 44]. ტეხილხაზოვანი დაშტრიხული ლენტი შემოუყვება ტანზე ხაშურის ნაცარგორის ერთ ბედენურ კათხასაც [9, ტაბ. IV₃], რომელიც ფორმითა და ყურის მიძერწვის მანერით ახლოა დიგაშენ I-ის ზოგ ჭურჭელთან (ტაბ. I₉). თავისებურებით გამოირჩევა ლევა-მოვარდისფრო ქვაბქოთანი. იგი პირმოყრილია, მუცელგამობერილი, ბრტყელძირა. კორპუსის ზედა ნაწილზე დაძერწილი აქვს მოკლე ირიბი რელიეფური ზოლი (ტაბ. I₁₇). მსგავსი ნაწარმი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი არ არის. მხოლოდ რამდენადმე ემსგავსება მას ოკამისა და ციხიაგორის B₁ ფენის ზოგი ჭურჭელი [7, ტაბ. 37₆; 5, ტაბ. XLIX₁].

დიგაშენ I-ის ნასახლარზე აღმოჩენილ კერამიკაზე გვხვდება ზომორფული გამოსახულება, შესრულებული უმეტესად დიდი ზომის ჭურჭელზე – დერგზე. ერთ ასეთ ჭურჭელზე, რომელსაც ამ კულტურის დერგებისაგან განსხვავებით ვიწრო ყელი აქვს, გამოსახულია რელიეფური კლაკნილი ზოლი (გველი?) (ტაბ. I₈). მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტებზეა დატანილი ძაღლისა და წეროს რელიეფური გამოსახულებაც (ტაბ. I_{1, 2}). მსგავს ორნამენტს ვხვდებით სამშვილდის სამაროვანსა და ბადაანის ნასახლარზე [12, ტაბ. LXXVII, LXXIX], ჟინვალში [13, გვ. 13]. წეროს გამოსახულებიანი ჭურჭელიც მრავლადაა აღმოჩენილი ქვემო ქართლის, სამცხის, თრიალეთისა და სხვ. რეგიონების ძეგლებზეც. მისი სქემატური რელიეფური გამოსახულება უნდა ამკობდეს „სანათურის“ ფასადსაც (ტაბ. I₉). წერო მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურიდან მოკიდებული ძალზე დამახასიათებელია აღნიშნული რაიონებისათვის, სადაც იგი სხვადასხვა ხერხებით გამოყვანილი ბოლომდე გასდევს ამ კულტურის კერამიკას.

საკუთრივ „სანათური“ წარმოადგენს თიხის ოთხკუთხა ყუთს, რომელსაც ზემოდან და წინიდან ორი მოზრდილი ნახვრეტი აქვს. წინა ნახვრეტის გვერდებზე რელიეფური წეროს წყვილი სქემატური გამოსახულებაა დაძერწილი. „სანათურის“ ზედა კიდე კი ნაწილობრივ დაკეჭნილია ირიბი ზოლებით (ტაბ. I₉).

„სანათურს“ ამ კულტურის ძეგლებზე ნაკლებად ვხვდებით, ისიც ძირითადად შიდა ქართლის ძეგლებზე. მრგვალი ფორმის „სანათური“ ზემოდან და წინიდან მოზრდილი ნახვრეტით აღმოჩენილია ხიზანანთგორის C₁ ფენაში. რო-

გორც ჩანს, იგი ყურიანი უნდა ყოფილიყო [3, გვ. 16, ტაბ. XXIV]. ოთხკუთხა ნაკლები „სანათური“ ცნობილია ოზნიდან [19, ტაბ. 39]. მაგრამ დიგაშენ I-ის ცალს ყველაზე მეტად ქვაცხელას B ფენის ოთხკუთხა სანათური ემსგავსება [12, ტაბ. C].

თიხის სხვა ნაწარმიდან აღსანიშნავია ფართოდ ამოღებული სპირალებითა და მეანდრებით შემკული მოზრდილი ფილის ფრაგმენტები წითელი საღებავის კვალით (ტაბ. II).

ორნამენტის ეს მოტივი ფართოდ იყო გავრცელებული გვიანმტკვარ-არაქსული ხანის ჭურჭელზე. ხშირად იგი გამოყვანილია ჩაღარულ-ამობურცული სახით ღაითმაზის, დანგრეული-გორის, სადახლოს და სხვ. კერამიკაზე [18, სურ. 47, 48; 23, fig. 119, 190]. იგი თავს იჩენს ბეშთაშენში [19, ტაბ. 34], ქვაცხელას B [15, ტაბ. IV₁₃₈], და ციხიაგორის B და A ფენებში [5, ტაბ. XXVII₃; LXVII₁]. ამგვარი ორნამენტი ძალზე დამახასიათებელია არარატის ველის მტკვარ-არაქსის ძეგლებისათვის [18, გვ. 114].

დიგაშენ I ნასახლარზე აღმოჩენილი ჯამები წიბოიანი კორპუსითა და ოდნავ გადაშლილი პირით ემსგავსება რა ამ კულტურის ნაწარმს გარკვეულ თავისებურებასაც ამღავნებს მხარზე დატანილი კოპების მწკრივისა თუ დაკეჭნილი ზოლის გამო (ტაბ. I₁₁). ამგვარი შემკობა თავს იჩენს ადრებრინჯაოს ხანის ბოლოს და უფრო ბედენური კერამიკისათვისაა დამახასიათებელი [2, გვ. 91]. ბედენის ყორღანის, ხაშურის ნაცარ-გორის, ციხიაგორის A ფენის და სხვა ძეგლების კერამიკაზე მსგავსი ორნამენტი ხშირია [1, გვ. 68, სურ. 23; 9; 5, ტაბ. LIV, LVII]. ამავე წრის მასალებში პოულობს ბევრ საერთოს ჭურჭლის კორპუსისა და ყურების პარალელური ღარებით მორთვაც (ტაბ. I₃, 6, 13). მას ვხვდებით ბედენის № 5 ყორღანში [1, გვ. 70, სურ. 27], ზველში [7, ტაბ. 29, 30]; თრიალეთის, თეთრიწყაროსა და ქვემო ქართლის [2, გვ. 21; 17, სურ. 60] ყორღანთა მასალებში. იგი არც გვიანმტკვარ-არაქსული ძეგლებისათვისაა უცხო: შენგავათის [23, fig. 9], პულურისა [23, გვ. 70] და ამირანისგორის XXIII შენობის ფეხიან ჭურჭელსაც ამგვარივე შემკობა აქვს. ამ უკანასკნელს, ზემოთ ნახსენები ჯამის მსგავსად, მხარზე კოპების მწკრივიც გასდევს [14, სურ. 8].

ბოლოს უნდა მოვიხსენიოთ ნალისებრი ზესადგარის ფრაგმენტები (ტაბ. I₁₀), რომელთაგან ზოგს ზედა ნაწილი დაჭდეული აქვს. ნალისებრი ზესადგარი საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე, განსაკუთრებით ფართოდაა იგი გავრცელებული მის სამხრეთ არეალზე, სადაც ამგვარ სადგარს

ხშირად ანტროპო ან ზომორფული გამოსახულებაც ამკობს. საქართველოში ნალისებრი ზესადგარს უფრო ხშირად ახალციხის ამირანისგორის ნასახლარზე ვხვდებით, მაგრამ დაჭდეულზედაპირიანი ზესადგარი დიგაშენ I ნასახლარის ამ ნაწარმს თავისებურ სახეს აძლევს.

ძირითადად აღნიშნულით განისაზღვრება დიგაშენ I ნასახლარის უმთავრესი მონაპოვარი, რომელიც მართალია მცირერიცხოვანია, მაგრამ გარკვეულ ინფორმაციას მაინც იძლევა ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის შესახებ იმ რეგიონიდან, რომელიც არქეოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი და ამ ხანის კულტურაზე წარმოდგენა მხოლოდ დაზვერვებით მოპოვებულ თუ შემთხვევით აღმოჩენილ მასალებს ემყარება. მიუხედავად ამისა, არსებულ მოსაზრებებს არქეოლოგიური გათხრების შემდეგაც არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულება, რაც დიგაშენ I ნასახლარზე წარმოებულმა კვლევამაც დაადასტურა.

თავის დროზე, ამ ნასახლარსა და ჯავახეთის სხვა ძეგლებზე აკრეფილი კერამიკული მასალის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი ბევრ საერთოს პოულობს შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმთან, ხოლო ამ პლატოს ათვისება მჭიდროდ უკავშირდება შიდა ქართლის რეგიონს [18, გვ. 110].

ამ მოსაზრებამ გარკვეული დასაბუთება ჰპოვა დიგაშენ I-ის ნასახლარზე ახლადაღმოჩენილი მასალითაც. თუმცა, აქ ჩატარებულმა გათხრებმა ზოგი რამ ახლებურად წარმოაჩინა.

გაირკვა, რომ დიგაშენ I-ის ნამოსახლარის ქვის სწორკუთხა ნაგებობები მიეკუთვნება არაერთ, არამედ ორ პერიოდს – ადრე- და გვიანბრინჯაოს ხანას; ადრებრინჯაოს ხანის ნაგებობები ფორმით ემსგავსება შიდა ქართლში გავრცელებულ ნაგებობებს, მაგრამ განსხვავდება სამშენებლო მასალად ქვის გამოყენების გამო. ამგვარი არქიტექტურით იგი მეტ სიახლოვეს იჩენს სამცხის, ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიისა და ჩრდილო-დასავლეთი სომხეთის მტკვარ-არაქსული კულტურის შენობებთან. ამ უკანასკნელისათვის, არარატის ველის სინქრონიული ნასახლარებისაგან განსხვავებით, სწორედ ამგვარი არქიტექტურა ჩანს დამახასიათებელი [11, გვ. 7].

დიგაშენ I-ის თიხის ჭურჭელი ახლო დგას გვიანმტკვარ-არაქსულ კერამიკასთან, განსაკუთრებით შიდაქართლური ვარიანტის ნაწარმთან, რაზეც მეტყველებს მაღალყელიანი ქოთნებისა და ხელადების ფორმები, „სანათური“ და სხვ. (ტაბ. I₉, 14-16, 20). როგორც ცნობილია, ეს ვარიანტი, ფართოდ ვრცელდება და იკავებს მთელ რიგ ოლქებს აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. შიდაქართლურ გავლენებს ცენტრალურ-აღმოსავლეთ ანატოლიაშიც ამჩნევენ [23, გვ. 99]. მტკიცედ იკიდებს ფეხს იგი ჯავახეთისა და თრიალეთის

¹ ამავე ფილის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ტაბ. I₈ გამოსახული ადრევე აღმოჩენილი ფრაგმენტიც [8, გვ. 174].

პლატოებზეც, სადაც ამ ვარიანტის კერამიკა არაერთ ძეგლზე დასტურდება [18, გვ. 112].

შიდა ქართლის ნაწარმისათვის რელიეფური ორნამენტი ნაკლებადაა დამახასიათებელი. აქ უფრო ჭრილხაზოვანი შემკობა ჭარბობს [16, გვ. 61], რომელიც სტრატეგრაფიული მონაცემებით თუ ვიძსჯელებით, უკვე ქვაცხელას C ფენიდან იკიდებს ფენს და კიდევ უფრო ვითარდება მომდევნო B ფენასა და შემდგომ პერიოდში, როცა შეინიშნება სამხრეთული ვარიანტის კულტურის მომძლავრება შიდა ქართლის ტერიტორიაზე [18, გვ. 323; 5, გვ. 65].² როგორც ფიქრობენ, საქართველოს სიღრმეში ამ ვარიანტის გავლენები უმთავრესად მტკვრის ხეობით ვრცელდებოდა [5, გვ. 65]. ძირითადად შიდა ქართლის გზით უნდა შემოსულიყო ის ჯავახეთშიც, რაზეც მიუთითებს სამხრეთული და შიდაქართლური ელფერის ნაწარმის ერთად აღმოჩენა დიგაშენ I. უნდა ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთული ვარიანტი დიდი აქტივობით ხასიათდება ფართოდ ვრცელდება რა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. თუმცა, მისი განფენა სამხრეთის მიმართულებითაა უფრო ძლიერი, ვიდრე საქართველოს მხარეს, სადაც უთუოდ ჩანს ამ ვარიანტის კვალი ქვემო [18, გვ. 114] და რამდენადმე შესუსტებული სახით შიდა ქართლშიც [18, გვ. 142; 5, გვ. 65], საიდანაც საფიქრებელია, ვრცელდება კიდევ ჯავახეთის პლატოზე.³ მაგრამ მას აქ იმ მასშტაბისათვის არ მიუღწევია, როგორც შიდა და განსაკუთრებით ქვემო ქართლის ველზე. დიგაშენ I მასალებში ცოტაა ან საერთოდ არ არსებობს ამ ვარიანტის ისეთი წამყვანი ნიშნები, როგორიცაა მრგვალი ფორმის შენობა, ჩადარულ-ამობურცული ორნამენტით შემკული სამნაწილადტანიანი ჭურჭელი, სპეციფიკური ტიპის ზესადგრები და სხვ. დიგაშენ I ნასახლარზე შიდა ქართლური და სამხრეთული ვარიანტების ელემენტების პარალელურად შესაძლებელია საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფაც. ეს ჩანს ზოგიერთი ჭურჭლის ფორმისა

და ადრეული ხანის ზომორფული ორნამენტის შემონახვაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აქაური კულტურა ახალი იმპულსების მიუხედავად ადრევე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს აგრძელებს და ადგილობრივ ნიადაგზე ვითარდება [7, გვ. 102].

დიგაშენ I-ის ნასახლარზე აღნიშნული ნაწარმის გვერდით არის კერამიკის ერთი ჯგუფი ორნამენტირებული ტეხილხაზოვანი ლენტებით, კოპების მწკრივით, პარალელური ღარებით და სხვ. (ტაბ. I₃₋₆, 11, 13, 15), რომელიც შეიძლება დავუკავშიროთ როგორც გვიანმტკვარ-არაქსულ, ისე ადრეფორდანულ, განსაკუთრებით კი ბედენურ კულტურას. როგორც ცნობილია, ეს კულტურა თავს იჩენს ადრებრინჯაოს ხანის ბოლოსათვის და სწრაფად იკავებს აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ოლქებს – კახეთს, ქვემო და შიდა ქართლის ველს, ბედენისა და თრიალეთის პლატოებს [12, გვ. 132-135]. მისი კვალი სამცხე-ჯავახეთშიც დადასტურდა – ზველის, ლოდობანას, თოკის და სხვ. ნასახლარების კერამიკა ახლო დგას შიდა ქართლის ძეგლების – ხაშურის ნაცარგორის, ციხიანგორის და სხვ. ძეგლების ბედენურ ნაწარმთან. აღსანიშნავია, რომ ზველში აღმოჩენილი ზომორფულშვერილებიანი კერა ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალებით, უახლოეს ანალოგს ბერიკლდეების ნასახლარის ბედენური ფენის კერასთან პოულობს [7, ტაბ. 17-8]. ყოველივე ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ეს კულტურა სამცხე-ჯავახეთშიც ვრცელდება და ადრებრინჯაოს ხანის კულტურის შემდგომი ბედი იქაც, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად წარიმართა.

გვიანმტკვარ-არაქსულ და ბედენურ მასალებთან მსგავსების საფუძველზე დიგაშენ I ნასახლარი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის საწყისი საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

² კერამიკული ფორმებისა და ორნამენტის ანალიზის საფუძველზე ქვაცხელა მეზობელ ხიზანანთ გორის ნასახლართან შედარებით მოგვიანო ხანის ძეგლადაა მიჩნეული [7, გვ. 108]. ამასვე უნდა ადასტურებდეს ქვაცხელა C₁ ფენაში აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტი ზედ საჩხერული ტიპის ლითონისტარიანი სატევრიპირის გამოსახულებით და ბედენური ყორღანებისათვის დამახასიათებელი ძვლის მრგვალგანიკვეთიანი ისრისპირების მასიური გამოჩენა ამ ნასახლარის უადრესი დონიდანვე, რომელთა რაოდენობის ზრდა ამ ძეგლის ზედა ფენებში ბედენურ კომპლექსებიდან მათი ქრონოლოგიური სიანლოვითაა ახსნილი [6, გვ. 7].

³ როგორც ჩანს, ეს ვარიანტი დასავლეთ საქართველოს მიმართულებით ნაკლებად ვრცელდება; ლიხს იქით მისთვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმი თითქმის არ ჩანს. იგი არც შიდა ქართლის სიღრმეშია გავრცელებული მაინცდამაინც.

А. З. Орджоникидзе

ПОСЕЛЕНИЕ РАННЕБРОНЗОВОЙ ЭПОХИ ДИГАШЕНИ I (Резюме)

Джавахетская археологическая экспедиция ЦАИ 1987-88 гг. провела полевые работы в Ниноцминдском р-не на поселении Дигашени I. Были выявлены фундаменты четырехугольных каменных помещений эпохи ранней и поздней бронзы.

Керамика раннебронзового периода находит близкие аналогии в материалах культур куро-аракской и ранних курганов Восточной Грузии.

На основе параллельного материала раннебронзовый слой этого памятника можно датировать первыми веками второй половины III тыс. до н.э.

A. Ordshonikidze

FRÜHBRONZEZEITLICHE SIEDLUNG DIGASCHENI I (Zusammenfassung)

Die archäologische Expedition Digascheni des Zentrums für archäologische Forschungen hat 1987-88 die Feldarbeiten auf der Siedlung Digascheni I (Kreis Ninozinda) durchgeführt. Dort wurden Reste des viereckigen Steingebäudes der Früh- und Spätbronzezeit gefunden.

Frühbronzezeitliche Keramik ist sehr ähnlich zu den Materialien der Kura-Araxikultur und früheren Kurganen Ostgeorgiens.

Auf Grund der Parallelen kann man die frühbronzezeitliche Schicht dieses Fundortes in die ersten Jahrhunderten der II. Hälfte des 3. Jt. v. Chr. datieren.

ლიტერატურა:

1. გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1980.
2. ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972.
3. ი. კიკვიძე, სიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბ., 1972.
4. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.

5. ზ. მახარაძე, ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბ., 1994.

6. გ. მინდიაშვილი, ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში, სადისერტაციო მაცნე, თბ., 1993.

7. ა. ორჯონიკიძე, სამცხე-ჯავახეთი ადრე-ბრინჯაოს ხანაში, თბ., 1993.

8. ა. ორჯონიკიძე, მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი მასალები ჯავახეთის პლატოდან, მაცნე, № 2, 1989.

9. ა. ორჯონიკიძე, შერეულკერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან, თბ., 1992, პრეპრინტი.

10. ა. ორჯონიკიძე, მტკვარ-არაქსულ და ბედენურ კულტურათა ურთიერთობისათვის სამხრეთ კავკასიაში, თბ., 1996, პრეპრინტი.

11. ა. ორჯონიკიძე, ზოგი რამ ბრინჯაოს ხანის შესწავლის ისტორიიდან მესხეთ-ჯავახეთში, თბ., 1997, პრეპრინტი.

12. საქართველოს არქეოლოგია, II, თბ., 1992.

13. მ. ღლონტი, ცხოველის გამოსახულებიანი ჭურჭელი არაგვის ხეობიდან, არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977.

14. ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.

15. ა. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962.

16. ოთ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.

17. ოთ. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბ., 1975.

18. ოთ. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.

19. Л. Г. Жоржикашвили, Э. М. Гогадзе, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1974.

20. Б. А. Куфгин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

21. А. З. Орджоникидзе, Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века, ПАИ, 1987 (1995).

22. Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971.

23. A. Sagona, The Caucasian Region in the early bronze age, 1984.

ტაბულების აღწერა:

- ტაბ. I. ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა.
ტაბ. II ადრებრინჯაოს ხანის თიხის ორნამენტირებული ფილის ფრაგმენტები.

Описание таблиц:

Таб. I. Керамика раннебронзового периода.


Таб. II. Фрагменты орнаментированных глиняных плит раннебронзового периода.






Die Beschreibung der Abbildungen:

Abb. I. Frühbronzezeitliche Keramik aus der Siedlung Digascheni I.

Abb. II. Die ornamentierten Tonplattenfragmente aus der frühbronzezeitlichen Siedlung Digascheni I.

ტაბ. I





ნინო შანშაშვილი

კვირისტავის სემიოტიკური სტატუსი მტკვარ-არაქსელთა დაკრძალვის რიტუალში

მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხებში მიცვალებულს ზოგჯერ ჩატანებული აქვს ქვის ან ძვლის კვირისტავი. ასეთი ჩვეულება დადასტურდა ამირანისგორის №№ 24 და 36 სამარხებში [1, გვ. 36-37, 42], სამშვილდის სამაროვანზე №№ 3, 6, 20, 24-ე სამარხებში [2, გვ. 83, 85, 90, 91], მარნეულის ველის № 3 ყორღანის № 2 სამარხში [3, გვ. 141], კიკეთის ბ. კუფტინის მიერ გათხრილი I ქვაყრილის № 2 სამარხში [4, გვ. 21], აგრეთვე კიკეთის № 1 [4, გვ. 30] და № 12 [4, გვ. 49] სამარხებში.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ამირანისგორის № 36 სამარხი ნალისებური ფორმისაა. მასში დაკრძალულია ერთი მიცვალებული, რომელიც მარჯვენა გვერდზე ასვენია, თავით სამხრეთისაკენ. მას თავქვეშ ამოღებული ჰქონდა მსხვილფეხა რქოსანი ცხოველის ნეკნის ძვლები. ამავე ცხოველის თავის ქალა და ფეხების ძვლები სამარხის წინ, სამხრ-აღმ. კედელთან იდო. სამარხში აღმოჩნდა: ჭურჭელი, რომლის მუცელზე ნიშნებია ამოკაწრული, სპილენძის ყუნწიანი პატარა სატევრისპირი და ძვლის კვირისტავი [1, გვ. 37].

ამირანის გორის № 24 სამარხში, მიცვალებულს, დაახ. 40 წლის მამაკაცს, სატევრისპირის და თიხის ჭურჭლის გარდა ჩატანებული ჰქონდა ძვლის კვირისტავი. სამარხში აგრეთვე ოთხი ხარის ძვლები იდო [1, გვ. 40]. ტ. ჩუბინიშვილმა მაშინვე აღნიშნა, რომ კვირისტავის ჩატანება რაღაც რიტუალთან იყო დაკავშირებული [1, გვ. 42].

სამშვილდის № 3 სამარხი ქვაყუთია, რომელსაც შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს. ერთი მიცვალებული დამხრობილი იყო თავით აღმოსავლეთისაკენ, სამარხის დასავლეთ კედელთან მიხვეტილია 4 მიცვალებულის ჩონჩხი და თიხის 12 ჭურჭელი. ერთ-ერთ ბადიაში აღმოჩნდა ძვლის სამი კვირისტავი [2, გვ. 83].

სამშვილდის № 6 სამარხი ქვაყუთს წარმოადგენს, რომელსაც შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. შესასვლელი ჩაკეტილი იყო ქვის „კარით“. სამარხში სამი საფეხური ჩადის. ცენტრალურ ნაწილში, თავით სამხრეთისაკენ იწვა ორი მიცვალებული, ხელფეხმოკეცილი, ერთი – მარჯვენა, მეორე – მარცხენა გვერდზე. სამარხის ჩრდილოეთით კედელთან მიხვეტილი იყო ადრე დაკრძალულთა ძვლები – 3 თავის ქალა და თიხის ჭურჭელი. ცენტრალური ჩონჩხების თავის ქალებს შორის იდო ბრინჯაოს ორმხრივ დახვეული საკინძი, მეორე ჩონჩხის თავის ქალას ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი, დამზადებული მრგვალი მავთულისაგან და პასტის ცილინდრული მძივები. ერთ-ერთ

ბადიაში აღმოჩნდა ძვლის გატეხილი კვირისტავი, რომლის სიმა. № 3,9 სმ, დიამ. № 2,3 სმ.

ერთ-ერთ ბადიას ამკობს ცხოველის (მელიის) რელიეფური გამოსახულება, ერთს კი რელიეფური 2 ორმაგი ნახევარმთავარისებური ორნამენტი, რომელთა შუა მოთავსებულია წეროს რელიეფური გამოსახულება. ერთ ბადიას და ერთ ტოლჩას შიგნიდან ჩასმული აქვს ობსიდიანის ნატეხები. სულ აღმოჩნდა 18 თიხის ჭურჭელი [2, გვ. 85-86]. სამშვილდის №№ 20 და 24 სამარხები გაძარცვული იყო. № 20-ში აღმოჩნდა ადამიანის 3 თავის ქალა, ერთი თიხის ბადია, ქვის კვირისტავი, რომლის სიმა. – 1,9 სმ, დიამ. – 4,1 სმ-ია და ობსიდიანის ყუნწიანი ისრსპირი [2, გვ. 90].

№ 24-ში აღმოჩნდა დაშლილი ჩონჩხი, თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი და ძვლის კვირისტავი [2, გვ. 91].

ბ. კუფტინის მიერ კიკეთში, კერძოდ კი „ძველი კოჯრის“, ანუ „ცხვრის გზასთან“ გათხრილ სამარხში აღმოჩნდა წაკვეთილი კონუსის ფორმის ძვლის 2 დაზიანებული კვირისტავი. ამ სამარხში აღმოჩნდა ოთხი თიხის ჭურჭელი [4, გვ. 21].

კვირისტავები აღმოჩნდა კიკეთის № 1 სამარხში, რომელიც წარმოადგენდა ქვაყრილიან ორმოსამარხს. სამარხში იყო 4 მიცვალებულის ჩონჩხი, ყოველ მათგანს თავი სამხრეთისაკენ ედო. ორი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა, ორი კი მარცხენაზე. სამარხში აღმოჩნდა 7 თიხის ჭურჭელი და ძვლის 2 კვირისტავი. სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში დიდი რაოდენობით იყო ცხვრის ძვლები [4, გვ. 30].

კვირისტავი აღმოჩნდა კიკეთის № 2 ნალისებურ სამარხშიც, სადაც 6 მიცვალებული ესვენა. სამარხში დადასტურდა თიხის 12 ჭურჭელი. № 51 ჯამზე რელიეფური გამოსახულება, რკალისებური თავებით ერთმანეთისაკენ ჩახვეული ფიგურებია. კვირისტავი ძვლისაა, წაკვეთილი კონუსის ფორმის, იდო № 56 კოჭობში [4, გვ. 49].

კვირისტავი აღმოჩნდა აგრეთვე მარნეულის № 3 ყორღანში. ყორღანის ყრილში რამდენიმე სამარხი იყო. კვირისტავი აღმოჩნდა № 2 სამარხში, ტოლჩასთან და ბადიასთან ერთად. იგი დამზადებულია მუხლის ძვლისაგან. მისი სიმა. – 2,2 სმ, დიამ. – 4,21 სმ. აქვე ჩანდა ხარის ძვლები [3, გვ. 140-141].

ისევე როგორც სამარხში ჩალაგებული ყოველი ნივთი, კვირისტავის ჩატანებაც გარკვეულ რიტუალთანაა დაკავშირებული. თუ ყოფაში ამა თუ იმ ნივთს უტილიტარული მნიშვნელობა აქვს, რიტუალში ნივთი სიმბო-

ლოს მნიშვნელობას იძენს [5, გვ. 82]. რიტუ-
ალში ნებისმიერი ნივთის სემიოტიკური
სტატუსი მკვეთრად იწვევს. იცვლება მისი
პრაგმატიკა, სემანტიკა და სინტაქტიკა [5, გვ.
82]. საგნის სიმბოლო ყოველთვის რალაც
იდების შემცველია, რომელიც წარმოადგენს
მთელი მისი აგებულების კანონს [6, გვ. 259].

კვირისტავი სამარხში, ჩვენი აზრით, უნდა
წარმოადგენდეს ნიშანს ბედისმწერელი ქალ-
ღმერთისა, რომლის ატრიბუტი თითისტარია.

რწმენა-წარმოდგენები ბედისმწერელ-
მრთველ ქალღმერთებზე დასტურდება სხვადა-
სხვა ხალხების მითოლოგიაში. ხეტების
ბედისმწერლები – ისტუსტაია და პაპაია –
მიწისქვეშ მცხოვრები ქალღმერთები არიან,
მათი ატრიბუტი თითისტარია, რომლის
შემაღგენელი ნაწილი კვირისტავია [7, გვ. 98].
ისტუსტაიას და პაპაიას ანალოგიური ქალ-
ღმერთები არიან ძველი ბერძნული მორები,
რომაული პარკები და სკანდინავიური ნორნები
[8, გვ. 226].

მ. პოპკოს აზრით, თითისტარი იყო ალბათ
სიმბოლო ადამიანის სიცოცხლისა [7, გვ. 98].

საერთოდ, კი, ნართი ეს არის „მითოპოეტუ-
რი“ სიმბოლო გრძელი ცხოვრებისა. ნართის
მაფი გაიგივებულია სიცოცხლესთან, რომელიც
ისევე გრძელდებოდა, როგორც მაფი დართვის-
სას. ბერძნულ მითოლოგიაში ადამიანის სიცოც-
ხლე მორების ხელშია: კლოტო რთავს მაფს,
ლახისესი ატარებს მას ბედისწერის გზებზე,
ათროპოსი კი ჭრის მაფს და ამით წყვეტს
სიცოცხლეს. ნართი და დართვა, როგორც წესი,
ქალთანაა დაკავშირებული, უფრო ხშირად
ქვედა სამყაროს ქალღმერთთან [8, გვ. 344].

პლატონის ცნობით, რომელიც თავის მხრივ
უფრო ძველ მითოლოგიურ წყაროს ეყრდნობა,
მორების დედას – ანანკას მუხლებზე თითის-
ტარი ედო (ხატება, რომელიც, როგორც ცნო-
ბილია, მაფის დართვის მოტივს სამყაროს ღერ-
ძის მოტივთან აერთიანებს). თითისტარი და
ჯარა (თვით კერვაც კი) სიცოცხლის და წარ-
მავლობის (დროებითობის) სიმბოლოებს წარმო-
ადგენს [9, გვ. 123].

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი მეცნიერის
აზრით, ნეოლითური ხანის ევროპაში გავრცე-
ლებული იყო რწმენა-წარმოდგენები ფრინველის
სახიან ქალღმერთზე, რომელიც ასევე ნართთან
და მის ატრიბუტებთანაა დაკავშირებული. ეს
რწმენა-წარმოდგენები დამახასიათებელი იყო
ევროპის წინარეინდოევროპული მოსახლეობი-
სათვის და შემორჩენილია ბასკურ მითოლოგია-
ში [10, გვ. 277]. ქართულ ფოლკლორშიც
ზოგჯერ ბედისმწერლები ფრინველის სახით
არიან წარმოდგენილნი [11, გვ. 461-462]. საინ-
ტერესოა, რომ ეტრუსკულ მითოლოგიაში
ბედისწერის ქალღმერთი ნორტია ფრთოსან
ქალად გამოისახებოდა [8, გვ. 226]. მ. გიმბუ-
ტასის აზრით, ეს პრეინდოევროპული ქალ-
ღმერთი აწესრიგებდა სიკვდილ-სიცოცხლის

ციკლს [10, გვ. 282]. თანამედროვე ევრო-
პელების ფოლკლორში ეს სახე შემორჩენილია
როგორც მოხუცი ქალი, „დედილო ბატი“,
რომელიც ბორცვის ძირას ცხოვრობს. იგი
გამოისახება საქსოვით ხელში [10, გვ. 293].

ქართულ რწმენა-წარმოდგენებში „ბედის-
მწერლები“ ზოგჯერ წარმოდგენებიან შავებში
ჩაცმულ (ხშირად ხანში შესულ) ქალებად. მათი
რიცხვი ძირითადად სამს არ აღემატება (თუმცა
ზოგჯერ შეიძით ან ცხრით შეიძლება შეიცვა-
ლოს [9, გვ. 122].

ი. სურგულაძის აზრით, ბედისმწერლების
ფუნქციას ხშირად სულეთის ღმერთი ასრუ-
ლებს, რომელიც ხანდახან მორივე ღმერთთან
არის გაიგივებული [12, გვ. 31].

ქართულ ეთნოგრაფიაში დასტურდება მაფის,
ნართის დაკავშირება ბედთან, ბედისწერასთან.
ნ. აბაკელიას დაკვირვებით, ტერმინი „ფეხის
დაპწა“, „კარგი ფეხის“, დაბედების, კარგი
ბედის წნვას, რთავს გულისხმობს. ასევე ტერ-
მინების „ბედის შეკერის“, (ბედკრული) და „ბე-
დის გახსნაც“ ბედის მაფთან კავშირზე მიუთი-
თებს, [9, გვ. 128].

„მრავალ ტრადიციაში მაფის გაწყვეტის მო-
ტივი სიკვდილთან და სულთანაა დაკავშირებუ-
ლი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ერთი
შეხედვით უცნაური რიტუალი (რომელიც არც
თუ ისე ძველია), რომლის დროსაც გარდაცვ-
ლილის სული თუკი მან ის სახლს გარეთ და-
ლია, გარდაცვალების ადგილიდან გაბმული მა-
ფით მოჰყავთ სახლში. აქვე შეიძლება გავი-
ხსენოთ ჩონგურზე, ან ფანდურზე სიმის გაწ-
ყვეტა, რომელიც ვიდაცას სიკვდილის მომას-
წავლებლად ითვლება“ [9, გვ. 128].

მქსოველი ხანდაზმული ქალის (ღვთისმშო-
ბელი მარიაშის) სახე კარგად ჩანს ქართულ
შელოცვებში, უფრო ხშირად გათვალულის შე-
ლოცვებში, რაც ისევე ბედიწერასთანაა დაკავში-
რებული.

„იჯდა დედა მარიაში ოქროს სკამსა,
ქსოვდა ქსელსა ძოწეულისასა,
თმასა წნავდა ბროწეულისასა,
გვერდზე ედგა მილთა კოკა
შიგ ედგა ვარდის წყალი“

[13, გვ. 106].

ანდა

„ქრისტეს დედა მარიაში
ზის სამოთხის კარზე,
ტან აქუს ალვისა,
თმა ასხია ბროწეულისა,
ქსელი უდგას ძოწეულისა“

[13, გვ. 126].

ამრიგად ქართული ფოლკლორული და ეთ-
ნოგრაფიული მასალებით აშკარად იკვეთება
მოხუცი ქალის სახე, რომელიც ზოგჯერ შავებ-
შია ჩაცმული, რაც მის ქტონიურობაზე მიუთი-
თებს. იგი ბედის მრთველი ან ბედისმწერელია.
ერთ-ერთ თქმულებაში ამირანის შესახებ მოთ-
ხრობილია ამირანის ბრძოლაზე გველეშაპთან,
რომელსაც ხან „შავი გველეშაპი“ ეწოდება, ხან

„ქარცეცხლი“. სვანურ თქმულებებში ეს გველეშაპი (ან ღვევი) კლდის თავზე ზის და მატყლს რთავს. თითისტარად მას ნაძვის ხე აქვს, ხოლო ჯარად – წისქვილის ქვა [15, გვ. 193]. აქაც გველეშაპი – ქტონიური ბუნების არსება, თითისტარით ზის კლდის თავზე.

რიტუალში ნივთების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია მედიაციაა. იგი სამყაროს გაერთიანების ინსტრუმენტი. საგნების მედიატორებად გამოყენება ეფუძნება მათ ორბუნებოვნებას: ერთი მხრით ისინი განეკუთვნებიან ბუნების სამყაროს (მასალა მათ დასამზადებლად ბუნებიდანაა აღებული), მეორე მხრივ, ისინი განიცდიან სპეციალურ დამუშავებას, რომლის შედეგად ბუნების სამყაროდან ხელოვნურ სფეროში გადაინაცვლებენ და ამ ნიშნით კულტურულ საგნად გადაგვარდებიან [5, გვ. 86].

ჩვენი აზრით, კვირისტავის სამარხში ჩატანების რიტუალი შეიძლება დავუკავშიროთ უნივერსალური სიუჟეტის ზღაპარს კონკიას შესახებ; როდესაც ობოლ და ღარიბ გოგონას თითისტარი უვარდება ჯადოქარი დედაბრის მიწისქვეშა სახლის ერდოში. გარკვეული მოქმედების შედეგად კონკია გარდაიქმნება მზეთუნახავ და მდიდარ ქალწულად, რომელიც ცოლად მიჰყვება უფლისწულს, ხოლო ბოროტი და ზარმაცი დედინაცვლის შვილი, რომელიც შეეცდება კონკიას გზას დაადგეს, შინ ხელცარიელი ბრუნდება.

ვ. პროპი ამ ზღაპრის სიუჟეტში ხედავს ინიციაციის ანარეკლს [14, გვ. 120]. ეთნოლოგიაში საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინიციაცია გაიანაზრება როგორც სიკვდილი და ხელახალი დაბადება, რაც იმ აზრთანაა დაკავშირებული, რომ ახალ სტატუსში გადასვლამდე ინდივიდი უნდა განადგურდეს თავის ძველ თვისებებში [9, გვ. 26].

ამდენად „კონკიაში“ ზღაპრის გმირი ჩავარდნილი თითისტარის მეშვეობით ხვდება ჯადოქარი დედაბრის მიწისქვეშა საცხოვრებელში და გარკვეული დროის შემდეგ გარდაქმნილი უბრუნდება თავის სამყაროს.

ზემოთ მოტანილი მასალა, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვიყენოთ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებში დაფიქსირებული რიტუალის (მიცვალებულისათვის კვირისტავის ჩატანება) ასახსნელად.

ჩვენი აზრით, მიცვალებულს სამარხში კვირისტავს ატანდნენ როგორც ნიშანს ბედისმწერელ ქალღმერთთან მოსახვედრად, რომელსაც ესა თუ ის პირი ხელახლა უნდა მოევიდინა ამ ქვეყანაზე ახალ სტატუსში. ამრიგად კვირისტავი იყო სიცოცხლის განახლების სიმბოლო.

მტკვარ-არაქსის კულტურაში კვირისტავის ჩატანება დადასტურდა სხვადასხვა ტიპის სამარხებში (ქვაყუთი, ნალისებური და ორმოსამარხი), რომლებიც ერთი პერიოდით – ძვ. წ. IV-III ათასწლ. მიჯნით თარიღდება.

კვირისტავის შემცველი სამარხებიდან მხოლოდ ამირანისგორის № 36 და № 24 სამარხებია ინდივიდუალური, დანარჩენში კი რამდენიმე მიცვალებული ესვენა. ზოგ სამარხში დასტურდება ცხოველების შეწირვა მიცვალებულისათვის (ამირანისგორა, კიკეთის № 1 სამარხი, მარნეულის ველის № 3 ყორღანი).

ზემოთ განხილული სამარხებიდან ორი გამოირჩევა თავისი „საკრალური“ ინვენტარით: ამირანისგორის № 36 სამარხი თავისი „ნიშნებიანი“ ჭურჭლით და სპილენძის სატევრისპირით და სამშვილდის № 6 სამარხი ორვოლუტიანი საკინძით, ობსიდიანის „ფანჯრებიანი“ ჭურჭლებით და უჩვეულო რელიეფური ორნამენტით, რაც უსათუოდ მიუთითებს ამ სამარხებში დაკრძალულ მიცვალებულთა განსაკუთრებულობაზე. სხვა კვირისტავებიანი სამარხებიდან ორი გამარცხელია (სამშვილდის №№ 20 და 24), დანარჩენი კი არ გამოირჩევა თავისი ინვენტარით.

გამომდინარე იქიდან, რომ კვირისტავი მიწისქვეშა ქალღმერთის ატრიბუტია, ზემოთ განხილული სამარხებიდან კი ორი გამოირჩევა თავისი ინვენტარის „საკრალურობით“, აგრეთვე გავითვალისწინეთ რა ის ფაქტიც, რომ რიტუალში მონაწილე ყველა ნივთი საკრალურია, შეიძლება დავასკვნათ, რომ კვირისტავის შემცველ სამარხებში დაკრძალული პირები დაკავშირებული იყვნენ ქტონიური ღვთაების კულტთან, რომლებისთვისაც სიკვდილი და ინიციაცია გაიგივებული იყო. მიწისქვეშა მქსოველ ქალღვთაებასთან მისი ნიშნის, კვირისტავის მიტანით, ისინი ახალი სტატუსით ბრუნდებოდნენ სააქოს.

Н. Э. Шаншавили

СЕМИОТИЧЕСКИЙ СТАТУС ПРЯСЛИЦА В ПОГРЕБАЛЬНОМ РИТУАЛЕ КУРО-АРАКСКОЙ КУЛЬТУРЫ

(Резюме)

В погребениях куро-аракской культуры иногда встречаются костяные или каменные пряслица. Пряслица обнаружены в погребении № 36 на Амиранис гора, в погребениях №№ 3, 6, 20, 24, из Самшвилде, во 2-м погребении III курганной насыпи, а также из погребений № 1 и № 12. Также как и все предметы, находящиеся в погребении, пряслице определенным образом связано с погребальным ритуалом. Если в быту тот или иной предмет имеет чисто утилитарное значение, то в ритуале предмет обретает значение символа.

По нашему мнению, пряслице в погребении имеет значение символа богини Судьбы, богини, схожей с хеттской Истустайей и Папайей, греческим Мойрами, римскими Парка-

ми и скандинавскими Норнами, чьим атрибутом было веретено.

N. Schanschawili

**SEMIOTISCHER STATUS DER
WIRTEL IM GRABRITUAL
DER KURA-ARAX-KULTUR**
(Zusammenfassung)

In den Gräbern der Kura-Arax-Kultur kommen manchmal die Wirtel aus Knochen und Stein vor. Sie sind gefunden worden: in den Gräbern № 24 und № 36 auf dem Amiranisgora, in den Gräbern № 3, 6, 20, 24 aus dem Gräberfeld Samschwilde, im Grab № 2 aus dem Kurgan № 3 von Marneuli; In Kiketi im Grab № 2 des I. Kurganes, und auch in den Gräbern № 1 und № 12. Fast alle Gegenstände wie auch die Wirtel sind in bestimmter Weise mit dem Grabritual verbunden. Wenn im Haushalt dieser oder jener Gegenstand eine utilitaristische Bedeutung hatte, bekam er im Ritual symbolische Bedeutung. Unserer Meinung nach haben die Wirtel aus den Gräbern eine symbolische Bedeutung der Gottheit des Schicksals, die sehr ähnlich zu hethitischen Gottheiten Istustaja und Papaja, zu griechischen Moiren, römischen Parken und skandinavischen Nornen waren und deren Attribut der Wirtel war.

ლიტერატურა:

1. ტ. ჩუბინიშვილი. ამირანის გორა, თბ. 1963.
2. გ. მირცხულავა. სამშვილდე. თბ., 1975.
3. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.). თბ., 1975.
4. გ. ფნაკაძე. ქვემო ქართლის ენეოლითი. თბ., 1963.
5. **А. К. Байбурин.** Семиотические аспекты функционирования вещей – Сб. Этнографическое изучение знаковых средств культуры. Л., 1989.
6. **А. Ф. Лосев.** Философия. Мифология. Культура. М., 1991
7. **М. Порко.** Mitologia hetyckey Anatolii. Warszawa, 1980.
8. Мифы народов мира. т. II., М., 1982.
9. **ნ. აბაკელია.** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ. 1997.
10. **M. Everson.** Tenacity in religion, myth and folklore: The neolithic goddess of old Europe preserved in a non-indo-european setting. The Journal of indo-european studies, vol. 17, no 3/4 , 1989.
11. იყო და არა იყო რა – ქართული ხალხური ზღაპრები. თბ., 1974.
12. ი. სურგულაძე. ქართული ხალხური ორნამენტი. თბ., 1986.

13. „გველი მოგვალ უფლისათვის“ – ქართული შელოცვები – თბ., 1992.

14. **В. Пропп.** Исторические корни волшебной сказки, М., 1964.

15. **ი. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. ტ. I, თბ., 1979.

ზურაბ მახარაძე

ენეოლით-აღრებრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი პრობლემა

აღრებრინჯაოს ხანის კავკასია, წარმოდგენილი ორი ბრწყინვალე არქეოლოგიური კულტურით – მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის, ყოველთვის იყო მკვლევართა ყურადღების ცენტრში. დიდძალი ლიტერატურა მიემდგვნა ამ კულტურების შესწავლას. 70-იან წლებში მუნჩაევმა [1] და ჯაფარიძემ [2] თავის შემაჯამებელ ნაშრომებში, იმ დროისათვის არსებული მასალების საფუძველზე, შეიმუშავეს აღრებრინჯაოს ხანის კავკასიის ზოგადი განვითარების სქემა, რომელსაც დღემდე იზიარებს მკვლევართა უმრავლესობა. მაგრამ მაშინვე გამოითქვა აზრი, რომ ბევრი კარდინალური საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. კერძოდ, სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა კავკასიის სხვადასხვა რეგიონების ურთიერთობის საკითხებს და მათი კულტურულ-ისტორიული განვითარების კანონზომიერებებს; არ იყო გადაწყვეტილი ამ კულტურების გენეზისის საკითხები, დაზუსტებას მოითხოვდა ქრონოლოგია, არ იყო ერთნაირი აზრი ამ კულტურების დაცემის თაობაზე; არ იყო გამორკვეული მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის კულტურების გენეტიკური ნათესაობის საკითხი ადგილობრივ ნეოლით-ენეოლითური და შემდგომ შუაბრინჯაოს ხანის კულტურებთან; თვით ამ კულტურების ურთიერთობების საკითხს არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება, ამის გარეშე კი შეუძლებელია გადაწყვედეს ბევრი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა.

ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიაში ბოლო დროს განსაკუთრებით ფართოდ წარმოებული საველე კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული ახალი მასალები ხშირად ცვლიან ჩვენს შეხედულებებს აღნიშნულ პერიოდზე. ახალი მონაცემების საფუძველზე გაჩნდა მრავალი მნიშვნელოვანი მოსაზრება, მაგრამ ეს კვლევის პროცესი იზოლირებულად მიდის სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში, რაც ხელს უშლის ერთიანი სურათის შექმნას.

მაიკოპის კულტურამ თავისი კულტურულ-ისტორიული და ქრონოლოგიური ინტერპრეტაცია მიიღო ა. იესენის [3; 4], ა. ფორმოზოვის [5], რ. მუნჩაევის [1] და სხვათა ნაშრომებში. ძირითადად გამოიყოფოდა ორი ეტაპი: აღრებული – მაიკოპისა და გვიანდელი – ნოვოსვობოდნაის. მთლიანად კულტურა თარიღდება ძვ. წ. III ათასწლ. მეორე ნახევრით.

მაიკოპის კულტურის მკვლევარები თავიდანვე აკავშირებდნენ მას მცირე აზიისა და მესოპოტამია-ირანთან, მაგრამ ეს პარალელები განხილული იყო მხოლოდ ხელოვნების ნიმუშებისა და ლითონის ინვენტარის მაგალითზე, უპირატესად, ეს ანალიზი, ალაჯაჰუიუკისა და

ურის სამეფო სამარხებთან იყო დაკავშირებული, ხოლო მასობრივ მასალას, როგორცაა კერამიკა და ქვა, არავითარი ყურადღება არ ეთმობოდა. ძლიერი წინააზიური გავლენა, რომელიც გამოიხატა მაიკოპის კულტურის არა მარტო ყორღანებში აღმოჩენილ უნიკალურ ნივთებში, არამედ კერამიკულ მასალაშიც, რომელსაც არაფერი აქვს საერთო წინამორბედ ადგილობრივ ნაწარმთან და საოცარ ერთიანობას ამჟღავნებს იმპორტულად მიჩნეულ ლითონსა და ვერცხლის ჭურჭელთან, მისცა საფუძველი მკვლევარებს, ევარაუდათ რაღაც განსაზღვრული ცენტრის არსებობა, საიდანაც ეს კულტურა გავრცელდა ჩრდილო კავკასიაში.

მაიკოპის კულტურის საწყისების ძიებამ მ. ანდრეევა მიიყვანა მესოპოტამიის, სირიის და პალესტინის ძვ.წ. IV ათასწ. ძეგლებთან, სადაც იგი პოულობს მაიკოპის კერამიკულ ფორმებს ამუქ F ფაზაში, გავრა XII-VIII-ში, კალათ-ერუსში (19-17), ჰამა M-ში, ბიბლოსში (ენეოლითური ნეკროპოლი), ხალაფშიც და ირანის გეო-თეფეს ქვედა ფენაში. კერამიკის ფორმის, ფერის, ტექნოლოგიის საოცარმა ერთობამ და ლითონის ინვენტარის სიახლოვემ მისცა ავტორს შესაძლებლობა აღრებრინჯაოს თარიღი ძვ. წ. IV ათასწლ. მეორე ნახევრისკენ გადაეწია [6, 39-56; 7, 22-36].

მაიკოპის კულტურის დაძველებას მხარს უჭერს დასავლეთ საქართველოს მღვიმეებში – საგვარჯლე, სამელე-კლდე, სამერცხლე კლდე, ძუძუნა, დარკვეთი, თეთრი მღვიმე, ვორონცოვის მღვიმე და სხვ. ენეოლით – აღრებრინჯაოს ფენებში – ადგილობრივ მასალასთან ერთად, მაიკოპური კერამიკისა და სხვა მასალების აღმოჩენა. გ. ფხაკაძე ათაილებს ამ ფენებს ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლოთი და ძვ. წ. III ათასწლ. დასაწყისით [8, 22-35]. ხოლო ლ. ნებიერიძე უფრო აღრეულად მიიჩნევს მათ და ძვ. წ. IV ათასწლ. I ნახევარს მიაკუთვნებს [9, 173].

ვ. ტრიფონოვი, „კულტურათა ბლოკების“ თეორიაზე დაყრდნობით [10, 19], თვლის, რომ წინა აზიაში, ზოგადად პოსტუბეიდის ხანაში, ყალიბდება ე. წ. „გავრას“ კულტურათა ბლოკი, რომლის ცენტრს იგი ვარაუდობს ჩრდილო მესოპოტამიაში, რომელიც წარმოდგენილი იყო ისეთი ტიპის ძეგლებით, როგორცაა თეფე-გავრა XII-VIII, ხოლო გავრცელების არეალი მოიცავდა სირია-კილიკიას (ამუქ F), აღმოსავლეთ ანატოლიას (თილქი-თეფე II, II, ხისარსი IV, თეფეჩიკი, დეგერმენტეფე III) და ჩრდილო-დასავლეთ ირანს (გეო-თეფე). ამ პერიოდში აქ თითქმის ქრება მოხატული ჭურჭელი და ჭარბობს გაპრიალებული, მრგვალძირიანი, მორგვზე

დამზადებული კერამიკა [10, 20]. ჩრდილო კავკასიის ენოლითი იყო ამ ბლოკის ჩრდილო პერიფერია. ადრეულ ძეგლებად მას მიაჩნია ნამოსახლარები ზამოკ, სვობოდნოე, მეშოკოს ქვედა ფენა, იასენოვა პოლიანა, სკალა, ხაჯოხი და მათი მსგავსი. თვით მაიკოპის ყორღანს ვ. ტრიფონოვი მიაკუთვნებს ადრეული ეტაპის ფინალს. ჩრდილო კავკასიის ენოლითი არ იყო მოწყვეტილი წინააზიურ ცენტრებს და პირდაპირ უკავშირდებოდა მათ ამიერკავკასიაში ამ დროს გავრცელებული ადრესამიწათმოქმედო ძეგლების მეშვეობით. ასეთ ძეგლებს იგი მიაკუთვნებს დასავლეთ საქართველოს მღვიმურ ნამოსახლარებს, ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიაში – სიონის ტიპის ძეგლებს, წოფი, ილანლი-თეფე, ალიკემეკ-თეფესის ზედა ფენებს, ტეხუტა, მიშარაი, ლეილა-თეფეს, იმ ძეგლებს, რომლებიც ქრონოლოგიურად თავსდებათ შულავერ-შომუთეფეს და მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის. ამ ძეგლების არსებითი განსხვავების მიუხედავად, მათთვის დამახასიათებელია ის, რომ აქ ერთდროულად გამოჩნდა (ისევე როგორც ჩრდილო კავკასიაში) კარგად გამოძწვარი, გაპრიალებული, ან ე. წ. თხუპნია, მონაცრისფრო ან მოყავისფრო ფერის, მრგვალიძირიანი, ძაბრისებურყელიანი ჭურჭელი [10, 20-21].

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სტრატეგრაფიული მონაცემები შიდა ქართლში გათხრილ ნამოსახლარ ბერიკლდეებიდან [11, 80-86], სადაც მტკვარ-არაქსის ფენის ქვეშ გამოვლენილია კულტურული ფენა. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ქვედა ფენის მასალები სიახლოვეს ამჟღავნებენ როგორც წოფისა და სიონის კერამიკასთან, ასევე, და უფრო მეტად, დასავლეთ საქართველოს მღვიმური ენოლითის მასალასთან და ადრეული მაიკოპის კერამიკასთან. სტრატეგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ქვედა ფენას ძვ. წ. IV ათასწლ. პირველ ნახევარს მიაკუთვნებენ [11, 86].

კულტურული ერთიანობა ჩრდილო კავკასიისა წინა აზიასთან არ იყო ხანგრძლივი. მისი დარღვევა, როგორც ვარაუდობენ, დაკავშირებულია ამიერკავკასიაში და საერთოდ, წინა აზიაში ახალი შავ- და წითელპრიალა კერამიკის მატარებელ კულტურათა ბლოკის შექმნასთან (მტკვარ-არაქსის, კირბეტკერაკის და მათი მონათესავე კულტურები). კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე, ფართო ზოლად, მან მოკვეთა მაიკოპის კულტურა ჩრდილო მესოპოტამიის ცენტრებს, შეცვალა კულტურულ-ისტორიული სიტუაცია აღმოსავლეთ ანატოლიაში და ჩრდილო-დასავლეთ ირანში. მაიკოპის კულტურის იზოლაციის პროცესი დაიწყო ურუქის პერიოდის ბოლოს – ადრეინასტიური ხანის დასაწყისში (მესოპოტამური პერიოდიზაციით) ამუქ H-ს (სირია-პალესტინისათვის) შესატყვისად [10, 21]. ამავე დროისათვის ვარაუდობენ ძლიერ ევროპულ გავლენას მაიკოპის

კულტურაზე [12, 32]. რამაც გამოიწვია ნოვოსვობოდნაის ტიპის ძეგლების ჩამოყალიბება.

ნოვოსვობოდნაის ეტაპზე, საზოგადოების გაზრდილი სოციალური დიფერენციაციის ამსახველ მდიდრულ სამარხებში, დაკრძალვის წესში აისახა ორივე ტრადიცია – ევროპული და ძველადმოსავლური. ყველაზე ძვირფასი, პრესტიჟული, კულტთან დაკავშირებული ინვენტარი წინააზიური პროტოტიპებიდან იღებს სათავეს, ხოლო ტიპიურ ევროპულად მიიჩნევენ მონუმენტური მშენებლობის დამკვიდრებას – ძველითური აკლდამები, ყორღანული ყრილები [10, 21].

ვ. ტრიფონოვი მაიკოპის კულტურას ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლოთი – ძვ. წ. III ათასწლ. შუახანებით ათარიღებს [10, 24]. მაიკოპის კულტურის დაძველების აუცილებლობაზე მეტყველებს ყველა ძეგლი, სადაც მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის კულტურების სტრატეგრაფიული მონაცემები მოიპოვება.

დასავლეთ საქართველოში, დარკვეთის მრავალფენიანი ეხის ენოლითურ (I-III) ფენებში ჩამოვლილია მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული სამარხები [9, 173].

ჩაჩხეთ-ინგუშეთში, ლუგოვოეს ნამოსახლარზე, ერთად გვხვდება მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის კერამიკა [1, 344-365]. ამ ნამოსახლარის ასაკის დადგენისას მაიკოპის კულტურისათვის მიღებული თარიღით ხელმძღვანელობდნენ და მას ძვ. წ. III ათასწლ. მეორე ნახევრის დასაწყისი ხანით განსაზღვრავდნენ [13, 71]. მაგრამ ო. ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ ამ ნამოსახლარზე მოპოვებული კერამიკული მასალა განსაკუთრებით უახლოვდება შიდა ქართლისა და კახეთის თიხის ჭურჭელს, სადაც ეს კერამიკული კომპლექსები მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის ადრეულ სტადიას უნდა მიეკუთვნებოდეს. ამის საფუძველზე იგი თვლის, რომ ჩრდილოეთში მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენა უფრო ადრე ხდება, არაუგვიანეს ძვ. წ. III ათასწლ. პირველი ნახევრის შუახანებისა [2, 165-166]. მაიკოპის კულტურის გადათარიღებით სრულიად ლოგიკური გახდა ერთ ფენაში გვიანდელი მაიკოპისა და ადრეული მტკვარ-არაქსის კერამიკის თანხვედრა.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამიერკავკასიის ძეგლების სტრატეგრაფიულ მონაცემებს.

ჯერ კიდევ 60-იან წლებში, შ. დედაბრიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ე. წ. „თხუპნია“ კერამიკა – ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს ნასოფლარის ქვედა ფენა [14, 55-82], და იორ-ალაზნის აუზში – ნამოსახლარი სიონი, გრემი [15, 69-71] და სხვა – დიდ მსგავსებას ავლენს მაიკოპის კულტურის ნოვოსვობოდნაის წრის კერამიკასთან. თეთრიწყაროს სტრატეგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით იგი

ათარილებს ამ კერამიკას ძვ. წ. IV ათასწლ. მეორე ნახევრით [15, 72].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი დადასტურდა ბერიკლდეების ნამოსახლარზე, სადაც მაიკოპის მსგავსი კერამიკის შემცველ ფენას ზევიდან აღევს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის (ხიზანანთ გორა უ) ფენა – [11, 82-86].

მოტანილი ფაქტები მეტყველებენ, რომ არა მარტო წინააზიური პარალელები, არამედ ამიერკავკასიის ძეგლების სტრატეგრაფიული მონაცემები, აუცილებელს ხდიან მაიკოპის კულტურის თარიღის დაძველებას. ზოგადად იგი შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. IV ათასწლ. მეორე ნახევრით – ძვ. წ. III ათასწლ. პირველი ნახევრით.

ამიერკავკასიის ძეგლები, რომლებიც კულტურულ-ქრონოლოგიურ სიანხლოვეს იჩენენ ადრემაიკოპის წრის ძეგლებთან (დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ენეოლითური ფენები, შიდა ქართლში ნამოსახლარ ბერიკლდეების ქვედა ფენა და სხვა) ქრონოლოგიურად თავსდება ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანებსა და მეორე ნახევარში, მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენამდე. ტრადიციული დათარიღება მტკვარ-არაქსის კულტურისა – ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლო – მთლიანად ძვ. წ. III ათასწლ. [16, 181-182; 1, 193]. – მართებულად მიგვაჩნია და წინარე მტკვარ-არაქსული მასალების სინქრონიზაციაც ადრეული მაიკოპის კულტურასთან მისაღებად ხდის მოცემულ ქრონოლოგიას.

მკვლევართა ნაწილი იზიარებს ო. ჯაფარიძის მოსაზრებას მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ძვ. წ. IV ათასწლ. მეორე ნახევრით დათარიღებისა [2, 89] და ამის საფუძველზე წინამორბედ ეტაპს ძვ. წ. IV ათასწ. პირველი ნახევრით ათარიღებს [9, 173; 11, 86]. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის ასეთი ადრეული პერიოდით დათარიღებას, ჩვენი აზრით, არა აქვს მყარი საფუძველი და სათანადო დასაბუთება.

თუმცა მტკვარ-არაქსის კულტურის ქრონოლოგიის, და განსაკუთრებით წარმომავლობის, საკითხები შემდგომ კვლევას მოითხოვს და კავკასიის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება.

აღნიშნული პრობლემა ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს, იგი განსაკუთრებული განხილვის საგნად უნდა იქცეს. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების თეორიას ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში, რომელიც უკანასკნელ წლებში შეიმუშავა მ. გაჯიევიძე.

მიღებული იყო, რომ ადრებრინჯაოს ხანაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა განიცადა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, პირველ რიგში დაღესტანში. აქ ეს კულტურა ვრცელდება როგორც ბარში, ისე მთისწინა და მთის ზოლ-

ში. ზღვისპირა ზოლში ცნობილია ამ დროის ნასოფლარები, შემდგარი რამდენიმე ბორცვისაგან. ესენია კაიაკენტის, ველიკენტის, გილარის, მახაჩკალის [1, 174-175]. მათ ვხვდებით მთისწინა ზოლში, სადაც ისინი უპირატესად განლაგებულია მდინარეებისა და მთის ტერასებზე – მეკევი, ჩირკეი [13, 31]. მთაში შესწავლილია ნასოფლარები – გინჩი [17, 55-61], ჩინა [18, 68-73], გალგალატლი [1, 75].

ამ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალის ანალიზის საფუძველზე რ. მუნჩაევი გამოყოფს დაღესტანს, თავისი მიმდებარე მხარით, აზერბაიჯანის ჩრდილო ნაწილით, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ლოკალურ ჯგუფად [1, 190].

შეინიშნება დაღესტნის ძეგლების დიდი მსგავსება ამიერკავკასიის მტკვარ-არაქსის ძეგლებთან, როგორც დასახლების ტიპით, ისე კერამიკითაც – ფორმებით, რელიეფური ორნამენტით. კერამიკაში არის თავისებურებაც, გამოიყოფა ერთი ჯგუფი ადგილობრივი კერამიკისა, რომელის ზედაპირი თხიერი თიხითაა დაფარული [1, 188-189].

როგორც ვარაუდობენ, ეს მხოლოდ კულტურული გავლენა არ იყო. ამიერკავკასიიდან, აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიიდან მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები შემოდიან და იკავებენ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას [19, 98].

მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა პერიოდში ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება ჩრდილო კავკასიაში. რ. მუნჩაევს მიაჩნია, რომ ეს პროცესი ხდება ძვ. წ. III ათასწლ. შუახანებში. იგი თვლის, რომ ადრეული ძეგლები არ არის დაღესტანში [1, 195]. აქ იგი გამოყოფს ორ ეტაპს. მისი აზრით, უფრო ადრეულია ბარის ძეგლები – კაიაკენტი და ველიკენტის ნამოსახლარები, ხოლო მთისწინა და მთის ზოლის ძეგლები მოგვიანო ეტაპს მიეკუთვნება და თარიღდება ძვ. წ. III ათასწლ. მეორე ნახევრით. ამ ეტაპს განეკუთვნება ნამოსახლარები – გალგალატლი უ, ჩირკეი და სხვა, სამაროვნები – შებოხა, კარაბუღახენტი. გინჩს და მეკევს იგი ათავსებს ამ ორ ჯგუფს შორის, თუმცა უფრო მეორესთან აკავშირებს [1, 195].

ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ მტკვარ-არაქსელთა გავრცელება დაღესტანში დაიწყო არაუგვიანეს ძვ. წ. III ათასწლ. I ნახევრის შუახანებიდან, და თვლის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტებმა აქ უფრო დიდხანს შემოინახეს თავი, ვიდრე ამიერკავკასიაში [2, 163].

70-იან წლებში, დაღესტნის ძეგლების შემდგომ კვლევამ მ. გაჯიევის საშუალება მისცა ახლებურად გაეშუქებინა მტკვარ-არაქსის ძეგლების პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხები.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ძეგლების ქრონოლოგია და პერიოდიზაცია მანამდე ეყრდნობოდა კერამიკის ტიპოლოგიურ-სტილისტურ ანალიზს, განსაკუთრებით ორნამენტაციას. ამ ანალიზის საფუძველზე გამოიყო ორი ჯგუფი ძეგლებისა; პირველისათვის დამახასიათებელია რელიეფური სპირალურ-კონცენტრული ორნამენტით შემკული ჭურჭელი და თხიერი თიხით ზედაპირდაფარული ჭურჭელი (კაიკენტი, ველიკენტი, მამაიკუტანი, ჩირკეი და სხვა), ხოლო მეორესათვის ძირითადად არაორნამენტირებული გლუვზედაპირიანი კერამიკა (გილარი, მეკეგი და სხვა). ქრონოლოგიური კავშირი ამ ორ ჯგუფს შორის გაურკვეველი იყო.

კაიკენტისა (გემე-ტუბე I) და ველიკენტის ნამოსახლარების გათხრებმა დაადგინა, რომ გლუვზედაპირიანი კერამიკა ქვედა ჰორიზონტებში გვხვდება, ხოლო მათ ზევიდან ადევს რელიეფური, სპირალურ-კონცენტრული ორნამენტით შემკული და თხიერი თიხით ზედაპირდაფარული კერამიკის შემცველი ფენები [20, 1].

მ. გაჯიევი, სტრატეგრაფიული მონაცემების საფუძველზე, დადესტინის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებში ორ ჯგუფს გამოყოფს. ადრეულ ჯგუფს მიეკუთვნება ნამოსახლარები – გემე-ტუბე I (ქვედა ფენა), გემე-ტუბე II, ველიკენტი (ქვედა ფენა), მეკეგი, გილარი, რომლებიც, მ. გაჯიევის აზრით, უშუალოდ უკავშირდება მთლიანი დადესტინის ენეოლითური კულტურის ძეგლებს – გინჩი, ჩინა და გენეტიკურადაც დაკავშირებულია მათთან. გვიანდელ ჯგუფს მიეკუთვნება ველიკენტი (ზედა ფენა), კაიტენის ნამოსახლარი, გემე-ტუბე I (ზედა ფენა), მამაიკუტანი, ჩირკეი და სხვა, რომლებიც მტკვარ-არაქსის ფინალურ ეტაპს ეკუთვნიან [20, 1-2].

ადრეული ჯგუფის ძეგლების გენეტიკურმა დაკავშირებამ გინჩის ნამოსახლარის ენეოლითურ მასალასთან მკვლევარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დადესტანი არის ერთ-ერთი კერამტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებისა [21, 27].

გინჩის ნამოსახლარი თავიდან მიაჩნდათ ორფენიან ძეგლად, ქვედა-ენეოლითური, ზედა-მტკვარ-არაქსეული [17, 55-61], მაგრამ მასალის შემდგომი დამუშავების შედეგად მ. გაჯიევი აკეთებს დასკვნას, რომ გინჩი ერთფენიანი ნამოსახლარია, სადაც ზედა და ქვედა ჰორიზონტებში თანაბრად გვხვდება ენეოლითური მასალა. იგი ამ ენეოლითურ მასალას თვლის მტკვარ-არაქსის ადრეულ კერამიკად და ეყრდნობა თეთრიწყაროს ნასოფლარის ქვედა ფენისა და კახეთის „თხუპნია“ კერამიკის პარალელებს [21, 17-18]. გინჩის კერამიკის სპეციალური შესწავლის შედეგად მას მოეძებნა ახალი პარალელები ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ძეგლებთან [22, 4-35]. განსაკუთრებით ახლოს დგას მასთან კახეთში აღმოჩენილი „წითელგორების“ ნამოსახლარის მასალები. მ.

გაჯიევი თვლის, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ მთიანი დადესტინისა და კახეთის მასალების ერთიანობაზე [22, 35].

მკვლევარი საბოლოოდ ასკვნის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბება სწორედ გინჩის ტიპის ძეგლებს უნდა დაეკავშიროთ [22, 34-35].

საქართველოში, ბოლო პერიოდში, გამოვლენილ და შესწავლილ იქნა ამ ტიპის ადრეული ძეგლები. კახეთში, ალაზნის ველზე, შესწავლილია რამდენიმე ნასახლარი [23, 18-36; 24, 19-25]. ქვემო ქართლში თ. კილურაძემ გათხარა და შეისწავლა სიონის ნამოსახლარი [25].

სიონისა და მსგავსი ტიპის ძეგლები შესწავლის საფუძველზე, თ. კილურაძე მივიდა დასკვნამდე, რომ ეს ძეგლები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ მტკვარ-არაქსის კულტურას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეტ-ნაკლებად ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდებიან და გარკვეული მსგავსების ნიშნებიც გააჩნიათ, საკმაოდ დიდია მათ შორის სხვაობაც.

მიუხედავად ამისა, თ. კილურაძე თვლის, რომ შეიძლება აღნიშნული ძეგლების ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობა. ამ მხრივ გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება შეინიშნება სიონისა და ალაზნის ველის ნამოსახლარებს შორის. მათგან ყველაზე ადრეულად თვით სიონს მიიჩნევენ, რომლის მასალაში მკვეთრად დასახული არქაული ნიშნები, როგორც კერამიკაში, ისე ქვის მასალაში [25, 31]. ქრონოლოგიურად სიონთან ახლოს დგას ალაზნის ველის №3 ნამოსახლარი, სადაც პირდაჭდეულ და ზემოდან ჩაჩხვლეტილფოსობიანი კერამიკის ფრაგმენტებთან ერთად გვხვდება სავარცხლისებური ნივითი ზედაპირდამუშავებული კერამიკის ფრაგმენტებიც. მაგრამ მსგავსების გარდა, არის განსხვავებული ნიშნებიც. №3 ნამოსახლარის კერამიკაზე გვხვდება რელიეფური კოპები, კოპისებური ჰორიზონტალური დანაძერწები, ჭურჭლის პირს ქვემოთ დატანილი გამჭოლი ნახვრეტები და ყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტები [25, 31; 23, 23-25]. №3 ნამოსახლარზე უფრო მოგვიანოა, მაგრამ მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია აქვე გათხრილი „დამწვარი გორის“ მასალები. აქ უკვე აღარ გვხვდება ის ერთეული ნაწარმიც კი, რომლითაც № 3 ნამოსახლარის მასალა უკავშირდებოდა სიონს. ამასთანავე ალაზნის ველის ამ ორი ძეგლის კერამიკული ნაწარმის ძირითადი მასა ძალიან მსგავსია, თითქმის ერთგვაროვანია. „დამწვარი გორაზე“ გვხვდება კოპებით ან კოპისებური ჰორიზონტალური შვერილებით შემკული კერამიკა, თიხის ჭურჭლები პირს ქვემოთ დატანილი გამჭოლი ნახვრეტებით, „ბიბილოსებურშვერილიანი“ კერამიკა, ყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვა [24, 21-23].

გინჩის კერამიკა დიდ მსგავსებას ავლენს ზემოთ მოხსენებულ ძეგლებთან. მისთვის დამახასიათებელია როგორც დაკენჭილი პირი, ისე

პირს ქვემოთ მდებარე გამჭოლი ნახვრეტები [22, 7-13]. კერამიკის გამოწვის წესი და შედარებით მაღალი ხარისხი მიგვანიშნებს ამ ძეგლის გვიანდლობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სიონთან გინჩის ნამოსახლარს აკავშირებს ნაგებობის ტიპებიც, სადაც სიონის ანალოგიური ქვის წრიული კედლებია დადასტურებული [25, 12]. სხვა ძეგლების მსგავსად, გინჩიც გამოირჩევა თავისებურებით.

აღნიშნული მიზეზების გამო, ჩვენ ვეთანხმებით თ. კილურაძის აზრს, რომ ჭირს ამ ძეგლების ერთ არქეოლოგიურ კულტურაში გაერთიანება. ჯერ-ჯერობით მეტ-ნაკლები პირობითობით დასაშვებია ამ ძეგლების გაერთიანება ერთ დიდ კულტურულ ერთობაში, რომელიც ეტაპობრივად წინ უსწრებს მტკვარ-არაქსის კულტურას [25, 33].

ამრიგად, დაღესტნის მთის ზონის ძეგლები – გინჩი, რუგუჯა, ჩინა – მიეკუთვნება სიონის ტიპის ძეგლებს, რომლებიც მთის ზოლში უფრო დიდხანს შემოინახა, ვიდრე ბარში და შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე თანაარსებობს მტკვარ-არაქსის კულტურასთან, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ვრცელდება ამიერკავკასიიდან და პირველ რიგში იკავებს ზღვისპირა ზოლს – ნამოსახლარები ველიკენტი და სხვ, სადაც ქვედა ფენებში საკმაოდ ადრეული მტკვარ-არაქსის კულტურის მასალა აღმოჩნდა. ეს პროცესი, სავარაუდებელია, უნდა დაწყებულიყო ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა ხანებში და გაგრძელდა ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლომდე.

დაღესტნის მტკვარ-არაქსის კულტურის ქრონოლოგიურ გვიანდლობაზე მეტყველებენ მასალები ველიკენტის ნამოსახლართან გათხრილი სამაროვნიდან [26, 101]. კატაკომბურ სამარხებში, ველიკენტის, კაიაკენტის, გემეტუბე I და სხვა ნამოსახლარების ზედა ფენების ტიპიურ კერამიკასთან ერთად, რომელიც დამახასიათებელია დაღესტნის მტკვარ-არაქსის ლოკალური ვარიანტისათვის, გვხვდება იმპორტული ბედენური კერამიკა და სხვა მასალები. ისინი ათარილებენ აღნიშნულ სამარხებს, და შესაბამისად, შემოჩამოთვლილი ნამოსახლარების ზედა ფენებს, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით [27, 100; 28, 7-9].

განხილული ძეგლების შედარება ქრონოლოგიურ მიმართებაში ამიერკავკასიის ძეგლებთან ცხადყოფს, რომ როგორც მტკვარ-არაქსულ ხანაში, ისე მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის დროს, ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის განვითარება ჩამორჩება ამიერკავკასიის კულტურული განვითარების ტემპებს. დაღესტნის ძეგლებზე აშკარად ჩანს, რომ კულტურული გავლენა ვრცელდებოდა ამიერკავკასიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და არა პირიქით. ამიტომ მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისების ძიება დაღესტანში გამართლებული არ უნდა იყოს.

მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის, მისი გენეზისის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პრობლემაა კავკასიის არქეოლოგიაში. ყურადღებას იმსახურებს ყველა ცდა მისი გადაწყვეტისა, მაგრამ საჭიროა პირველ რიგში მთლიანად კავკასიის კულტურულ-ისტორიული განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიურ კულიტურებთან ბევრი გადაუჭრელი საკითხია დაკავშირებული, რომელიც შემდგომ კვლევასა და გააზრებას მოითხოვს. მაგრამ დღეს არსებული მონაცემებიც ხშირად ცვლიან ჩვენს შეხედულებას ამ პერიოდის კავკასიაზე. მაიკოპის კულტურის გადათარილებით საგრძნობლად იცვლება წარმოდგენა კულტურულ-ისტორიულ სიტუაციაზე კავკასიაში ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში.

(ნაშრომი მომზადებულია 1989 წელს).

შენიშვნები:

1. **Р. М. Мунчаев.** Кавказ на заре бронзового века. М., 1975.
2. **ო. ჯაფარიძე.** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.
3. **А. А. Иессен.** К хронологии "больших кубанских курганов". СА. XII. 1950.
4. **А. А. Иессен.** Майкопская культура и ее датировка. Тезисы докл. посвящ. итогам полевых исслед. 1961 г. М., 1962.
5. **А. А. Формозов.** Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965.
6. **М. В. Андреева.** К вопросу о южных связях майкопской культуры. СА. N1. 1977.
7. **М. В. Андреева.** Об изображениях на серебряных майкопских сосудах. СА. N 1. 1979.
8. **გ. ფხაკაძე.** დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხები. სას. III. თბ., 1985.
9. **ლ. ნებიერიძე.** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.
10. **В. А. Трифонов.** Некоторые вопросы переднеазиатских связей майкопской культуры. КСИА. 192. М., 1987.
11. **Л. И. Глonti, А. И. Джавахишвили.** Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита – поздней бронзы в Шида Картли – Бериклдеби. КСИА. 192. М., 1987.
12. **А. Д. Резепкин.** К интерпретации росписи из гробниц майкопской культуры близ станицы Новосвободная. КСИА. 192. М., 1987.

13. **Р. М. Мунчаев.** Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа. МИА. 100. 1961.
14. **გ. გობეჯიშვილი.** თეთრიწყაროს ნასოფლარი. თბ., 1978.
15. **Ш. Ш. Дедабришвили.** Памятники эпохи ранней и средней бронзы. ТКАЭ. I. Тб., 1969.
16. **К. Х. Кушнарера, Т. Н. Чубинишвили.** Древние культуры Южного Кавказа. Л., 1970.
17. **М. Г. Гаджиев.** Новые данные о южных связях Дагестана в IV-III тыс. до н. э. КСИА. 108. 1966.
18. **Д. М. Атаев, К. Х. Кушнарера.** Два поселения в урочище Чинна. КСИА. 108. 1966.
19. **В. М. Котович.** Верхнегунибское поселение. Махачкала, 1965.
20. **М. Г. Гаджиев.** К периодизации Куро-Аракской культуры на Северо-Восточном Кавказе. Крупновские чтения (тезисы). М., 1980.
21. **М. Г. Гаджиев.** Древнейшие поселения горного Дагестана. "Древние и средневековые памятники Дагестана". Махачкала, 1980;
22. **М. Г. Гаджиев.** Керамика горного Дагестана эпохи раннего металла. "Керамика древнего и средневекового Дагестана". Махачкала. 1981.
23. **ვ. ვარაზაშვილი.** ძვ. წ. IV ათასწლ. შუა ხანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან. კახეთ. არქ. ექსპ. შრ. IV. თბ., 1980.
24. **ვ. ვარაზაშვილი & ნამოსახლარი „დამწვარი გორა“.** კახეთ. არქ. ექსპ. შრ. VI. თბ., 1984.
25. **მ. მენაბდე, თ. კიღურაძე.** სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1981.
26. **М. Г. Гаджиев.** изучение памятников бронзового века в Прикаспийском Дагестане. АО. 1979. М., 1980.
27. **Р. М. Магамедов.** Охранные раскопки Великентского могильника. АО. 1984. М., 1986.
28. **М. Г. Гаджиев, С. Н. Корневский.** Металл великентской катакомбы. "Древние промыслы, ремесло и торговля в Дагестане". Махачкала, 1984.

Zurab Makharadze

SOME PROBLEMS OF THE CAUCASIAN ARCHAEOLOGY OF AENEOLITHIC-EARLY BRONZE AGE (Summary)

New data on the Caucasian archaeology often change the idea of historical-cultural processes in the Aeneolithic-Early Bronze Age. Shifting

Maikopian culture backwards, i. e. dating it to the second half of the 4th millennium B. C. on the basis of Near Eastern parallels (Andreeva, Trifonov), finds confirmation in the materials of the Transcaucasus.

Pre-Kura-Araxean layers of cave monuments of Western Georgia are related to the Maikopian culture (Nebieridze, Pkhakadze), the lower layer of the Berikldeebi settlement in Inner Kartli (Ghlonti, Javakhishvili) and the monuments of the Transcaucasus that are close to them culturally and chronologically, are dated to the middle or the second half of the 4th millennium B. C.

The revised dating of Maikopian culture change the whole picture of the historical and cultural situation in the Caucasus in the Aeneolithic-Early Bronze Age.

The view according to which Dagestan was one of the seats of formation of the Kura-Araxes culture (Gadjiev) cannot be accepted for a comparison of the Ginhi materials with Sioni-type monuments of Eastern Georgia and Kura-Araxes monuments of Dagestan and the Transcaucasus points to the primary cultural influence of the Caucasus on the North-Eastern Caucasus, and not vice-versa.

The problem of the origin of the Kura-Araxes culture remains a major one in Caucasian archaeology, calling for future study. In tackling the problems of the Aeneolithic-early Bronze Age, all the data on the cultural and historical development of the Caucasus in the 4th-3rd millennia B. C. should be taken into account.

3. Махарадзе

НЕКОТОРЫЕ ПРОБЛЕМЫ КАВКАЗСКОЙ АРХЕОЛОГИИ ЭПОХИ ЭНЕОЛИТА – РАННЕЙ БРОНЗЫ (Резюме)

Новые данные по археологии Кавказа часто меняют наши представления о культурно – исторических процессах в эпоху энеолита – ранней бронзы.

Удревнение майкопской культуры, датировка ее II половиной IV тыс. до н. э. на основе переднеазиатских параллелей (Андреева, Трифонов) получает подтверждение в материалах Закавказья. С майкопской культурой связаны докуро-аракские слои пещерных памятников Западной Грузии (Небиеридзе, Пхакадзе), нижний слой поселения Бериклдееби в Шида-Кртли (Глonti, Джавахишвили) и близкие им культурно-хронологически памятники Закавказья, датируемые серединой – второй половиной IV тыс. до н. э.

Передатировка майкопской культуры по-новому заставляют взглянуть на всю культурно-историческую ситуацию на Кавказе в эпоху энеолита-ранней бронзы.

Представление о Дагестане как об одном из очагов формирования куро-аракской культуры (Гаджиев) не может быть принято, так как сравнение материалов Гинчи с памятниками типа Сиони в Восточной Грузии и куро-аракских памятников Дагестана и Закавказья указывает на первичность влияния культур Закавказья на Северо-Восточной Кавказа, а не наоборот.

Проблема происхождения куро-аракской культуры остается попрежнему одной из самых важных в кавказской археологии и требует дальнейшего изучения. При решении проблем эпохи энеолита-ранней бронзы необходимо учитывать все данные о культурно-историческом развитии Кавказа в IV-III тыс. до н. э.

ლ. სახაროვა

კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ.

კოლხური კულტურის დახასიათებას ჩვეულებრივ კოლხური ცულით იწყებენ, რადგან სწორედ კოლხური ცულით მოხდა თავდაპირველად ამ კულტურის გამოყოფა და აღიარება. მართალია, ერთი იარაღით არქეოლოგიური კულტურა არ განისაზღვრება, მაგრამ ფაქტია, რომ კოლხურმა ცულმა თავისი საოცარი, განუმეორებელი ფორმით იტვირთა კოლხური კულტურის განმსაზღვრელი როლი. ყოველ შემთხვევაში, საერთოდ კოლხური კულტურის ერთი ეტაპი მაინც შექმნა. ამიტომ კოლხური ცული კოლხური კულტურის ყველაზე არსებით და წამყვან იარაღად ითვლება.

კოლხური ცულის ტიპოლოგიური კვლევის საწყისი რ. ვირხოვის სახელთანაა დაკავშირებული. შემდგომ ცულების ტიპოლოგიას ეხებოდნენ თავიანთ ნაშრომებში ე. შანტრი, პ. უვაროვა, ფ. ჰანჩარი.

კოლხური ცულის მონოგრაფიული კვლევა ეკუთვნის ო. ჯაფარიძეს. მან საფუძვლიანად, სრულიად მართებულად, გააკრიტიკა ზემოთ აღნიშნულ მკვლევართა მოსაზრებანი და მოგვცა ახალი ცდა კოლხური ცულების კლასიფიკაციისა. ო. ჯაფარიძის ტიპოლოგიური დაჯგუფების საფუძველია ცულის ფორმა, რომელიც მას არსებით მომენტად მიაჩნია. აქედან გამომდინარე, იგი სამ ძირითად ტიპს გამოყოფს (ტაბ. I₁). I და II ტიპები კიდევ თითო ქვეტიპს შეიცავენ. ო. ჯაფარიძე ფიქრობდა, რომ კოლხური ცულის I ტიპი ყველაზე ადრე შექმნილი ფორმაა. ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციაში ქვეტიპების გამოყოფა არასწორად მიგვაჩნია, რადგან I ტიპის ქვეტიპი ფაქტიურად მისი ადრეული ფორმაა, ხოლო II ტიპის ქვეტიპი სრულიად ჩამოყალიბებული ცალკე ტიპია. კლასიფიკაციაში არ არის გათვალისწინებული ცულების ქრონოლოგიურ-ევოლუციური განვითარება. ასევე არ არის გათვალისწინებული ეს ასპექტი ე. კრუზნოვისეულ კლასიფიკაციაში (ტაბ. I₂). კოლხურ-ყობანურ ცულებში იგი ხუთ ტიპს გამოყოფს და ყოველ მათგანს რეგიონალურობას ანიჭებს. პირველ ტიპს იგი ყუბანისპირულს უწოდებს. მისთვის დამახასიათებელია დაწახნაგებული ყუა, ხოლო ტანი და პირი თითქმის სოლური. მეორე ტიპი შეესაბამება ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის პირველ ტიპს და მას იგი კოლხურს უწოდებს. მესამე ტიპი შეესაბამება ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის მესამე ტიპს და მას ყობანურს უწოდებს. მეოთხე და მეხუთე ტიპში ე. კრუზნოვი აერთიანებს ყუადაწახნაგებულ და ყუაკვერიან ცულებს (ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის II ტიპი), რომელთაც სამუშაო ცულებს უწოდებს და რადგან ყველა მის მიერ ჩამოთვლილი კულტურებისათვის

(ყუბანისპირული, ყობანური, კოლხური) ერთნაირად დამახასიათებლად მიაჩნია, მას ატიპიურს უწოდებს. როგორც ვხედავთ, აქაც არ არის გათვალისწინებული ქრონოლოგიური ასპექტი და ცულების განვითარების ევოლუცია. IV და V ტიპი ფაქტურად ერთი ტიპია. არამართებულია ცულების კულტურული ატრიბუციაც.

კოლხური ცულების სრულიად ახლებური კლასიფიკაცია მოგვცა დ. ქორიძემ, რომელმაც საფუძვლად აიღო ცულების ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური მონაცვლეობა. კოლხური ცულების განვითარებაში დ. ქორიძემ ორი ქრონოლოგიური ეტაპი გამოყო. პირველი განისაზღვრა ძვ.წ. XIV-XI საუკუნეებით, ხოლო მეორე – ძვ.წ. XI-VIII საუკუნეებით. პირველი ეტაპის კოლხურ ცულებში გამოიყო ორი ძირითადი სახე და ერთი ქვესახე ვარიაციებით, ხოლო II ეტაპის ცულებში – ორი სახე და ორი ქვესახე (ტაბ. II). სამი წლის შემდეგ კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისთან დაკავშირებით მან რამდენადმე გააღრმავა ცულების განვითარების სქემა და ეტაპობრივი დანაწევრებაც, მაგრამ სახეობრივად იგივე დატოვა (2, გვ. 15-18). ამრიგად, დ. ქორიძე იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც ცულების კლასიფიკაციისას გაითვალისწინა ცულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური განვითარება და დიდად შეუწყო ხელი კოლხური ცულების შემდგომი კვლევის საქმეს.

მაგრამ, ჩემი აზრით, დ. ქორიძის კლასიფიკაციაში არ არის გამოკვეთილი, თუ საბოლოოდ ძირითადად რა ტიპები შეიქმნა კოლხური ცულების განვითარების შედეგად. ამის მიზეზი ალბათ მრავალსახეობაა. I და III სახეობა ფაქტიურად ერთიდაიგივე ტიპია, მხოლოდ ქრონოლოგიურად განსხვავებული ისევე, როგორც II და IV სახეობები. ტიპოლოგიურად ერთგვარად ჩრდილში რჩება ე.წ. ტანმრუდი ცული, რომელიც ავტორს თავისი IV სახეობის პირველ ქვესახედ მიაჩნია. ძნელია აღსაქმელად ამდენი სახეების და ქვესახეების ხმარება. უცხოდ ისმის ტერმინის – სახეობის, ხმარება, როცა თითქოს მიღებულია ტერმინი – ტიპი, რომელიც გამოარჩევს გარკვეული მორფოლოგიური ნიშნების მატარებელ საგანს. ავტორმა ტიპი იმიტომ შეცვალა სახეობით, რომ იზიარებდა გ. გობეჯიშვილის მოსაზრებას, რომელიც კოლხურ ცულებს იარაღის ერთ ტიპად იხილავდა. მაგრამ კონკრეტული ერთი ტიპის წარმოდგენა, რომელშიც გამოხატული იქნებოდა კოლხური ცულებისათვის დამახასიათებელი ყველა მორფოლოგიური ნიშანი, შეუძლებელია.

სახელწოდება – კოლხური ცული კი, ჩემი აზრით, გულისხმობს ყველა იმ მორფოლოგიურ ნიშნებს (ტანის ექვსად დაწახნაგება, წვეტიან-ოვალური სატარე ზვრელი, ღეკორის დატანის წესი და სხვა), რომელთა ვარიაციები გარკვეულ ეტაპზე ქმნიან კოლხური ცულის ამა თუ იმ ტიპს. ტერმინი „კოლხური ცული“ ის ქუდია, რომელიც ყველა ამ ტიპის ცულს ერგება.

შემდგომი ცდა კოლხური ცულების ტიპოლოგიისა ეკუთვნის თ. მიქელაძეს. მისი კლასიფიკაციის საფუძველიც ცულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური მონაცვლეობაა. მასაც ორ ეტაპად აქვს წარმოდგენილი კოლხური ცულების განვითარების გზა. ცულები მასაც დალაგებული აქვს ძველიდან ახლისაკენ. სიახლე კლასიფიკაციისა მდგომარეობს შემდეგში: თ. მიქელაძე ცდილობს გაამარტივოს კოლხური ცულების ტიპოლოგია და გამოყოფს სამ ტიპს: ყუამახვილს, ყუადაწახნაგებულს და ორფერდაყუიანს. მართებულად მიმაჩნია, რომ დანაწევრება არ არის ეტაპობრივი, რომ მაგალითად I ტიპში იგულისხმება ორივე ქრონოლოგიური ეტაპის ყუამახვილი ცული – ადრეულიც და გვიანიც. მაგრამ არა მგონია, რომ III ტიპი წყვეტდეს არსებობას პირველ ეტაპზე, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ. ასევე არამართებულად მიმაჩნია, რომ აქაც ჩრდილშია და ცალკე ტიპად არ არის გამოყოფილი ტანმრუდი ცული (ტაბ. III).

60-იან წლებში, საკანდიდატო დისერტაციაში და შემდგომაც, მეც მქონდა მცდელობა კოლხური ცულების ტიპოლოგიის შემუშავებისა. ვფიქრობდი და ეხლაც იმ აზრისა ვარ, რომ ტიპოლოგიური დაჯგუფება ნივთებისა, რომელთა არსებობა დიდი ხანგრძლივობით განისაზღვრება და ამავე დროს ჩანს ფორმის ევოლუციური განვითარებაც, უნდა დაეფუძნებინათ მათი საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფორმებიდან, მათი განვითარების ბოლო ეტაპიდან. გამოყოფილი ძირითადი ტიპებისაგან წავიდეთ ქრონოლოგიური დადმავლობით, ე.ი. რეტროსპექტიული ხედვით დავალაგოთ მისი მრავალრიცხოვანი ვარიანტები. დალაგება ცულებისა ბოლოდან საწყისისაკენ თავისთავად ითვალისწინებს ცულების გენეტიკას და შესაბამისად ქრონოლოგიურ ასპექტსაც.

ცულის სამი ძირითადი ნაწილის – ყუის, ტანის და პირის სხვადასხვა კომბინაცია, ჩემი აზრით, საფუძველია განსხვავებული ტიპების გამოყოფისათვის. სატარე ზვრელის მოყვანილობა (მრგვალი, ოვალური, წვეტიან-ოვალური) და ნიღრების მეტნაკლები სიმძლავრე არ მიმაჩნია ტიპოლოგიური ხასიათის ნიშნებად. ისინი უფრო ქრონოლოგიურ და ლოკალურ სხვაობაზე მიგვანიშნებენ.

თავისი არსებობის ხანგრძლივ გზაზე, რაც მიღებული აზრით ძვ.წ. XV-VII და VI საუკუნეებშია კი განისაზღვრება, კოლხური ცუ-

ლების შემოქმედმა ეთნოსმა მრავალი ვარიანტი შექმნა, სანამ მივიდოდა იმ უზადო სრულქმნილებამდე, რომელსაც კოლხური ცული ჰქვია. ძვ.წ. XI საუკუნისათვის დასრულდა კოლხური ცულის ვარიანტებად ჩამოყალიბება. ამის შემდეგ კოლხურ ცულს არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობ, რომ კოლხურ ცულებში შესაძლებელია ექვსი ძირითადი ტიპის გამოყოფა (ტაბ. IV).

I ტიპი წარმოადგენს ყუამახვილ, თითქმის სიმეტრიული პირის მქონე, შვეტილტანიან ცულს (ო. ჯაფარიძისა და თ. მიქელაძის I ტიპი; დ. ქორიძის I და III სახეობები).

II ტიპი – ყუადაწახნაგებული, ასიმეტრიულპირიანი და შვეტილტანიანი ცულია (ო. ჯაფარიძისა და თ. მიქელაძის II ტიპი; დ. ქორიძის II და IV სახეობები).

III ტიპი – ყუა ორფერდაა, ასიმეტრიულპირიანი და შვეტილტანიანი (ო. ჯაფარიძის I ტიპის ქვეტიპი; დ. ქორიძის IV სახეობის მეორე ქვესახე და თ. მიქელაძის III ტიპი).

IV ტიპი – ყუადაწახნაგებულია და ასიმეტრიულპირიანი. ტანი კი ორგზის მოხრილი აქვს (ო. ჯაფარიძის III ტიპი; დ. ქორიძის IV სახეობის პირველი ქვესახე; თ. მიქელაძის II ტიპი).

V ტიპი – ყუამახვილია, პირი სიმეტრიული აქვს, ტანი კი ორგზის მოხრილი (თ. მიქელაძის I ტიპი).

VI ტიპის ცულის ყუა დაწახნაგებულია, პირი სიმეტრიული, ტანი კი ორგზის მოხრილი.

ორი უკანასკნელი ტიპი (V და VI) არ არის შეტანილი არც ო. ჯაფარიძის და არც დ. ქორიძის კლასიფიკაციაში.

I, II და III ტიპის ცულებს განვითარების თითქოს საკუთარი გზა უჩანთ. მათი უშუალო პროტოტიპები და ადრეული ფორმები ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში ჩაიდან. პირველი ტიპის უშუალო პროტოტიპებად და ადრეულ ფორმებად მიგვაჩნია ერთის მხრივ ურეკი-ერგე-მახუნცეთი-ჭოროხის და მეორე მხრივ ბიჭვინთა-გაგრა-პილენკოვო-ლიხნის ცულები. II ტიპის კოლხური ცულების პროტოტიპებად და ადრეულ ფორმებად გვესახება სოხუმის, ლაილაშის, ბიჭვინთის და პილენკოვოს ცულები. III ტიპის პროტოტიპებად კი მიგვაჩნია სოხუმის, ლაილაშის, ორდუს, ღვედის და ბოლაზ-ქოის ცულები. კოლხური ცულების IV, V და VI ტიპები შედარებით გვიან შექმნილი ფორმებია. მათი საფუძველი უკვე არსებული I და II ტიპის ცულთა მორფოლოგიური ნიშნებია. მაგრამ მათ სრულიად ახლებურ იერს ანიჭებს ტანის ორგზის მოხრილობა. ტაბულაზე კარგად ჩანს, რომ IV ტიპის ცულის პირი და ყუა ზუსტად II ტიპის ცულისაა; V ტიპის ცულის პირი და ყუა I ტიპის ცულისა, ხოლო VI ტიპის

ცულის პირი I ტიპისაა, ხოლო ყუა II ტიპისა.

ახალი მორფოლოგიური ნიშნის (ტანის ორგზის მოხრილობა) შემოჭრა არსებულ ფორმებში დაახლოებით ძვ.წ. XI-X საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ამ სიახლის შედეგად შეიქმნა ორიგინალური, სრულიად უნიკალური ფორმები კოლხური ცულებისა და მიუხედავად ზოგის რიცხვობრივი სიმცირისა, საჭიროდ ჩავთვალეთ მათი ცალკე ტიპებად (IV, V, VI) გამოყოფა.

ამრიგად, I, II და III ტიპის კოლხური ცულების წარმოშობა და შემდგომი ევოლუცია ერთდროულად მიმდინარეობდა, მაშინ, როცა კოლხური ცულის IV, V და VI ტიპები შეიქმნა გვიან, უკვე არსებული ფორმების საფუძველზე, მაგრამ არსებითი ხასიათის ცვლილებით, რაც ტანის ორგზის მოხრილობაში გამოიხატა. ფიქრობენ, რომ ეს უბველესი ტრადიციის აღდგენაა. მხედველობაში აქვთ შუა ბრინჯაოს ხანის ცულები. როგორც მოტანილი ტაბულიდან ჩანს, ჩემს მიერ შემოთავაზებულ ტიპოლოგიაში გათვალისწინებულია წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებები და მოცემულია მცდელობა ახლებური ხედვისა.

ტიპოლოგიური კვლევა ცულებისა საფუძველს გვაძლევს ერთხელ კიდევ გავიმეოროთ არაერთგზის აღნიშნული მოსაზრება, რომ კოლხური ცულის ყველა ტიპი თავისი ვარიაციებით კოლხურ სამყაროშია შექმნილი და განვითარებული. ამის დასტურია აქ აღმოჩენილი მისი შორეული თუ უშუალო პროტოტიპები. აქედან გამომდინარე, კოლხური ცულის ევოლუციური განვითარებაც და გენეტიკაც მხოლოდ კოლხეთში იკითხება. კოლხური სამყაროსადმი მიკუთვნების თვალსაზრისით ნიშანდობლივია, აგრეთვე, ძირითად მორფოლოგიურ ნიშანთა (ტანის ექვსად დაწახნაგება, ოვალური სატარე ზერელი) და დამზადების ტექნიკურ საშუალებათა ერთგვარობა; ყალიბების აღმოჩენა, უამრავი შემოქმედებითი ვარიაციები; საერთოდ კოლხური ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი „გრაფიკული“ სტილი და ბოლოს კოლხური ცულის ფორმის გარდასახვა რკინის ცულებში, ე.ი. ამ ფორმის ტრადიციად ქცევა. ამიტომ კოლხური ცული ყველა სიტუაციაში და გარემოში კოლხურია.

არის ცულების ჯგუფი, რომელიც კოლხური ცულების ტიპოლოგიაში არ შემოტანია. ესენია ცულები მესხეთ-ჯავახეთიდან, გურიიდან, შიდა ქართლიდან. ეს ცულები რიგი მორფოლოგიური ნიშნით – პირის მოყვანილობა, დაბალი ტანი და სხვა, გარკვეულ მსგავსებას აშუავენ ე.წ. აღმოსავლურ-ქართულ ცულებთან და სპეციალურ კვლევას იმსახურებენ.

შენიშვნები:

1. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.
2. დ. ქორიძე, ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხისათვის. სსმ მოამბე, XXV-B, თბ., 1950.
3. თ. ჯაფარიძე, კოლხური ცული, სსმ მოამბე, XVI-B, თბ., 1950.
4. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960.
5. Т. К. Микеладзе, К археологии Колхиды, Тб., 1990.
6. Л. С. Сахарова, Позднебронзовая культура ущелья реки Цхенисцкали, Автореферат канд. дисс., Тб., 1965.

Л. С. Сахарова

О ТИПОЛОГИИ КОЛХИДСКОГО ТОПОРА (Резюме)

Типологическое изучение колхидского топора имеет большую традицию. Оно начинается с 80-их годов прошлого века и связано с именами Р. Вирхова, Э. Шантра, М. Уваровой, Ф. Ханчара и др. Позднее типологическим изучением топоров занимались О. Джапаридзе, Е. Крупнов, Д. Коридзе, Т. Микеладзе. Приняв во внимание положительные стороны всех предшествующих классификаций, я стараюсь как бы упростить схему и по новому построить типологию топоров.

По моему мнению типологическую группировку вообще предметов, существование которых исчисляется веками и прослеживается их эволюционное развитие, следует начинать с окончательно сформированных и преобладающих форм, т.е. с последнего этапа развития предмета. Исходя из сказанного считаю более целесообразным представить развитие колхидского топора ретроспективно: выделить основные типы на последнем этапе его развития и многочисленные его варианты разместить с конца к началу. Такое построение само собой дает возможность учесть одновременно как типологические, так и хронологические и генетические аспекты. Комбинация трех основных частей топора – обуха, тулова и лезвия – по моему мнению, есть основа для выделения типа.

На основе вышесказанного среди многочисленных вариантов колхидского

топора можно выделить шесть основных типов.

I тип – представляют топоры с острым обухом, почти симметричным лезвием и прямым туловом.

II тип – характеризуется граненым обухом, симметричным лезвием и прямым туловом;

III тип – представляют топоры с двухскатным обухом с асимметричным лезвием и прямым туловом;

IV тип – характеризуется граненым обухом, асимметричным лезвием и дважды изогнутым туловом;

V тип – обух острый, лезвие симметричное, тулово дважды изогнутое;

VI тип – обух острый, лезвие симметричное, тулово дважды изогнутое (табл. IV).

Генетика топоров I, II, III типов хорошо прослеживается. Непосредственные прототипы и древнейшие формы этих типов датируются XV-XIV вв. до н.э., не удаляясь к более древним возможным прототипам. Непосредственными прототипами I типа являются топоры из Уреки-Эрге-Махунцети-Чорохи, а с другой стороны топоры из Пицунды-Гагры-Пиленково и Лыхны. Прототипами II типа можно считать топоры из Сухуми-Лаилаши, Пицунды, Пиленково, а непосредственными прототипами III типа являются топоры из Сухуми, Лаилаши, Орду, Гведи и Богазкойя. Топоры IV-V-VI типов возникли на основе уже существующих форм I и II типов. Морфологическим признаком, отличающим эти топоры от вышеуказанных типов является дважды изогнутое тулово. Это один из признаков, который связывает колхидские топоры со среднебронзовыми топорами типа Квишарских и брильских топоров. Появление IV типа должно было произойти приблизительно в XI-X вв. до н.э.

Типологическое и генетическое исследование колхидского топора дает основание еще раз утвердить положение о возникновении и развитии колхидского топора именно в колхидской среде. Основанием этого положения послужили следующие факты: только в исторической Колхиде найдены непосредственные прототипы и древнейшие образцы колхидского топора; абсолютное большинство топоров и его многочисленные варианты также найдены здесь; здесь же найдены литейные формы в которых отливались эти топоры. В смысле принадлежности к колхидскому миру

большое значение имеет однородность таких морфологических признаков как шестигранное тулово, овальная проушина и технические приемы изготовления. Большое значение имеет также "графический" стиль и украшение мелкой скульптурой, что вообще характерно для колхидской бронзы. Интересно и то, что форма колхидского топора становится традицией, поскольку в последствии трансформируется в железный топор.

Таким образом колхидский топор во всех ситуациях и в любой среде остается колхидским.

L. Sakharova

ABOUT THE TYPOLOGY OF THE COLCHIAN AXES

(Summary)

As it is at present assumed, the Colchian axe was in existence during the 15th-7th-6th centuries B.C. Numerous varieties of the Colchian axes were made over the period, It is supposed, that the development of the types of the Colchian axe had been completed by the 12th-11th centuries B.C. Since then the Colchian axe has not undergone substantial changes. The typological classification of the Colchian axes has been tried by many researchers (R. Krupnov, E. Shantre, P. Uvarova, O. Dzaparidze, E. Krupnov, D. Koridze, T. Mikeladze). On the grounds of the mentioned researchers, suggestions and further typological study of the Colchian axes, the present work is introduced as a novel attempt of the typological grouping of the Colchian axes.

The types have been distinguished on the basis of different combinations of the three parts of the Colchian axe – butt, body and outing edge. 6 main types of the Colchian axes have been marked out for the final stage of the development. Downgoing from the principal types, old forms and their direct prototypes are arranged in a backward chronological order exhibiting also genetics in retrospective view, and consequently, the chronological aspect of the Colchian axes.

ლიტერატურა:

1. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

2. დ. ქორიძე, ლიხნის განძი და კოლხურ-ეობანური ცულების გენეზისის საკითხისათვის. სსმ, XXV-B, 1950.

3. თ. ჯაფარიძე, კოლხური ცული, სსმ, XVI-B, 1950.

4. **Е. И. Крупнов.** Древняя история Северного Кавказа. Москва, 1960.

5. **Т. К. Микеладзе.** К археологии Колхиды. Тбилиси, 1990.

6. **Л. С. Сахарова.** Позднебронзовая культура ущелья реки Цхенискали. Автореферат кандидатской диссертации Тбилиси, 1965.

ტაბულების აღწერა:

ტაბ. I. ზედა რიგი - კოლხური ცულის ტიპოლოგია თ. ჯაფარიძის მიხედვით; ქვედა რიგი - ე. კრუპნოვის მიხედვით.

ტაბ. II. ტიპოლოგია დ. ქორიძის მიხედვით.

ტაბ. III. ტიპოლოგია თ. მიქელაძის მიხედვით.

ტაბ. IV. ტიპოლოგია ლ. სახაროვას მიხედვით.

Описание таблиц:

Таб. I. Верхний ряд – типология колхидского топора по О. Джапаридзе.

Таб. II. Типология по Д. Коридзе.

Таб. III. Типология по Т. Микеладзе.

Таб. IV. Типология по Л. Сахаровой.

Description of Plates:



Pl. I. - Top: typology of Colchian axes according to O. Japaridze; bottom: – according to E. Krupnov.


Pl. II. - Typology according to D. Koridze.

Pl. III. - Typology according to T. Mikeladze.

Pl. IV. - Typology according to L. Sakharova

ტაბ. I























ტაბ. III

	I ტიპი	II ტიპი	III ტიპი
I ეტაპი	<p>18 19 20</p>	<p>21 22 23</p>	<p>24 25 26 27</p>
II ეტაპი	<p>28 29 30 31</p> <p>35</p>	<p>32 33 34</p> <p>36 37 38</p>	

ტაბ. IV

VI					
V					
IV					
III					
II					
I					
		III-III-X	IX-III	AIX-AX	-IAX

რეგაზ პაპუაშვილი

გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის კოლხურ სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის

ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით აწარმოებს სავსელე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას კოლხეთის დაბლობზე. სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად ძიების ობიექტს გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის სამაროვნებიც შეადგენდა.

ექსპედიციამ მიაკვლია და შეისწავლა აღნიშნული ეპოქის შვიდი სამაროვანი: ნიგვზიანის, ურეკის, ერგეტის I-IV და დღვაბის სამაროვნები.

აღნიშნული სამაროვნები დაახლოებით ერთდროიანად ხასიათისა და დროის ერთ მონაკვეთს მოიცავს.

ანალოგიური ხასიათის ძეგლები კოლხეთში მხოლოდ შემთხვევითი აღმოჩენებით იყო ცნობილი და თუ არ ჩავთვლით მერხეულის სამაროვანს [1, გვ. 12-27] ყოველი მათგანი ან განადგურებული ან განადგურების პირზედ იყო მისული, როდესაც შესაძლებელი გახდა მათი მეტნაკლებად სავსელე – არქეოლოგიური შესწავლა. ასეთ ძეგლებად მიგვაჩნია: მუხურჩის სამაროვანი [3, გვ. 22-54., 4], პალურის საძვლე [2, გვ. 96-120], ხუცუბნის სამაროვანი [5, გვ. 106-142] ნაღვასოს, ლეჩეს, ვედითკარის, მახათის, გურძემის [9, გვ. 31-32] და სალხინოს სამაროვნები. არქეოლოგიური მასალის მიხედვით შესაძლოა მსგავს ძეგლებად მივიჩნიოთ: ჯანტუხის კოლექცია ტყვარჩელიდან [7, გვ. 32-75], ჯვარის განძი [10, გვ. 125, ნახ. 17], ქუთაისში ცაცხვების ქუჩიდან მომდინარე კოლექცია, ჭუბურხინჯის [10, გვ. 126], ნოსირისა და ფარცხანაყანევის განძები. უნდა აღინიშნოს, რომ ფარცხანაყანევის კოლექციას ბ. კუფტინიც სამარხეულ ინვენტარად მიიჩნევდა [11, გვ. 133, ნახ. 129-132; 12, გვ. 168-173]. რაც შეეხება კაპროვანის განძის სახელით ცნობილ ძეგლს [15, გვ. 30, ტაბ. XXV-B] ჩვენ ის ურეკის სამაროვნის ნაწილად მიგვაჩნია.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი ყველა სამაროვანი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: საკულტო მოედანი და სამარხი ორმოები [16, გვ. 45-48]. სამარხი ორმოები კოლექტიურია და ზოგიერთ მათგანში ორ ასეულამდე მიცვალებულია სავარაუდო. (მაგ. ერგეტის IV სამაროვანის № 3 სამარხი-ორმო). ურეკის სამაროვანზე კოლექტიური სამარხი ორმოების გვერდით ინდივიდუალური სამარხებიცაა დადასტურებული [8, გვ. 13-20].

სამაროვნებზე მოპოვებული ნივთიერი მასალის არსებითი ნაწილი კოლექტიურ სამარხ ორმოებშია მოპოვებული. ორმოები უმეტეს შემთხვევაში მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული და საკულტო მოედნის პერიმეტრზე განლაგებული. ისინი უპირატესად დახურულ კომპლექსებად წარმოგვიდგება.

ამჟამად ჩვენ მსჯელობის საგნად არ გავიხდით საკულტო მოედნებზე მოპოვებულ მასალასა და იმ სამარხთა ინვენტარს, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით ექვემდებარებოდა ეროზირებას და რომელთა დახურულ კომპლექსებად წარმოდგენა ეჭვის საბაბს იძლევა. აქვე შევნიშნავთ, რომ კოლხეთის დაბლობის ნიადაგის თავისებურებათა გამო არქეოლოგიური მასალა ცუდადაა დაცული. ხშირ შემთხვევაში მცირე ზომის ნივთები ჟანგადაა ქცეული და მათი აღება ვერც ხერხდება. ამ მიზეზით არქეოლოგიური მასალის დაახლოებით 10% დაიკარგა.

ნიგვზიანის სამაროვანზე ათი სამარხი ორმო იქნა დადასტურებული, ურეკის სამაროვანზე სამი სამარხი ორმო და სამოცდაცხრა ინდივიდუალური სამარხი. ერგეტის I სამაროვანზე ცხრა სამარხი ორმო გამოვლინდა. ერგეტის II სამაროვანზე დაფიქსირებულია ორი სამარხი ორმოს კვალი. ამ სამაროვანზე სავსელე სამუშაოები დროებით დაკონსერვებულია. ერგეტის III სამაროვანზე გაითხარა ოთხი სამარხი ორმო. ერგეტის IV სამაროვანზე ხუთი სამარხი ორმოა შესწავლილი, დღვაბის სამაროვანზე კი ორი.

ამრიგად, მოცემულ შვიდ სამაროვანზე 34 სამარხი ორმოა დადასტურებული. აღნიშნული სამარხები ხშირ შემთხვევაში მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმებით, ზომებით, ინვენტარის რაოდენობითა და შედგენილობით. ზოგიერთი სამარხის ფართობი 5 მ² არ აღემატება. ზოგისა კი 50 მ² აჭარბებს. ზოგ სამარხში მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი იქნა მოპოვებული, ზოგიერთ სამარხში კი ინვენტარის რაოდენობა 1000 ერთეულამდე აღწევდა. დავძენთ, რომ ინვენტარის რაოდენობა სამარხთა ზომებზე არაა დამოკიდებული.

როგორც სათაურიდან ჩანს, აღნიშნული სამაროვნები და, შესაბამისად, სამარხები განეკუთვნება ბრინჯაოს ხანის გვიან და ადრეკინის ხანის საწყის ეტაპებს. მათი ქრონოლოგიური დიფერენცირებისათვის ამოსავალ ნიშნად სხვადასხვა გარემოებებთან ერთად ამ ლითონთა ნაწარმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ურთიერთმიმართება მიგვაჩნია. ამ და სხვა სპე-

ციფიკური მახასიათებლებით მკვეთრად გამოიყოფა სამარხთა ხუთი ჯგუფი.

I ჯგუფი. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ერგეტის I სამარხის №1, 3, 8, 9 სამარხ ორმოებს, ერგეტის III სამარხის № 3 და ერგეტის IV სამარხის № 3, 4 და 5 სამარხ ორმოებს.

აღნიშნული სამარხები აბსოლუტურად არ შეიცავენ რკინის ინვენტარს. მათში მცირე რაოდენობითაა დადასტურებული ლითონის ნაკეთობანი და მძივსამკაული.

მიუხედავად აღნიშნული საერთო ნიშნებისა თვით ამ ჯგუფის სამარხები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ფორმებითა და ზომებით, ასევე ინვენტარის ხარისხითა და შედგენილობით. მაგალითისათვის: ერგეტის I სამარხის № 8 სამარხ ორმოში დამწვარ ძვლებთან ერთად არეული იყო ორიოდ სარდიონის უხეშად დამუშავებული მძივი, ბრინჯაოს დაზიანებული მასრიანი შუბისპირი და ასამდე ნატეხი თიხის ნაწარმისა. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ნატეხი და არა ჭურჭელი. აშკარაა, რომ ორმოში იმთავითვე ნატეხი მოხვდა და არა მთელი ჭურჭელი. მსგავსი კერამიკა (ტაბ. I₁₋₄) გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის კოლხური ნამოსახლარებიდან კარგადაა ცნობილი; ნაოხვამუ [11, გვ. 161-259, ტაბ. 47], ზურგა [7, გვ. 23-35, ტაბ. I-II], წყეში, ნოსირი [3, გვ. 28-54, ტაბ. I-III] თვით ერგეტა და სხვ. ნაოხვამუზე მოპოვებული შუბისპირის ანალოგიური ჩანს ამავე სამარხის ხსენებული შუბისპირიც.

სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან ამ ჯგუფის ორი სამარხი ორმო: ერგეტის I სამარხის № 1 და ერგეტის IV სამარხის № 3. პირველში მხოლოდ კიდურების ძვლის მცირერიცხოვანი ფრაგმენტები იქნა დადასტურებული და ამიტომ ის საველე დოკუმენტაციაში ინდივიდუალურ სამარხად მოიხსენიება, თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ. არატიპურია კოლხეთისათვის ამ სამარხში მოპოვებული კერამიკაც (ტაბ. I₅₋₈). მათი შორეული ანალოგიები წინა და ადრეეობანური ძეგლებიდან, კერძოდ, ზმეისკაია პოსელენიდან და ვერხნაია რუთხას სამარხიდან [14, გვ. 148-149, 221-228, ნახ. 32 ტაბ. XXXIX_{8, 11-13}, ტაბ. XLIII₁₋₇] ჯერჯერობით ვერ გვეხმარება ძეგლის თარიღის დაზუსტებაში.

ერგეტის სამარხის № 3 სამარხ ორმოში ორასამდე თავის ქალაა დაფიქსირებული. იქ თითქმის არ გვხვდებოდა ხერხემლის, მენჯის, ნეკნისა და კიდურის ძვლები. აქ მოპოვებული კერამიკაც არატიპურია კოლხური ძეგლებისათვის (ტაბ. I₁₀₋₁₁). ის მკვეთრად განსხვავდება ამავე სამარხიდან გამოვლენილი სხვა სამარხების კერამიკისაგანაც. ლითონის ნაკეთობებიდან ორივე სამარხში მხოლოდ ბრინჯაოს სამკაული გვხვდება. გამონაკლისია ერგეტის IV სამარხის № 3 სამარხი ორმო, სადაც ბრინ-

ჯაოს სატევრის ფრაგმენტაცაა მოპოვებული. მძივსამკაული ორივე სამარხში, უპირატესად, უხეშად დამუშავებული სარდიონითაა წარმოდგენილი.

ძალზე მცირერიცხოვანი ინვენტარით, ხშირად კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტით, არის წარმოდგენილი ერგეტის I სამარხის № 3, 9, ერგეტის III სამარხის № 3 და ერგეტის IV სამარხის № 5 სამარხი ორმოები. თუმცა ოთხივე სამარხი ორმო კარგად იკვეთებოდა გარეგნული ნიშნებით და სავსე იყო ძლიერ ეროზირებული ოსტეოლოგიური მასალით. ერგეტის I სამარხის № 3 სამარხში ასზე მეტი მიცვალებულის თავის ქალაა ფიქსირებული.

რამდენიმე ბრინჯაოს რგოლი და მცირერიცხოვანი მძივსამკაული იქნა მოპოვებული ისეთ დიდ სამარხშიც, როგორცაა ერგეტის IV სამარხის № 4 სამარხი ორმო. აქ მოპოვებულია ხუთ ასეულზე მეტი თიხის ჭურჭელი (სამარხებში ინვენტარის რაოდენობა მოცემულია თანდართულ ცხრილებში). მათ უმრავლესობას ზოომორფულყურანი ან მორჩისებურ სახელურიანი ტოლჩები შეადგენს (ტაბ. I₁₃₋₁₆). აღნიშნული ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული მთელს კოლხეთში ძვ. წ. XI-VIII საუკუნეების ძეგლებზე: ტამიში, ჭალადიდი, ვანი, ნოსირი და სხვ. ისინი განსაკუთრებულ მსგავსებას პოულობენ ჯიეთის III ფენისა და მოდინახეს სამარხის ძვ. წ. XI საუკუნით დათარიღებულ სამარხებთან [6, გვ. 12-18, ტაბ. III-X]. ამავე დროს აქვე მოპოვებული იქნა ცილინდრულტანიანი, მაგრამ ზოომორფულყურანი სასმისისა და ყურმილიანი ხელადის ფრაგმენტები (ტაბ. I₂₀₋₂₁). აღნიშნული ჭურჭელი ფართოდ ვრცელდება, მოგვიანო, წინარე და ადრეანტიკური ხანის კოლხურ ძეგლებზე.

როგორც დავინახეთ, ამ ჯგუფში ვაერთიანებული სამარხები, მიუხედავად ხსენებული საერთო ნიშნებისა, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ვფიქრობთ, შემდგომი კვლევა-ძიება შესაძლებელს გახდის მათ დანაწევრებას ვიწრო ტიპოლოგიურ ვარიაციებად და ქრონოლოგიურ ჯგუფებად. ამჯერად სამარხთა ამ ჯგუფს, ზოგადად, გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებს ვუწოდებთ.

II ჯგუფი. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ოთხ სამარხ ორმოს.

ესენია: ერგეტის I სამარხის № 2, ერგეტის III სამარხის № 2, ერგეტის IV სამარხის № 2 (ტაბ. II) და დღვაბის სამარხის № 1 სამარხი ორმოები.

აღნიშნულ სამარხებს აერთიანებს შემდეგი ნიშნები:

1. ყველა სამარხში მოპოვებული ცულები ბრინჯაოსაგანაა დამზადებული.

2. ბრინჯაოსაგანაა დამზადებული სატევრებისა და დანების აბსოლუტური უმრავლესობა. მაგალითისთვის: ერგეტის I სამაროვნის № 2 სამარხ ორმოში მოპოვებული 39 სატევრიდან მხოლოდ ორია რკინის. ანალოგიური ფარდობითობაა ამ ჯგუფის სხვა სამარხებშიც.

3. ბრინჯაოსაგანაა დამზადებული ყველა სეგმენტისებური იარაღი.

4. სამკაულიც ბრინჯაოსაგანაა დამზადებული. გამონაკლისს წარმოადგენს ერგეტის IV სამაროვნის № 2 სამარხ ორმოში მოპოვებული რკინის ფიბულა და ორი ჩქიფი. თითო-ორთა ცალობითაა წარმოდგენილი აბზინდები. არ გვხვდება ძეწკვები, ზარაკები და დაფანჯრული საკიდები.

5. კერამიკა ძირითადად მცირე ზომის ქოთნებითა და სასმისებითაა წარმოდგენილი. ერთად-ერთი ყურმილიანი ხელადა მხოლოდ დღვების № 1 სამარხ ორმოშია დადასტურებული. ამავე სამარხშია მოპოვებული, კოლხეთისათვის უცხო ვიწროყელიანი მოზრდილი ქოთანი მხრებზე სამი გველის გამოსახულებით. მსგავსი ჭურჭელი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბეშთაშენის № 11 სამარხიდანაა ცნობილი [11, გვ. 65-75, ნახ. 82]. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფის სამარხებში მოპოვებული კერამიკა სიმრავლით არ გამოირჩევა.

6. მძივსამკაულის აბსოლუტური უმრავლესობა საშუალო ზომის, 1 სმ-დე დიამეტრის მქონე სფერული ფორმის, ნაპრიალები სარდონის მძივებისაგან შედგება. გვხვდება აგრეთვე პასტის, ფაიანსის, მინისა და სხვა მასალისაგან დამზადებული მძივებიც. ერგეტის I სამაროვნის № 2 და ერგეტის IV სამაროვნის №2 სამარხ ორმოებში გვხვდება თვალადი მძივებიც. ძალზე იშვიათია გიშერი.

7. თითო ოქროს ნივთი ყველა სამარხშია დადასტურებული.

როგორც ვხედავთ აღნიშნულ სამარხებში ინვენტარის ნაკლებობა არ იგრძნობა, მაგრამ ისინი მაინც ღარიბულად გამოიყურებიან მოძველენო ჯგუფის სამარხების ფონზე.

აქ აშკარად ჩანს რომ რკინა ჯერ კიდევ იშვიათი ლითონია. ვფიქრობთ, არ შეეცდებით თუ აღნიშნულ სამარხებს მივიჩნევთ კოლხეთის ისტორიის იმ ეპოქის ანარეკლად, როდესაც ჩასახვასა და განვითარებას იწყებს რკინის ინდუსტრია. მას პირობით შეიძლება რკინის ათვისების საწყისი საფეხური ვუწოდოთ.

III ჯგუფი. ამ ჯგუფში ერგეტის I სამაროვნის № 5 (ტაბ. III) და ურეკის სამაროვნის № 3 სამარხ ორმოს ვაერთიანებთ.

მათ აერთიანებთ შემდეგი ნიშნები:

1. ორივე სამარხში მოპოვებული სატევრების უმრავლესობა რკინისაგანაა დამზადებული (ტაბ. III_{10-13, 16-19, 21-22}) და იგივე პროპორციით აღემა-

ტებიან ამავე სამარხში მოპოვებულ ბრინჯაოს სატევრებს (ტაბ. III_{14-15, 20}) რა პროპორციითაც II ჯგუფის სამარხებში ბრინჯაოს სატევრები აღემატებიან რკინისას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აქ აღმოჩენილი რკინის სატევრები ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით სრულიად იმეორებენ ბრინჯაოს იმ სატევრებს, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია II ჯგუფის სამარხისათვის (ტაბ. III_{15, 16, 20-21}).

2. ორივე სამარხში მხოლოდ ბრინჯაოს ცულებია მოპოვებული (ტაბ. III₂₉₋₃₂).

3. მხოლოდ ბრინჯაოსაგანაა დამზადებული თოხები და სეგმენტისებრი იარაღი (ტაბ. III₃₃₋₃₉).

4. ისრისპირები დამზადებულია ბრინჯაოსაგან (ტაბ. III₂₆₋₂₇) და რკინისაგანაც. ურეკის სამარხებში ერთი ორფრთიანი, ფოთლისებური სკვითური ისრისპირიც იქნა მოპოვებული.

5. კერამიკა (ტაბ. III₁₋₉) წარმოდგენილია ყურმილიანი ხელადაებით, ტოლჩებით, ჯამებითა და ერთადერთი ცილინდრულტანიანი სასმისით.

6. ძალზე დიდი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ამ სამარხში დადასტურებული ბრინჯაოს სამკაული. სხვადასხვა ორნამენტებით შემკულ ხატისუღლებთან და სამაჯურებთან (ტაბ. III₅₇₋₆₇) ერთად ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი აბზინდები (ტაბ. III₄₃₋₄₆), ღუგმები (ტაბ. III₄₇₋₄₈), ფიბულები, ჩქიფები (ტაბ. III₅₁₋₅₂), ძეწკვები, ზარაკები (ტაბ. III₄₉₋₅₀), ბიკონუსური სპირალები (ტაბ. III₅₅₋₅₆) და სხვ.

7. სამკაულის სოლიდური ნაწილი დამზადებულია რკინისაგან. გვხვდება: რკინის სამაჯურები, ხატისუღლები, ფიბულები, ღუგმები, ჩქიფები (ტაბ. III₅₂) და სხვ.

8. აღსანიშნავია კალისაგან დამზადებული აჟურული საკიდები ერგეტის I სამაროვნის № 5 სამარხი ორმოდან.

9. ამავე სამარხშია მოპოვებული ბრინჯაოს ორნამენტირებული სარტყელიც (ტაბ. III₄₂).

10. მცირე რგოლების დასამზადებლად ორივე სამარხში გამოყენებულია ბრინჯაო, რკინა, ვერცხლი (ტაბ. III₆₁₋₆₃) და ოქრო.

11. განსაკუთრებული სიმრავლით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ამ სამარხებში მოპოვებული მძივსამკაული. გვხვდება, როგორც უმცირესი მრავალგვარი ფორმის, ასევე დიდი ზომის 2-სმ და მეტი დიამეტრის კარგად ნაპრიალები სარდონის მძივები. სარდონთან ერთად დიდი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით წარმოგვიდგება გიშერიც, რაც იშვიათობას წარმოადგენდა წინა ჯგუფის სამარხებისათვის. აშკარად იგრძნობა კონკურენცია მძივების დასამზადებელ ამ ორ მასალას შორის. მრავალფეროვანია ტალკის (დომინოსე-

ბური და რთული გეომეტრიული ფორმების), ქარვის, მინის, პასტის, ქალცელონისა და ფაიანსისაგან დამზადებული მძივები. აგრეთვე ვერცხლისა და ოქროს მძივები ერგეტის I სამაროვნის № 5 სამარხი ორმოდან.

12. უნდა აღინიშნოს, რომ სამარხთა ეს ჯგუფი განსაკუთრებული, მდიდრული ელფერით გამოირჩევა. რაც იგრძნობა არა მარტო ინვენტარის სიუხვესა და მრავალფეროვნებაში, არამედ თვით პროდუქციის დახვეწილობასა და სინატიფეში. ხშირად ცალკეული ნივთები ვერცხლის გარსაკრავებითა და მასში ჩასმული სარდიონის ან ქარვის თვლებითაა შემკული.

აღარ იგრძნობა რკინის დეფიციტი. როგორც ვხედავთ რკინა უხვადაა გამოყენებული არა მარტო იარაღის, არამედ სამკაულის დასამზადებლადაც. ამ ნიშნით ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია აღნიშნულ სამარხებში რკინის მეტალურგიის პირველი მძლავრი საფეხური დავინახოთ.

IV ჯგუფი. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ოთხ სამარხს. ესენია: ერგეტის I სამაროვნის № 6 (ტაბ. V), ერგეტის III სამაროვნის № 4 (ტაბ. IV), ერგეტის IV სამაროვნის № 1 და დღვანის სამაროვნის № 2 სამარხი ორმოები. ჩვენი აზრით, ამათ უნდა დაემატოს მუხურჩის სამაროვნის ქვედა დასაკრძალავი მოედანიც [3, გვ. 28-54, ნახ. I₄₇₋₁₄₁].

სამარხთა ეს ჯგუფი შემდეგი ნიშნებით ერთიანდება:

1. თანაარსებობენ ბრინჯაოსა და რკინის ცულები (ტაბ. IV₂₅₋₃₀; ტაბ. V₃₉₋₄₁), ბრინჯაოსა და რკინის თოხები (ტაბ. V_{27-28, 31-32}, ტაბ. IV₃₁₋₃₂), ბრინჯაოსა და რკინის სეკმენტები (ტაბ. IV₃₃₋₃₄; ტაბ. V_{29-30, 36-38}).

2. რკინის სატევრებში ჩნდება ახალი ფორმები, რომლებიც ტოპოლოგიურად აღარ უკავშირდებიან ბრინჯაოს პროტოტიპებს (ტაბ. IV₁₅₋₁₆; ტაბ. V_{17, 21-23}).

3. ჩნდება ახალი იარაღი სკვითური ისრისპირების (ტაბ. IV₂₂₋₂₃; ტაბ. V₆₃), აკინაკისებრი სატევრებისა (ტაბ. V₂₅₋₂₆) და დიდი ზომის მოხრილი ე. წ. ურარტული დანების (ტაბ. IV₃₈; ტაბ. V_{52, 54}) სახით.

4. ჩნდება რკინის სახნისი (ტაბ. IV₃₅₋₃₆; ტაბ. V₃₅).

5. თიხის ნაწარმში (ტაბ. IV₁₋₁₁; ტაბ. V₁₋₁₄) არსებითი ცვლილება არ შეინიშნება თუ არ ჩავთვლით, რომ ყველა სამარხში თითო ცალი დიდი ზომის ჭურჭელი იქნა მოპოვებული (ტაბ. IV₁; ტაბ. V₁). სჭარბობს ყურმილიანი ხელაღები (ტაბ. IV₁₀₋₁₁; ტაბ. V_{1-3, 8}).

6. ბრინჯაოს სამკაული წარმოდგენილია ხატისუღლებითა და სამაჯურებით (ტაბ. IV₅₁₋₅₃; ტაბ. V₆₅). ერგეტის I სამაროვნის № 6 სამარხ

ორმოში გვხვდება ბრტყელი სამაჯურიც, გველის თავების სკულპტურული გამოსახულებით. ყველა სამარხში დიდი რაოდენობით გვხვდება აბზინდები (ტაბ. IV₃₉₋₄₂; ტაბ. V₆₂), ზარაკები (ტაბ. IV₄₆₋₄₈; ტაბ. V_{51, 61}) და ზარაკის ფორმის დაფანჯრული საკიდები (ტაბ. V₅₈).

7. მცირე ზომის რგოლები (ტაბ. IV₅₄₋₅₆; ტაბ. V₄₅₋₄₈) აქაც სხვადასხვა ლითონისაგანაა დამზადებული, მათ შორის ოქროსაგანაც.

8. ყველა სამარხშია წარმოდგენილი თითო ანტროპომორფული ქანდაკება (ტაბ. IV₅₇; ტაბ. V₆₀) ზომორფულ ქანდაკებათა (ტაბ. IV₄₉₋₅₀; ტაბ. V₄₉) გვერდით.

9. მძივსამკაულის ასორტიმენტი დაახლოებით იმეორებს III ჯგუფის სამარხებში მოპოვებული მძივებისას.

10. ძნელი სათქმელია კანონზომიერებაა თუ შემთხვევითობა, მაგრამ ამ ჯგუფის ყველა სამარხი გამართულია სამაროვნის ცენტრის, საკულტო მოედნის აღმოსავლეთით.

უპირველესი სიახლე ამ ჯგუფის სამარხებში, ვფიქრობთ, ვლინდება რკინის ისეთი ნივთების დამზადების ცოდნაში, რომელთაც ესაჭიროებათ სატარე ხვერი. მხედველობაში გვაქვს ცული და თოხი. სპეციალური სამარჯვი ხელსაწყოებია აგრეთვე ისეთი დიდი მნიშვნელობის მქონე ახალი იარაღის დასამზადებლად როგორცაა რკინის სახნისი. ეს მომენტები ჩვენი აზრით, ახალი სიტყვაა რკინის მეტალურგიაში და რკინის ამგვარი ნივთების გაჩენით საბოლოოდ ესმება წერტილი ბრინჯაოს ინდუსტრიის პირველობას ლითონწარმოებაში და მთავრდება რკინის ათვისების II საფეხურიც.

საბრძოლო და სამეურნეო საქმიანობაში რკინის იარაღის გაბატონებას, ბუნებრივია, ცვლილებები უნდა გამოეწვია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეს ცვლილებები, ვფიქრობთ, ასახულია კიდევ მომდევნო ჯგუფის სამარხებში.

V ჯგუფი. ეს ჯგუფი ორი სამარხითაა წარმოდგენილი. ესენია: ერგეტის III სამაროვნის № 1 და ნიგვზნარის სამაროვნის № 12 სამარხი ორმოები.

მათ აერთიანებთ შემდეგი ნიშნები:

1. ორივე სამარხში აღმოჩენილი თითო რკინის ცული (ტაბ. VI₁₇) ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით შორდებიან ბრინჯაოს ცულებს.

2. ჩნდება სკვითური აკინაკები (ტაბ. VI₁₁₋₁₃) მასიური ტარითა და პეპლისებური ვადით.

3. ნიგვზიანის სამარხში მოპოვებულია სამერთიანი სკვითური ისრისპირი. მსგავსი ისრის-

პირი აღმოჩნდა ერგეტის III სამაროვნის № 1 სამარხშიც, მაგრამ მისი ალება ვერ მოხერხდა.

4. წინა ორ ჯგუფთან შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი კერამიკა, თუმცა ორივე სამარხში მოპოვებული სასმისები (ტაბ. V_{14, 9}) და ყურმილიანი ხელაღები (ტაბ. VI₁₋₂) დამახასიათებელი ჭურჭელია როგორც ხსენებული წინა ორი ჯგუფის სამარხებისათვის, ასევე მომდევნო ეპოქის კოლხური ძეგლებისათვის.

5. ჩნდება დიადემები (ტაბ. VI₄₆) რომლებიც შემდგომ, რამდენადმე სახეცვლილი, თავს იჩენს ვანის მდიდრულ სამარხებში.

6. შედარებით მწირია სამკაული.

7. განცვიფრებას იწვევს რკინის თოხებისა (ტაბ. VI₁₈) და სახნისების (ტაბ. VII₉₋₂₀) სიმრავლე.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფის სამარხებში აღარ იგრძნობა ის სიმდიდრე და მრავალფეროვნება რაც ესოდენ თვალში საცემი იყო III და IV ჯგუფის სამარხებისათვის.

აქ წარმოდგენილი რკინის ინვენტარი უკვე რკინის მეტალურგიის განვითარებული III საფეხურის პროდუქტია, რომელიც თავისებურ ნიადაგს ქმნის შემდგომი დროის კოლხეთში ახალი მძლავრი სოციალური და პოლიტიკური ძვრებისთვის.

შორსმომავალი დასკვნებისაგან თავს შევიკავებთ, მაგრამ შევნიშნავთ, რომ ხსენებულ სამარხ-ორმოებსა და აქ აღმოჩენილ ნივთიერ მასალაში ნათლად ჩანს არა მარტო ბრინჯაოს ინდუსტრიის ფინალური და რკინის ინდუსტრიის ჩასახვა-განვითარების თანამიმდევრული ეტაპები, არამედ ის თანმხლები მოვლენებიც, რაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ახალი ლითონის შემოსვლასა და დამკვიდრებას.

ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ თვალსაზრისით, აღნიშნული სამაროვნები და განსაკუთრებით კი ერგეტის I სამაროვანი, რომლებზეც საკვლევი ეპოქის ყველა საფეხური უწყვეტ ჯაჭვადაა წარმოდგენილი ეტალონურ ძეგლებად გვევლინებიან.

Р. И. Папуашвили

К ОТНОСИТЕЛЬНОЙ ХРОНОЛОГИИ КОЛХИДСКИХ МОГИЛЬНИКОВ ЭПОХИ ПОЗДНЕЙ БРОНЗЫ – РАННЕГО ЖЕЛЕЗА

(Резюме)

За последние годы в Центральной Колхиде, на могильниках Нигвзиани, Уреки, Дгваба и Эргета I-IV были зафиксированы 34 коллективные ямы со вторичным обрядом захоронения покойников.

По формально-типологическим особенностям инвентаря и по количественным показателям эти погребения распределяются по пяти хронологическим группам. Характерные признаки каждой из этих групп заключаются в следующем:

I группа – совершенно не содержит железных изделий;

II группа – железные изделия в виде кинжалов и ножей встречаются в еденичных экземплярах;

III группа – преобладают железные кинжалы, изготовленные в подражание бронзовым прототипам. Топоры, мотыги и сегментовидные орудия по прежнему изготовлены из бронзы;

IV группа – вместе с бронзовыми топорами, мотыгами и сегментовидными орудиями появляются их железные аналоги. Железные кинжалы более не обнаруживают влияния бронзовой индустрии.

V группа – в особенно большом количестве представлены хозяйственные орудия. Сравнительно меньше боевого оружия и украшений. Все орудия труда и оружие изготовлены из железа.

R. Papuaschwili

**ZUR VERGLEICHENDEN
CHRONOLOGIE DER SPÄTBRONZE –
FRÜHEISENZEITLICHEN
KOLCHISCHEN GRÄBERFELDER**

(Zusammenfassung)

In den letzten Jahren wurden in der Kolchis auf den Gräberfeldern von Nigwisiani, Ureki, Dgwaba und Ergeta 34 Kollektivgräber mit sekundärer Bestattung festgestellt. Das Inventar kann man in fünf chronologische Gruppen einteilen:

I. Gruppe – enthält gar kein Inventar.

II. Gruppe – kommen die Eisenerzeugnisse wie Dolche und Messer in einzelnen Exemplaren vor.

III. Gruppe – überwiegen die Eisendolche, die den Bronzemustern nachgemacht sind. Beile, Hacken und segmentartige Werkzeuge sind immer auch aus Bronze gefertigt.

IV. Gruppe – zusammen mit den Bronzebeilen und -hacken, der segmentartigen Werkzeuge gibt es analoge Werkzeugen aus Eisen. Bei den Eisendolchen erkennt man nicht den Einfluss der Bronzeindustrie.

V. Gruppe – ist besonders mit den Arbeitswerkzeugen überfüllt. Relativ wenig gibt es Waffen und Schmuck. Waffen und Arbeitswerkzeuge sind nur aus Eisen hergestellt.

ლიტერატურა:

1. **მ. ბარამიძე**, მერხეულის სამაროვანი, თბ., 1977.

2. **მ. ბარამიძე, ნ. თქრობერიძე**, პალურის საძვლე. მსკა, VI, 1974.

3. **Э. Гогодзе**. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. ВГМГ, XXXVII-B, 1984.

4. **გ. ელიავაძე**, პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბ., 1987.

5. **ა. იოსელიანი**, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

6. **გ. მახარაძე, გ. ლომთაძე**, კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში. საქართველოს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. ნარკვევები II, თბ., 1996.

7. **თ. მიქელაძე**, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.

8. **თ. მიქელაძე**, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.

9. **Дж. Апакидзе**. Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа. Тб., 1991.

10. **А. А. Иесен**. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. М., 1935.

11. **Б. А. Куфтин**, Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

12. **Б. А. Куфтин**, Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950.

13. **Г. К. Шамба**, раскопки древних памятников Абхазии. Сухуми, 1984.

14. **Е. И. Крупнов**, Древняя история Северного Кавказа. М., 1960.

15. **ა. რამიშვილი**, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974.

16. **ნ. ჩუბინიშვილი**, ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების შესწავლისათვის, ძმ, № 3, 1987.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I. 1-4. ერგეტის I სამაროვნის № 8 სამარხ ორმოში მოპოვებული კერამიკა; 5-8. ერგეტის I სამაროვნის № 1 სამარხ ორმოში მოპოვებული კერამიკა; 9-12. ერგეტის IV სამაროვნის № 3 სამარხ ორმოში მოპოვებული კერამიკა; 13-21. ერგეტის IV სამაროვნის № 4 სამარხ ორმოში მოპოვებული კერამიკა.

ტაბ. II. 1-19. ერგეტის IV სამაროვნის № 2 სამარხ ორმოში მოპოვებული ინვენტარის ძირითადი ნაწილი.

ტაბ. III. 1-67. ერგეტის I სამაროვნის № 5 სამარხ ორმოში მოპოვებული ინვენტარის ძირითადი ნაწილი.

ტაბ. IV. 1-63. ერგეტის III სამაროვნის № 4 სამარხ ორმოში მოპოვებული ინვენტარის ძირითადი ნაწილი.

ტაბ. V. 1-67. ერგეტის I სამაროვნის № 6 სამარხ ორმოში მოპოვებული ინვენტარის ძირითადი ნაწილი.

ტაბ. VI; 1-48. ერგეტის III სამაროვნის № 1 სამარხ ორმოში მოპოვებული ინვენტარის ძირითადი ნაწილი.

Описание таблиц:

Табл. I. 1-4. Могилник Эргета I, керамика из погребальной ямы № 8; 5-8. Керамика из погребальной ямы 1; 9-12. Могильник Эргета IV, керамика из погребальной ямы № 3; 13-21 .керамика из погребальной ямы № 4.

Табл. II. 1-19, могильник Эргета, основная часть инвентаря из погребальной ямы № 2.

Табл. III. 1-67, могильник Эргета I, основная часть инвентаря из погребальной ямы № 5.

Табл. IV. 1-63, могильник Эргета III, основная часть инвентаря из погребальной ямы № 4.

Табл. V. 1-67, могильник Эргета I, основная часть инвентаря из погребальной ямы № 6.

Табл. VI. 1-48, могильник Эргета III, основная часть инвентаря из погребальной ямы № 1.

Beschreibung der Abbildungen:

Abb. I. 1-4, Keramik aus dem Grabgrube № 8 des Gräberfeldes Ergeta I; 5-8, Keramik aus dem Grabgrube № 1 des Gräberfeldes Ergeta I; 9-12, Keramik aus dem Gräberfeld Ergeta IV, Grabgrube № 3; 13-21, Keramik aus dem Gräberfeld Ergeta IV, Grabgrube № 4.

Abb. II. 1-19, Hauptinventar aus dem Gräberfeld Ergeta IV, Grabgrube № 2.

Abb. III. 1-67, Hauptinventar aus dem Gräberfeld Ergeta I, Grabgrube № 5.


Abb. IV. 1-63, Hauptinventar aus dem Gräberfeld Ergeta IV, Grabgrube № 2.

Abb. V. 1-67, Hauptinventar aus dem Gräberfeld Ergeta I, Grabgrube № 6.


Abb. VI. 1-48, Hauptinventar aus dem Gräberfeld Ergeta III, Grabgrube № 1.

ჯგუფები	სამართლები	სამართლო მომსახურები	კერძო	ი ა რ ა დ ე ბ ი																		
				ბ რ ი ნ ჯ ა ვ								რ კ ი ნ ა										
				სატივრები	ცულები	დანები	შუბისპირე	ისრისპირე	წაღდი	თოხები	სემგენტებ	პარპუნი	სატივრები	ცულები	შუბისპირე	ისრისპირე	აკინაკები	დანები	თოხები	სემგენტებ	სახნისები	ნამგლები
I	ერგეტა I	№ 1	6	1																		
		№ 3																				
		№ 8				1																
		№ 9	1																			
	ერგეტა 3	№ 3	2																			
	ერგეტა 4	№ 3	9	1																		
		№ 4	284																			
№ 5																						
II	ერგეტა I	№ 2	1	34	3	4				3	2					2						
		№ 7		2													1					
	ერგეტა 3	№ 2	12	11	2	1				2	1					1						
	ერგეტა 4	№ 2	4	23	1					10						9						
	დღვაბა	№ 1	4	6		1				28	2					1						
III	ერგეტა I	№ 5	15		14			6	6	125	74	1				22					1	
	ურეკი	№ 3	1	1	8					15	18		4	5		12						
IV	ერგეტა I	№ 4	23							5	9					1						
		№ 6	56	8	4			3	1	6	41	39	5		3	32	4	8	1			
	ერგეტა 3	№ 4	62		6			4		1	99	1	70	5	1		20	1	12	2		
	ერგეტა 4	№ 1	26	1	6				7	69	89	4	2			23		5				
	დღვაბა	№ 2	4	6	6		1			116	49	1	2			8	1	1				
V	ერგეტა 3	№ 1	11		1			1			6	1			3	15	140	7	19	13		
	ნიგეზიანი	№ 12	4							1	5	3			6	1	31		3	1		


கு. 1




கு.ப. II




ტაბ. III




ტაბ. IV



கு. V



கு. VI



სამართლებლოში აღმოჩენილი მძიმესაპრობლემატიანი ფიგურები

ერთწილადი რკალისებური ფიგურები საქართველოში ძვ.წ. II-I ათასწლეულის მიჯნიდან ჩნდება (სამთავრო, თრელი, დილომი, თლი) და განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში [8, გვ. 331; 1, გვ. 116-121; 2, გვ. 329; 15, გვ. 26-51]. ძვ.წ. VII საუკუნიდან ერთწილადი ფიგურების პარალელურად არსებობას იწყებენ ორწილადი რკალისებური ფიგურებიც, რომლებიც უმეტესად იმეორებენ ერთწილადი რკალისებრი ფიგურების შემკულობას. ერთწილადი რკალისებრი ფიგურები რკალისა და მისი შემკულობის მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვანია.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია ფიგურები, რომელთა რკალი (ზურგი) შემკულია სალტეებს შორის მოქცეული თითქოს მძიმესაპრობლემატიანი ბურცოებით. ამგვარად შემკული ფიგურები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე (სამარხები №№ 6, 11), ბრილში (სამარხი № 9) და ყაზბეგის განძში. ვანის ფიგურები ოქროსია, ბრილისა ვერცხლის, ხოლო ყაზბეგის განძის – ბრინჯაოსი. ვანის ნაქალაქარზე სამი ფიგურა აღმოჩენილი [19, გვ. 109].

1. ვანის № 11 ორმოსამარხი 1969 წელს აღმოჩნდა. სამარხში ოთხი მიცვალებულის ჩონჩხი იყო. ერთი მათგანი მდიდრულად დაკრძალული ქალისა იყო, რის გამოც სამარხს „წარჩინებული კოლხი ქალის“ სამარხი უწოდეს. სამარხში აღმოჩენილი იმპორტული ნივთების (ბრინჯაოს პატერა, ატიკური შავლაკიანი კილიკი, ვერცხლის კილიკები) საფუძველზე „წარჩინებული კოლხი ქალის“ სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებით [9, გვ. 213-239]. № 11 სამარხში აღმოჩენილი ფიგურა ერთწილადია ე.ი. დამზადებულია ერთი მთლიანი ღეროსაგან. ფიგურის კორპუსი ნახევარი წრის ფორმისაა. რკალის შუა ნაწილი შემკულია „მძიმესაპრობლემატი“ შემსხვილებით, რომლებიც სიგრძივად დადარული. „მძიმეები“ ერთმანეთისაგან ორ-ორი ირგვლივი ღარითაა გამოყოფილი. რკალის მძიმესაპრობლემატი შემკულობა შემოსაზღვრულია ტეხილი ხაზებით, რომლებიც სამკუთხედებს ქმნიან (ტაბ. I₂).

2. ვანის № 6 ორმოსამარხი აღმოჩნდა 1961 წელს. სამარხში ერთი მიცვალებულის ჩონჩხი იყო – მდიდრულად დაკრძალული ახალგაზრდა ქალისა. სამარხში დადასტურებული ინვენტარის (სამაჯურები, ვერცხლის ჭურჭელი, მინის ამფორისკები) საფუძველზე სამარხი ძვ.წ. V საუკუნითაა დათარიღებული [16, გვ. 113-117]. სამარხში ორი ფიგურაა აღმოჩენილი. ორივე

ორწილადია, ე.ი. ნემსი და რკალი ცალ-ცალკეა დამზადებული. ნემსი ცალი ბოლოთი დახვეულია რკალის ერთ მხარეს. მოზრდილი ზომის ფიგურის (სიგრძე – 4 მმ, სიმაღლე – 21 მმ) რკალი მთლიანად არის დაფარული მძიმესაპრობლემატი შემსხვილებებით, რომლებიც ერთმანეთისაგან ირგვლივი ღარებითაა გამოყოფილი. ფიგურაზე მარყუჟითა და ძეწკვით შემკულია პექტორალი – ტრაპეციული ფორმის ინკრუსტირებული ფირფიტა, რომელიც ძეწკვებზე დაკიდებული ბროწეულის ნაყოფის გამოსატეხლებითაა დაბოლოებული. მეორე ფიგურა შემკულობით ვანის № 11 სამარხის ფიგურის ანალოგიურია, მხოლოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ ორწილადია (ტაბ. I₃₋₄).

3. ბრილის სამარხი პირველად ქვეყნდება, ამიტომ მასზედ უფრო ვრცლად მოგახსენებთ.

ბრილის № 9 სამარხი 1960 წელს აღმოჩნდა. სამარხი ქვაყუთს წარმოადგენდა. ჩონჩხი თითქმის არ შემორჩენილა. სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის ორი სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. II₁₋₂), რომელთაც ბოლოები დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვთ; დიდი რაოდენობით მინის მძიმეები – ერთფერი და პოლიქრომული (ტაბ. II₃₋₃₂); რკინის ქინძისთავი ბრინჯაოს მძიმით; ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვიები (ტაბ. II₅₋₆), ღუგმა (ტაბ. II₇) და ბრინჯაოს მასიური სამაჯურები, რომლებიც დაკარგულია. აქვე იყო ჩვენთვის საინტერესო ორი ფიგურა. ერთი ვერცხლისა, მძიმესაპრობლემატი რკალით (ტაბ. II₄) და მეორე ბრინჯაოსი, გრეხილრკალიანი (ტაბ. II₃), რომელიც პირველის მსგავსად ერთწილადი ყოფილა, მაგრამ, როგორც ჩანს, ნემსი მოტეხია და მეორედ გამოყენების მიზნით ზამბარაზე რკინის ღერო შემოუხვევიათ.

ვერცხლის დიდი ზომის თავდაბრტყელებული და გახვრეტილი რგოლები სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით დამახასიათებელია ძვ.წ. VI-V საუკუნეების კომპლექსებისათვის, ხშირია ელინისტური ხანის დასაწყისშიც, ხოლო გვიანელინისტურ ხანაში საერთოდ აღარ გვხვდება [20, გვ. 75].

ბრილის № 9 სამარხში რამდენიმე ტიპის პოლიქრომული მძიმია. კასრისებური ფორმის მუქი ყავისფერი, ყვითელი სპირალური ხაზებით შემკული მძიმეები (ტაბ. II₃₂) გავრცელებული ჩანს ძვ.წ. IV საუკუნეში და დამახასიათებელია ამ ხანის კომპლექსებისათვის [3, გვ. 35] მეჭვჭისებური რელიეფური თვლებით შემკული მძიმეები სამგვარია – დაბალი ცილინდრული ფორმის, შავი, ყვითელ ფონზე შავკონტურიანი წითელი თვალით; უფრო მცირე ზომის,

ცისფერი, თეთრ ფონზე მუქი ცისფერი თვალთ. ამგვარი მძივები დამახასიათებელია ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კომპლექსებისათვის [3, გვ. 55]. მინის ერთფერი მძივებიც რამდენიმე ფორმით არის წარმოდგენილი: ცისფერი და ყვითელი, დაბალი ცილინდრის ფორმის კოპებიანი მძივები (ამგვარი მძივები აღმოჩენილია ვანის № 11 სამარხშიც); ცისფერი და ლურჯი, დიდი და მცირე ზომის მანდარინისებური ფორმის მძივები, რომელთა მსგავსი დადასტურებულია ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კომპლექსებში [3, გვ. 59].

აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობ, რომ ბრილის № 9 სამარხი ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევართა და IV საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

4. ყაზბეგის განძი 1877 წელს აღმოჩნდა სოფ. სტეფანწმინდასთან (დღევანდელი დაბა ყაზბეგი). სხვა ნივთებთან (ვერცხლის თასი, ბრინჯაოს მათარები, სიტულა, ზარები, ქანდაკებები, შტანდარტები, ეჭვნები, ლაგმები, რკინის შუბისპირები, ბრინჯაოს სამაჯურები, პინცეტები, სარტყლები, ბალთები, ოქროს სხივანა საყურე, საკიდები და სხვა) ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიბულებიც (გ. ფილიმონოვის მიხედვით 21 ცალი, პ. უვაროვას მიხედვით 22 ცალი) [18, გვ. 77]. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ამ განძის 12 ფიბულა ინახება, აქედან 10 ფიბულა მძივისებურკალიანია. განძი დათარიღებულია ძვ.წ. VI-V საუკუნეებით [18, გვ. 105-106].

ყაზბეგის განძის ფიბულები ანალოგიურია ვანისა და ბრილის ფიბულებისა, ოღონდ განსხვავდება დიდი ზომებით, მასიურობით და უკანა მხარეს რკალის დაბრტყელებით. ყაზბეგის განძის ფიბულებში თავს იჩენს ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელია მთიანი რეგიონის ფიბულებისათვის – მასიურობა, განიერი ბუდე, უხეში ორნამენტი (ტაბ. I₅₋₆).

მძივისებურად რკალშემკული ფიბულები არ გვეგულება სომხეთსა და აზერბაიჯანში, არ არის ჩრდილო კავკასიაში და ჩრდილო შავიზღვისპირეთშიც, მაგრამ ცნობილია სხვადასხვა ვარიაციებით ეგეოსურ სამყაროდან და წინა აზიიდან.

უძველესი მძივისებურკალიანი თუ ბურცობებიანი ფიბულები ცნობილია საბერძნეთიდან, სუბმიკენურიდან გეომეტრიულზე გარდამავალ ხანაში. ამ ტიპის ფიბულებს ქ. ბლინკენბურგი ე.წ. შუალედური ტიპის სახით გამოყოფს და ათარიღებს ძვ.წ. IX საუკუნით. ამგვარი ფიბულები აღმოჩენილია როდოსზე, ჰერაკლეიონში (ტაბ. I₂₁), დელფოსზე, ლინდოსში (ტაბ. I₂₂₋₂₃), პაროსზე [4, გვ. 17-18]. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ბურცობებიანი ფიბულები ჩნდება თესალიურ, ელადურ და მცირე აზიულ ტიპებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ელადური

ტიპის სამი ფიბულა ლინდოსიდან [4, გვ. 22-25, სურ. 181_ფ].

ე. საპონა-საკელარაკისის მიხედვით, მსგავსი ტიპის ფიბულები საბერძნეთის კუნძულებზე გავრცელებულია გეომეტრიულიდან ადრე არქაულ ხანამდე – ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში [12, გვ. 59-65]. დისკოებს შორის მოქცეული ბურცობებით შემკული ფიბულები ცნობილია ჩრ. იტალიის მასალებიდანაც. აქ ის აღმოსავლეთ ევროპიდან შემოტანილად ითვლება და თარიღდება ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოთი და VI საუკუნის დასაწყისით [10, გვ. 73-74].

ძვ.წ. VII საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ნახევარწრისებური ფიბულა ჩამოსხმული უბრალოდ ან ასხმული მძივივით (დ. სტრონახის მიხედვით ახლოაღმოსავლური ტიპის I₄ ტიპი) აღმოჩენილია გეზერში, ცინციონში, მეგიდოში, ტარსუსში, ურში, ბაბილონში. მძივისებურად იყო შემკული ე.წ. სამკუთხა ანუ მუხლისებურ რკალიანი ფიბულები (ტაბ. I₉₋₁₃), რომლებიც დ. სტრონახის აზრით, სტანდარტული ფორმა იყო დასავლეთ სპარსეთიდან პალესტინამდე მთელ აქემენიდურ პერიოდში [13, გვ. 188, 193-194].

ჩვენს ფიბულებთან, ფიბულის რკალის „მძივების“ სიმეტრიული მონაცვლეობით (მსხვილი ცენტრალური „მძივი“, აქეთ-იქით კი უფრო მომცრო მძივები), ყველაზე ახლოს დგას დიდში [13, ტაბ. I₂₄₋₂₅] აღმოჩენილი ორი ფიბულა, რომლებიც ძვ.წ. VII საუკუნის I ნახევრით თარიღდება [13, გვ. 188].

ამგვარად, როგორც შესადარებლად მოტანილი მასალიდან ჩანს, საქართველოში აღმოჩენილ მძივისებურკალიან ფიბულებს ზუსტი ანალოგები არ ეძებნებათ.

ასხმული „მძივების“ იმიტაციით სამკაულის შემკობა, ფიბულების გარდა, საქართველოში აღმოჩენილი სხვა სამკაულზეც არის გამოყენებული (ტაბ. III). კერძოდ კი, დიადემებზე, გვერგვებზე (კისრის რკალებზე), სამაჯურებზე და ქინძისთავეებზე [6, გვ. 32]. მაგალითად, ვანის № 11 სამარხშივეა აღმოჩენილი დიადემები, რომელთა კავის ღერო შემკულია ვერტიკალური ღრმა ღარებითა და ჰორიზონტული ჭდეებით, (იმგვარად, რომ გარკვეული ორნამენტული სახე ე.წ. Perlenschnur იქმნება [9, გვ. 215; 19, გვ. 11-16]. № 6 სამარხის დიადემის იგივე დეტალი მხოლოდ ირგვლივი მიჯრილი ღარებითაა გაფორმებული [16, გვ. 13].

საკისრე რკალები – გვერგვები, რომლებიც შემკულია სალტეებს შორის მოქცეული ბურცობებით, ცნობილია მოდინახედან [11, გვ. 29], შრომისუბნიდან (სსმ ოქროს ფონდი, ინვ. № 125-975), ითხვისიდან (სსმ მცირე ექსპ. ფონდი № 2, ინვ. № 26-65:1802), ვანიდან [7, გვ. 25], ახალგორიდან [14, ტაბ. I], სამადლოდან [5, გვ.

46]. აღნიშნული ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩო განსაზღვრულია ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებითა და ძვ.წ. III საუკუნის I ნახევრით.

სამაჯურები, რომლებიც ამავე დეკორითაა შემკული, ცნობილია შრომის უბნის № 2 (სსმ ოქროს ფონდი, ინვ. № 125-975:5) და ითხვისის № 2 (სსმ მცირე ექსპ. ფონდი № 2, ინვ. № 26-65; 1803, 1804) სამარხებიდან; ვანის № 3 [17, სურ. 192] და № 9 [9, სურ. 170ა] სამარხებიდან, წინწყაროს მდიდრული სამარხიდან [20, ტაბ. XI₂]. აღნიშნული ძეგლები თარიღდება ძვ.წ. IV საუკუნის შუა და ძვ.წ. III საუკუნის I ნახევრით.

ამგვარად, გერგები და სამაჯურები რამდენადმე უფრო ახალგაზრდაა (ძვ.წ. IV-III სს.), ვიდრე ვანის, ყაზბეგის განძისა და ბრილის ფიბულები (ძვ.წ. V-IV სს.).

საქართველოში აღმოჩენილი რკალისებრი ფიბულები კონსტრუქციული თვალსაზრისით ერთგვარი კონსერვატულობით გამოირჩევიან, მაგრამ შემკულობის თვალსაზრისით მრავალფეროვნება ახასიათებთ და, როგორც ჩანს, ეს მათგან განსაკუთრებით მოდურ მოტივებს შემკულობაში. ერთ-ერთი ასეთი მოდური დეკორი უნდა იყოს ფიბულების რკალის შემკობა მსხვილი და დისკოსებური მძივების სიმეტრიული მონაცვლეობა-განლაგებით. ეს დეკორი განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს მცირე და წინა აზიის ქვეყნებისათვის (კვიპროსი, სირია-პალესტინა, იორდანია, დას. სპარსეთი, თურქეთი). ამ დეკორით არის შემკული ე.წ. „მუხლისებური“ (სამკუთხა) რკალიანი ფიბულები, რომლებიც აქემენიდურ პერიოდში სტანდარტულ ფორმად მიაჩნიათ დას. სპარსეთიდან პალესტინამდე [13, გვ. 193]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ვანის ოქროს ფიბულები იმ სამკაულთან განიხილება, რომლებიც აქემენიდური ხანის (ძვ.წ. VI-IV სს.) ეგვიპტიზირებული ხელოვნების ნიმუშად მიაჩნიათ [19, გვ. 40-46].

როგორც ჩანს, საქართველოც ვერ აცდა ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ძველი აღმოსავლეთის თანადროული ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელ მოდურ მოტივებს და თავისებური, ლოკალური ხასიათის დეკორი განავითარა.

საქართველოში აღმოჩენილი მძივისებური რკალიანი ფიბულები, რომლებიც ძვ.წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება, კიდევ ერთი ნიმუშია თანადროულ ძველ ცივილიზაციებთან ურთიერთობისა.

Н. О. Сулава

ФИБУЛЫ С БУСООРАЗНОЙ ДУГОЙ ИЗ ГРУЗИИ.

(Резюме)

Одночленные дугообразные фибулы по форме дуги и ее украшений отличаются многообразием. В предлагаемой статье исследованы фибулы, дуга которых украшена выпуклостями меж бусообразно нанизанных колец. Подобные фибулы известны из погребений Ванского городища (№№ 6 и 11), Брили (№ 9) и Казбекского клада (Таб. I₁₋₆). Датируются они V-IV вв. до н.э. Эти фибулы в некоторой степени перекликаются с модными мотивами украшений синхронных цивилизаций Средиземноморья и Древнего Востока, развивая при том своеобразный характер декора.

N. Sulava

DIE FIBELN MIT PERLENARTIGEM BOGEN AUS GEORGIEN

(Zusammenfassung)

Die Bogenfibeln sind dem Bogen und ihrer Verzierung nach ziemlich vielfältig. Jetzt forschen wir die Fibeln, deren Bogen mit den Buckeln geschmückt sind, die sich wie Perlen zwischen den Leisten befinden. Solche Fibeln sind in Wani, im Grab № 1 und № 11, in Brili, im Grab № 9 und im Kasbegihort (Abb.I₁₋₆) gefunden worden. Die in Georgien entdeckten Fibeln werden in 5.-4. Jh. v. Ch. datiert. Sie finden die Ähnlichkeit zu den modernen Schmuckmotiven der gleichzeitigen Kulturen des Mittelmeerraums und des Alten Orient, aber seinerseits haben sie eigenartiges Dekor.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I. 1 – ბრილის № 9 სამარხი; 2 – ვანის № 11 სამარხი; 3-4 – ვანის № 6 სამარხი; 5-6 – ყაზბეგის განძი; 7 – გეზერი; 8 – ცინცირლი; 9-10 – მეგიდო; 11-12 – ტარსუსი; 13 – იორდანია; 14 – კვიპროსი; 15-18 – ბოლაჯკოი; 19-20 – ლინდოსი; 21 – ჰერაკლეიონი. 22-23 –

ლინდოსი; 24-25 – დიდიმი; 26-28 – ათენი; 29-30 – ლინდოსი; 31 – სალონიკი; 32 – ფერაი.

ტაბ. II. – ბრილის № 9 სამარხი.

ტაბ. III. 1 – ითხვისი № 2 სამარხი; 2 – ვანი № 9 სამარხი; 3 – წინწყარო; 4 – ვანი № 3 სამარხი; 5 – წინწყარო; 6 – წინანდალი; 7 – მოდინახე; 8 – ითხვისი № 2 სამარხი; 9 – ვანი № 3 სამარხი; 10 – ვანი № 12 სამარხი; 11 – ვანი № 12 სამარხი; 12 – ახალგორი; 13 – სამადლო; 14 – ახალგორი.

Описание таблиц:

Табл. I. 1 – Брили, погребение № 9; 2 – Вани, погребение № 11; 3-4 – погребение № 6; 5-6 – Казбегский клад; 7. Гезери; 8. Цинцирли; 9-10 – Мегидо; 11-12 – Тарсус; 13. Иордания; 14. Кипр; 15-18 – Богаз-кей; 19-20 – Линдос; 21 – Гераклеийон; 2-23 – Линдос; 24-25 – Дидимы; 26-28 – Афины; 29-30 – Линдос; 31 – Салоники; 32 – Феран.

Табл. II. Брили, погребение № 9;

Табл. III. 1 – Итхвиси, погребение № 2; 2 – Вани, погребение № 9; 3 – Цинцкаро; 4 – Вани, погребение № 3; 5 – Цинцкаро; 6. Цинандали; 7 – Модинахе; 8 – Итхвиси, погребение № 2; 9 – Вани, погребение № 3; 10 – Вани, погребение № 10; 11 – Вани, погребение № 12; 12 – Ахалгори; 13 – Самадло; 14 – Ахалгори.

Die Beschreibung der Abbildungen

Abb. I. 1 – Brili, Grab № 9; 2 – Wani, Grab № 11; 3-4 – Wani, Grab № 6; 5-6 – Kazbegihort; 7 – Geser; 8 – Zinzirli; 9-10 – Megido; 11-12 – Tarsus; 13 – Jordanien; 14 – Zypern; 15-18 – Bogaskoü; 19-20 – Lindos; 21 – Herakleion; 22-23 – Lindos; 24-25 – Didima; 26-28 – Athen; 29-30 – Lindos; 31 – Salonik; 32 – Ferei

Abb. II. – Brili, Grab № 9

Abb. III. 1 – Ichtwisi, Grab № 2; 2 – Wani, Grab № 9; 3 – Zinzkaro; 4 – Wani, Grab № 3; 5 – Zinzkaro; 6 – Zinandali; 7. Modinache; 8 – Ichtwisi, Grab № 2; 9 – Wani, Grab № 3; 10 – Wani, Grab № 12; 11 – Wani, Grab № 12; 12 – Achalgori; 13 – Samadlo; 14 – Achalgori.

ლიტერატურა:

1. რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, XIX-A და XXI-B, 1957.

2. რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.), სსმმ, XXI-ი, 1961.

3. Е. М. Алексеева. Античные бусы Северного Причерноморья. САИ, вып. Г 1-12, М., 1978.

4. Chr. Blinkenberg. Fibules Grecques et Orientales Historikfilologische Meddeleser XIII. Kobenhavn, 1926.

5. Ю. Гагошидзе. Самадло, Каталог. Тб., 1981.

6. ნ. გოგიბერიძე, სალტეებს შორის მოქცეული ბურცობებით დეკორირებული სამკაულის თარიღისათვის, მაცნე, 1986, № 2.

7. დ. კაჭარავა, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, ვანი, IV, თბ., 1979.

8. Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ВГМГ, XII-ი, 1944.

9. თ. ლორთქიფანიძე და სხვ., არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი, I, თბ., 1972.

10. P. von Eles Masi. Le fibule dell Italia settentrionale PBF, XIV, 5, München, 1986.

11. ვ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

12. E. Sapouna-Sakellarakis. Die Fibeln der grichischen Inseln, PBF, Abteilung XIV, München, 1978.

13. D. Stronach. The Development of the Fibule in the Near East, Iraq, vol XXI, part 2, 1959.

14. Я. И. Смирнов. Ахалгорийский клад. Тифлис, 1934.

15. Б. В. Техов. Тлийский могильник, I, Тб., 1980.

16. რ. ფუთურიძე და სხვ., ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, ვანი, I, თბ., 1972.


17. Из архива Н. В. Хоштариа, Вани, IV, Тბ., 1979.

18. ღ. წითლანაძე, სევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976.


19. ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი, VI, თბ., 1981.

20. ც. დავლიანიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან, სსმმ, XXXII-B, 1976.


తెం. 1



குடி. II




తెం. III



ოთარ ლორთქიფანიძე

მდინარე-ღვთაება ფასისი („კოლხური დიდრაქმების“ I ტიპის იკონოგრაფიისათვის)

„კოლხური თეთრის“ (ე.წ. „კოლხიდკები“-ს) სახელით ცნობილ მონეტებს შორის [4, გვ. 26-32; 12, გვ. 9-33] რამდენიმე ტიპის დიდრაქმაა, რომელთა იკონოგრაფია დისკუსიის საგნადაა ქცეული. ამჯერად I ტიპის დიდრაქმას განვიხილავთ.



სურ. 1

„კოლხური დიდრაქმის“ I ტიპის მონეტების შუბლზე მიღებული ლომის გამოსახულება [15, გვ. 59-60; 13, გვ. 103; 11, გვ. 37], ხოლო ზურგზე (ჩაჭდვულ სწორკუთხედში) – ხარისთავიანი მუხლმოდრეკილი მამაკაცის. სადღეისოდ ასეთი მონეტების 9 ნიმუშია ცნობილი. მათგან სამი თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული [4, გვ. 28; 12, გვ. 11; 17, გვ. 11; 8, გვ. 426], ორი – ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში [8, გვ. 425], ორი – სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში [18, გვ. 20-21, ტაბ. IV, 48-49], ხოლო თითო-თითო – ბრიტანეთის მუზეუმში [32, გვ. 168, ტაბ. VI, 5; 38, გვ. 137-138, ტაბ. XVII; 47, ტაბ. XXXVIII], ბერლინის მუზეუმის მონეტების კაბინეტში [44, გვ. 259, ტაბ. XI, 5] და ბოსტონის (აშშ) სახვითი ხელოვნების მუზეუმში [28, გვ. 88-89; 23, გვ. 179, № 1352, ტაბ. 68.] ამ ცხრა მონეტიდან მხოლოდ ორის აღმოჩენის ადგილია ზუსტად ცნობილი – ზუგდიდის მახლობლად, „ახალ-სოფლის განძი“ [8, გვ. 425]. კიდევ ერთის შესახებ არის მეტად სათუო ცნობა, რომ ის „ფოთის განძიდანაა“ [17, გვ. 11].⁴ დანარჩენების შესახებ კი მითითებაა, რომ ისინი


„სამეგრელოდანაა“ ან „დასავლეთ საქართველოდან,“ ან „ქუთაისის პროვინციდან,“ რაც მეფის რუსეთის დროს დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა.



სურ. 2

მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი მამაკაცი მონეტებზე ხან მარჯვენა პროფილშია გამოსახული (სურ. 3_{1,6}, 9), ხან მარცხენაში (სურ. 3_{7,8}). განსხვავებაა მთელი რიგი დეტალების გადმოცემაშიც: მაგ. ზოგიერთ მონეტაზე მამაკაცის ფიგურა კარგადაა აგებული, ტანადია და მოხდენილი, რელიეფურად გამოსახული გულმკერდითა და ზომიერი მუსკულატურით (სურ. 1; 3_{1,2}), სხვებზე – ჯმუხია და მსხვილი (სურ. 3_{4,6} და განსაკუთრებით 3₉) ან სქემატური (სურ. 3_{3,8}). განსხვავებულია ხარის რქის მოყვანილობაც – როგორც წესი ზედა ნაწილში მორკალულია, მაგრამ ზოგჯერ კი სწორი (სურ. 3₃); ხელები დაშვებულია და დაწყობილია თედოებზე ან მუხლებზე (სურ. 3_{1,5}), მაგრამ ზოგიერთ ნიმუშზე – ზეაწეულია და თითქოს ხელთ რაღაცა საგანი უპყრია (სურ. 3₆ და 3₉). რვა მონეტაზე მამაკაცი ორივე ფეხითაა მუხლმოდრეკილი (სურ. 3_{1,8}), მაგრამ ერთ ნიმუშზე ცალ ფეხზეა დაჩოქილი და თითქოს მორბენალ პოზაშია გამოსახული. შეიძლება ითქვას, ჩვენამდე მოღწეული ცხრა ნიმუშიდან თითქმის არცერთი არაა ერთმანეთის იდენტური (იქნებ მხოლოდ №№ 1 და 2).

⁴ დღევანდელ ფოთში ძვ.წ. VI-V სს-ის მონეტების განძის აღმოჩენა ძალზე საეჭვოა, რადგან ამ დროს ამ ქალაქის ტერიტორია ზღვით უნდა ყოფილიყო დაფარული (6, გვ. 27-33; შდრ. 1, გვ. 7 და შემდ.). თუმც არაა გამორიცხული, რომ ხსენებული განძი სადღაც ფოთის მახლობლად იყოს აღმოჩენილი.



სურ. 3

იმის შესახებ თუ რას გამოსახავდა I ტიპის დიდრაქმის ზურგზე წარმოდგენილი ხარისთავიანი⁵ მუხლმოდრეკილი მამაკაცი, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სრული სხვადასხვაობაა: ზოგიერთი მკვლევარი მას უწოდებს „ურჩხულს“ („ქწტუჟა“), „ფანტასტურ არსებას“ ან „მინოტავრს“ [37, გვ. 52; 13, გვ. 38; 8, გვ. 425; 23, გვ. 179; 45, № 220; 36, გვ. 367, № 692; შდრ. გვ. 157]. სხვები თვლიან, რომ აქ გამოსახულია „ცხოველის ნიღბიანი მამაკაცი საკულტო რიტუალის შესრულებისას“ [11, გვ. 165] ან რომ „მკვლევართა უმრავლესობის (ჰ – ო.ლ.) აზრით მონეტის ზურგზე გამოსახული ზღაპრული არსება კოლხური ღვთაებაა, რომელიც ადგილობრივ მკვიდრობდა კოლხეთის

სანაპიროებზე ჯერ კიდევ პირველი ბერძენი კოლონიზატების გამოჩენამდე“ [4, გვ. 27]; ან, რომ „გამოსახულება უკავშირდება ძველი ქართველების და აფხაზების პრიმიტიულ რელიგიურ წარმოდგენებს. მათ პარალელი ეძებნებათ სირიულ-ხეთურ გლიპტიკაში წარმოდგენილ ხარისთავიან ადამიანთა ფიგურებში“ [37, გვ. 8]. ახლახან კიდევ ერთი მოსაზრება გამოითქვა: მუხლმოდრეკილი ფიგურა ქალისაა და მას აქვს ძროხის თავი. ამიტომ იგი უნდა იყოს იო (ე.ი. ძველი არგოსის მთვარის ღვთაება), ეგვიპტის პანთეონის იზისთან იდენტიფიცირებული, რომელმაც თითქოს გადმოცემის თანახმად ძროხისთავიანი ქალწულის სახით მიაღწია შავი ზღვის ნაპირებს [33, გვ. 205-206]. ასეთი ინტერპრეტაცია სრულიად მიუღებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ტანშიშველა ფიგურა აშკარად მამაკაცისაა – ჭაბუკის, არქაული ხანის ბერძნული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მუსკულატურით. ამას გარდა, კარგადაა ცნობილი, რომ არქაული და კლასიკური ხანის ბერძნული ხელოვნება (ვიდრე პრაქსიტელემდე) არასოდეს წარმოსახავდა ქალს შიშველი ტანით [22, გვ. 125-126]⁶.

⁵ ყველა (ცხრავე) მონეტაზე სწორედ ხარის თავია წარმოდგენილი. მტკიცება, რომ თითქოს ამ მონეტებზე მუხლმოდრეკილ ტანშიშველ ადამიანს აქვს თავი თუ ნიღბი, ზოგჯერ თხის, დათვის, ხარის და ა.შ. (14, გვ. 168; 3, გვ. 129), სწორი არაა, რაც უკვე დამაჯერებლად იქნა აღნიშნული (12, გვ. 13). რაც შეეხება ბრიტანეთის მუზეუმის ეგზემპლარს, რომელზეც თითქოს „დათვისთავიანი“ არსებაა (14, გვ. 168, შდრ. გვ. 38, 137: „ცხოველის თავი“), მე მქონდა შესაძლებლობა მენახა იგი 1994 წელს დოქტორ ე. პრაისტან ერთად. სავსებით თვალნათლივ ჩანს ხარის რქა, რომელიც კვეთს გამოსახულების ჩარჩოს. ერთი მონეტის გარდა, ხარის თავის დაბოლოებაზე შეინიშნება ნაოჭების 3 რიგი (რომელსაც ზოგჯერ „საყელურად“, ხატისულლად, ან „მძივებიან ყელსაბამლად“ კი მიიჩნევენ – შდრ. 28, გვ. 88; 8, გვ. 426; 23, გვ. 179; 12, გვ. 11-12). მაგრამ ეს უნდა იყოს სწორედ ხარისთავის დამახასიათებელი ნაოჭების სტილიზებული გადმოცემა (შდრ. მაგ. ხარ-კაცის სახით გამოსახული აქელოოსი – 35, №№ 33-34) ან იქნებ მიიჩნება ნიღბზე? (შდრ. 50, გვ. 162).

ასე, რომ ხარისთავიანი მამაკაცის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით გამოთქმული ზემოთმოტანილი მოსაზრებანი, სამწუხაროდ, სათანადოდ არაა არგუმენტირებული, მეტწილად დეკლარაციულია და ამიტომ ძნელია მათი გაზიარება. ჩვენი აზრით, ხარისთავიანი მამაკაცის სიმბოლური მნიშვნელობის დასადგენად გასათვალისწინებელია ის, რომ ხარისნაწილებიანი მამაკაცის გამოსახულება ძველ ბერძნულ

⁶ I ტიპის „კოლხურ დიდრაქმაზე“ გამოსახულ მუხლმოდრეკილ ფიგურას ქალად ზოგიერთი სხვა მკვლევარიც მიიჩნევს (14, გვ. 104; 48, გვ. 237).

მითოლოგიასა და რელიგიაში უკავშირდება მდინარე-ღვთაებას. კარგადაა ცნობილი, რომ მდინარე-ღვთაების ადრეული (არქაული და კლასიკური ხანის) იკონოგრაფია დაკავშირებულია ხართან, რომელიც ბერძნულ რელიგიაში განასახიერებდა წყალს-მდინარეს, მის ნაყოფიერებასა და ძლიერებას [42, გვ. 238; 30, გვ. 198; 51, გვ. 59, 70, 82, 100-101]. ამიტომაც მდინარე-ღვთაება გამოისახებოდა ხარ-კაცის იერით⁷ ან როგორც მამაკაცი, რომელსაც ჰქონდა ხარის თავი, რქები ან ფეხები [31, გვ. 14; 25, 74; 51, გვ. 50, 70]. ამას ადასტურებენ ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროებიც. ევრიპიდესთან მდინარე-ღვთაება კეთისოსი იწოდება „ხარისმაგვარად“ („იონი“, 1261), ხოლო ალფეოსი – „ხარის ფეხებიანად“ („იფიგენია“, 275). რომაულ ლიტერატურაშიც, მაგალითად, ოვიდიუსთან ღვთაება აუფიდუსი – აპულიის მთავარი მდინარე, „ხარისმაგვარია“ (ოდ., IV, 14, 25). ვირგილიუსთან ერიდანოსი „ხარისსახიანია“ („გეორგ.“, IV, 371). საგანგებოდაა აღსანიშნავი ის ცნობები, სადაც სხვადასხვა მდინარე-ღვთაება წარმოდგენილია ხარისთავიანი მამაკაცის სახით. ასე მაგ., ოკეანოსი, რომელიც თავდაპირველად განიხილებოდა როგორც მდინარე (ჰესიოდე, თეოგონია, 242; შდრ. 52, გვ. 201), მდინარე-ღვთაება, შემქმნელი ყველა წყლისა, მდინარისა და ზღვისა, ევრიპიდესთან იწოდება, როგორც „ხარისთავიანი“ („ორესტე“, 1377) ან „რქოსანი“ („ორესტე“, 789). სქოლიასტის განმარტებით: „მდინარეები გამოისახებიან და იწოდებიან „ხარის თავისქალებიან“-ებად (ევრიპიდეს „ორესტეს“ სქოლიონი 1378). სოფოკლესთან აქელოსი (მდინარე-ღვთაება) სამსახოვანია: ის გამოეცხადება სახე-მშვენიერ ქალწულ დეინარას ხან როგორც „ხარი“, ხან „გველი“ და ხან „ხარისთავიანი მამაკაცი“ („ტრაქეები“ 7-11; შდრ. 39, გვ. 150). ამგვარად, მდინარე აქელოსი, „ხარისთავიანია“. სოფოკლეს სქოლიასტის განმარტებაა საყურადღებო: „მდინარეები ხარისთავიანებად არიან წარმოდგენილი იმიტომ, რომ ემსგავსებიან მდინარეთა გამოსვლას ხარივით რომ ღრიალებს“. პომპროსთანაც („ილიადა“, XXI, 234) მდინარე-ღვთაება სკამანდროსი „ხარივით ღრიალებს“. სტრაბონის ცნობითაც (X, 2, 19): „სხვა მწერლები, რომლებიც ცდილობენ ჭეშმარიტების გამოცნობას მითებში, ამბობენ, რომ აქელოსი, სხვა მდინარეების მსგავსად, იწოდებოდა „ხარისმაგვარად“ იმიტომ, რომ ემსგავსება მათ მიწიერი წყლების ღრიალით ...“.

⁷ ჯერ კიდევ ნილსონმა – ბერძნული რელიგიის ერთერთმა ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსება ძველი აღმოსავლური ხელოვნების ხარ-კაცთან წმინდა ფორმალური ხასიათისაა: აღმოსავლური ხარ-კაცის იკონოგრაფიული სახე წყალთან არაა დაკავშირებული (42, გვ. 356 და შენიშვნა 3).

ბერძნულ სახვით ხელოვნებასა და მონეტებზე მდინარე-ღვთაება მეტწილად ხარ-კაცადაა (ე.ი. ადამიანის სახითა და ხარის ტანით) გამოსახული [34; 51, გვ.27]. ოკეანოსი კი ერგოტიმისა და კლიტიასის მიერ დაახლ. ძვ.წ. 470 წელს შექმნილ შავფიგურულ კრატერზე (ე.წ. „ვაზა ფრანსუა“) გამოსახულია ხარისთავიან მამაკაცად (ხიხ. 20, გვ. 27ჯ: აქ ოკეანოსის იდენტიფიკაციის ავტორად მითითებულია ა. მილანი, თუმც მისი ნაშრომი დასახელებული არაა). ასევე, აქელოსი ხშირადაა წარმოდგენილი, როგორც ჭაბუკი ან, იშვიათად, მოხუცი მამაკაცი, რომელსაც აქვს ხარის რქები ან თავი [51, გვ. 27]. ქალაქ მეტაპონტის ერთ სტატერზე (დაახლ. ძვ.წ. 450 წ.) აქელოსი (რომლის პიროვნება წარწერითაა დადასტურებული), გამოსახულია როგორც ხარის-რქებიანი ტანშიშველი წვეროსანი მამაკაცი. ბრიტანეთის მუზეუმის ძვ.წ. VI ს-ის დასასრულის ერთ შავფიგურულ ჰიდრიასზე [51, გვ. 119; შდრ. 27, გვ. 358] გამოსახული ხარისთავიანი და კუდიანი სამი მოცეკვავე მამაკაციც [24, ტაბ. 80] მდინარე-ღვთაებებადაა განსაზღვრული [51, გვ. 119, ტაბ. 10, 2]. მდინარე-ღვთაების იკონოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით, აღიარებულია, რომ ხარისთავიანი მამაკაცის თუ ხარ-კაცის ფიგურა გარდამავალი საფეხურია ზომორფული სახიდან ელინისტურ-რომაული ხანის ანთროპომორფული გამოსახულებებისაკენ: ხარის ნიშნებიანი გამოსახულება ჩნდება ძვ.წ. V ს-ის პირველ ნახევარში ბერძნული თეატრის გავლენით [51, გვ. 236, 241].

ზემოთ მოტანილის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ I ტიპის „კოლხური დიდრაქმის“ ზურგზე წარმოდგენილი ხარისთავიანი მუხლმოდრეკილი ტანშიშველი მამაკაცი წარმოსახავს მდინარე-ღვთაებას. მაგრამ რატომაა ის მუხლმოდრეკილი? ეს არ შეიძლება იყოს აღორანტული პოზა [იხ. 11, გვ. 104], რამდენადაც ბერძნულ ხელოვნებაში ასეთ მდგომარეობაში ჩვეულებრივ ქალები არიან გამოსახული, მამაკაცები კი ძალიან იშვიათად და ისიც სულ სხვა კონტექსტში [41, გვ. 19 და შემდ.]. შესაძლოა, რომ მუხლმოდრეკილი გამოსახულება ჩვენს მონეტებზე წარმოსახავს ე.წ. ჩოქვით სრბოლას ("Knielaufschema"), მსგავსად ხარ-კაცისა, რომელიც სიცილიისა და სამხრეთ იტალიის მონეტებზე აქელოსისა თუ სხვა მდინარე-ღვთაების იკონოგრაფიულ სახედაა აღიარებული [35, გვ. 14 და შემდ.; №12, 18-20, 25-26]. არც ის უნდა იყოს გამორიცხული, რომ შესაძლოა, მდინარე-ღვთაება „კოლხურ დიდრაქმაზე“, რაღაც რიტუალის შესრულების პოზაშია. ცნობილია გამოსახულებანი, სადაც მდინარე-ღვთაება (მაგ. აქელოსი) მსხვერპლშეწირვის ან სხვა რიტუ-

ალის შესრულებისასაა წარმოდგენილი ხმდრ. 50, გვ. 29].

ბერძნული იკონოგრაფიის დიდმა სპეციალისტმა პროფ. ერიკა ზიმონმა სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც მიკარნახა (ზეპირ საუბარში კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის სარედაქციო – სამეცნიერო კომიტეტზე ჩემი მოხსენების [40] შემდეგ): შესაძლოა მუხლმოდრეკილი პოზა მდინარე-ღვთაებას წარმოსახავს ზეახტომილ ცეკვისას (Springtanz), ისე როგორც მაგ. მუხლმოდრეკილი ჭაბუკის სპილოს ძვლის ქანდაკება ძვ.წ. VII ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა კუნძულ სამოსიდან ან „მოცეკვავე ჭაბუკი“ მხატვარ ევთიმიდეს წითელფიგურულ პელიკაზე, რომელიც დაახლ. ძვ.წ. 510 წლით თარიღდება ხის. 46, გვ. 66-69, ტაბ. 17-18]. პროფ. ერიკა ზიმონის მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას აქვს საკმაოდ მტკიცე საფუძველი. აღიარებულია, რომ მდინარე-ღვთაების იკონოგრაფიის განვითარებაში გარკვეული როლი ბერძნულმა თეატრმა შეასრულა. მის სცენაზე მსახიობები გამოდიოდნენ სხვადასხვა ცხოველთა ნიღბებით, რომლებიც ასევე სხვადასხვა ღვთაებებს, მათ შორის განსაკუთრებით მდინარე-ღვთაებებს ასახიერებდნენ [51, გვ. 110]. ცნობილია ახ.წ. II ს-ის ავტორის იულიუს პოლუქსის თხზულება ე.წ. ნიღბების კატალოგი, სადაც უფრო ადრეული ხანის თეატრალური ცხოვრებაა წარმოდგენილი. იქ მოხსენიებულია 76 სხვადასხვა ნიღაბი, რომელთა უმრავლესობა მდინარე-ღვთაებისაა [51, გვ. 110, 118; ხმდრ. 21, გვ. 91]. ბერძნული თეატრის სცენაზე დიდი ადგილი ეკავა ცეკვებს, რომელნიც იმეორებდნენ იმ ცხოველთა მოძრაობებს, რომელნიც სხვადასხვა ღვთაებებს განასახიერებდნენ. ამ ცეკვებს პოლუქსი უწოდებს „მორფაზმოს“, რაც ნიშნავდა ცხოველთა მოძრაობის იმიტაციას სახის შესაქმნელად. მდინარე-ღვთაების განმასახიერებელი ნიღბიანი მსახიობები ქმნიდნენ ცხოველისა და წყლის მოძრაობის იმიტაციას [51, გვ. 120]. თუ გავიზიარებთ ქნ ერიკა ზიმონის მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას, რომ კოლხურ დიდრაქმაზე მუხლმოდრეკილი ფიგურა მოცეკვავე პოზას განასახიერებს, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წყლის მოძრაობის, მისი აზვირთების იმიტაციას წარმოადგენდა.

განურჩევლად იმისა, მუხლმოდრეკილი ფიგურა I ტიპის „კოლხურ დიდრაქმაზე“ მოცეკვავე პოზაშია, მორბენალი თუ მსხვერპლ-შეწირვისასაა გამოსახული, ერთი რამაა თითქოს უცილობელი: ხარისთავიანი ტანშიშველი მამაკაცი განასახიერებდა მდინარე-ღვთაებას. მაგრამ რომელს? გამოთქმულია მოსაზრება [14, გვ. 168; 11, გვ. 98; 3, გვ. 129] და საკმაოდ დამაჯერებლადაც არგუმენ-

ტირებული [2], რომ I ტიპის „კოლხური დიდრაქმა“ იჭრებოდა ქალაქ ფასისში, რომელიც მილეტელთა დაარსებულ აპოკიას წარმოადგენდა (არისტოტელე, ფრ. 2 № ჰერაკლიდე ლემბი, პოლიტ. XVIII; პომპონიუს მელა, ქოროგრაფია, I, 108; ანონიმური პერიპლუსი, 3 № ფსევდოსკიმნოსი, სტეფანე ბიზანტიელი, ეთნიკა: ფასისი; თეოკრიტეს „იდილიის“ XIII, 23-ის სქოლიონი).

თუ სწორია ჩვენი მოსაზრება, რომ I ტიპის კოლხური დიდრაქმის ზურგზე წარმოდგენილი მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ტანშიშველი მამაკაცი მდინარე-ღვთაებას განასახიერებს, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესაა ღვთაება ფასისი, რომელიც წერილობით წყაროებშიც იხსენიება.

მდინარე-ღვთაება ფასისი პირველად მოხსენიებულია ძვ.წ. VIII ს-ში ბერძენი პოეტის ჰესიოდეს მიერ ღმერთების წარმოშობისადმი მიძღვნილ პოემაში („თეოგონია“, 337-340):⁸ „ტეთისმა ოკეანეს უშვა ბობოქარი მდინარეები: ნილოსი, ალფეიოსი და ღრმა მორევიანი ერიდანოსი, სტრიმონი. აგრეთვე მეანდროსი, ლამაზტალღებიანი ისტროსი, ფასისი, რესოსი და ვერცხლივით ელვარე აქელოსი ...“ [9, გვ. 186].

ციტირებულ ნაწყვეტში, რომელსაც „მდინარე-ღვთაებათა კატალოგსაც“ კი უწოდებენ [51, გვ. 140], როგორც ვხედავთ, ფასისი მოხსენიებულია ისეთ ფართოდ ცნობილ მდინარე-ღვთაებათა გვერდით, როგორიც იყვნენ ოკეანესა და თეტიისის მიერ შობილი ნილოსი, ალფეოსი, სტრიმონი, აქელოსი, მეანდროსი. ესენი უძველესი ღვთაებანია, რომელთაგან უმრავლესობა უკვე ჰომეროსის პოემებში არიან პერსონიფიცირებული სახით წარმოდგენილი: მაგ. ოკეანოსი („ილიადა“, XIV, 20; XVIII, 606; XX, 7; XXI, 195 და შემდ.), ალფეოსი („ილიადა“, V, 544; XI, 727; „ოდისეა“, XV, 187), აქელოსი („ილიადა“, XXI, 193). და მიუხედავად იმისა, რომ ფასისი ჰესიოდეს „თეოგონიაში“ ზემოთხსენებულ ღვთაებათა შორისაა დასახელებული, მაინც ძალზე ძნელი სათქმელია: იყო თუ არა პოემის შექმნის დროს, ძვ.წ. VIII საუკუნეში, და მამასადადამე კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციის დაწყებაზე (ე.ი. ძვ.წ. VI ს-ის 90-იან წლებამდე) აგრე დიდი ხანით ადრე, არგონავტების მითიდან კარგად ცნობილი კოლხეთის დიდი მდინარე ფასისი უკვე მდინარე-ღვთაებად პერსონიფიცირებული? თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ

⁸ რამდენადაც თვალის გადევნება შეუძელი, ჰესიოდეს „თეოგონიაში“ ფასისი მდინარე-ღვთაებად პირველად შტოლმა გაიზარა (47, გვ. 2287). შემდეგ ვასსერმა მდინარე-ღვთაებებისადმი მიძღვნილ მშვენიერ ნაშრომში ფასისი ჰესიოდეს „თეოგონიის“ დამოწმებით, შეიტანა მდინარე-ღვთაებათა კატალოგში (50, გვ. 2808).

უნდა გვევარაუდნა, რომ მდინარე-ღვთაება ფასისი ელინურ მითოლოგიურ სისტემაში მოექცა ჯერ კიდევ ბერძნების კოლხეთთან პირველი კონტაქტების დროიდან ე.ი. წინასაკოლონიზაციო პერიოდში. მაგრამ ასეთი ვარაუდი ნაკლებ სარწმუნოა, მიუხედავად იმისა, რომ წყლისა და მდინარის კულტი კოლხეთში ადგილობრივი ფოლკლორული მონაცემებითაა წარმოჩენილი [7, გვ. 331-332], თუმცა ისინი ძნელად დასათარიღებელია. უფრო სავარაუდებელია, რომ ჰესიოდემ თავის პოემაში მდინარე-ღვთაებათა შორის ფასისი შეიტანა იმ დროის ცნობილი ისეთი დიდი მდინარეების ანალოგიით, რომელნიც უკვე იყვნენ პერსონიფიცირებული ჰომეროსის პოემებში და მაშასადამე ძვ.წ. VIII ს-ის ბერძნულ მითოლოგიაში. მდინარე-ღვთაება ფასისის მითოლოგიური სახე ბერძენთა მიერ თავისი ახალშენის დაარსების შემდეგ უნდა იყოს თითქოს შექმნილი. ჰესიოდეს შემდგომ, მდინარე-ღვთაებად პერსონიფიცირებულ ფასისს იხსენიებენ მხოლოდ ელინისტური და რომაული ხანის ავტორები, ამასთან – საკმაოდ საინტერესო კონტექსტში.

პირველ რიგში საინტერესოა ცნობები ღვთაება ფასისის გენეალოგიის შესახებ. ჰესიოდესთან („თეოგონია“, 337-340), როგორც უკვე ვნახეთ, ფასისი, ისევე როგორც სხვა დიდი მდინარე-ღვთაებანი, ოკეანესა და თეტიისის ნაშიერებად არიან წარმოდგენილი. სულ სხვა წარმომავლობისაა ფასისი პლუტარქესან (თუ ფსევდო პლუტარქესთან), რომელიც, როგორც ცნობილია, საგანგებოდ აგროვებდა მდინარე-ღვთაებათა შესახებ თქმულებებს: „ფასისი, ჰელიოსის და ოკიროეს – ოკეანეს ასულის ძე“ [10, გვ. 119]. ამრიგად, აქ ფასისი არის ძე ჰელიოსის, ისევე როგორც კოლხთა მეფე აიეტი და მისი და კირკე (მდრ. „ოდისეა“, X, 136-139; „თეოგონია“, 958). ხომ არაა ეს არაპირდაპირი მოწმობა იმისა, რომ მდინარე ფასისის პერსონიფიკაცია ღვთაებად მოხდა ჰესიოდეს შემდგომ, უკვე ბერძენთა მიერ ფასისის ახალშენის (აპოიკიის) დაარსების შემდეგ. ამასთან ეს, როგორღაც დაუკავშირდა კოლხთა მითიურ ისტორიას (ამ შემთხვევაში, იგულისხმება კოლხთა მითიური ისტორია ბერძნული თვალსაზრისით და არა საკუთრივ კოლხების მითიური რწმენა-წარმოდგენები, რომელნიც ჩვენთვის სამწუხაროდ ცნობილი არაა). ზემოთქმულის კონტექსტშია საინტერესო ღვთაება ფასისის შესახებ შემონახული სხვა ცნობებიც. მნასეასი, ელინისტური ეპოქის მწერალი, რომლის ცნობები შემონახულია თეოკრიტეს XIII იდილიის 75-ე ტაეპის სქოლიოებში, აღნიშნავდა: „ კოლხებს სახელი დაერქვათ კოლხის მიხედვით, რომელიც ფასისის ძე იყო“ [10, გვ. 128]. სრულიად მსგავსი ცნობა აქვს ევსტათე თესალონიკელს ორჯერ გადმოცემული: „კოლხები იწოდებიან კოლხის –

ფასისის ძის მიხედვით,“ ... „გადმოცემის თანახმად ისინი (ე.ი. კოლხები -ო.ლ.) იწოდებიან ფასისის ძის კოლხის მიხედვით“ (დიონისიოს პერიეგეტის „მსოფლიოს აღწერილობის“ კომენტარები, 689 [იხ. 10, გვ. 120, 150; 16, გვ. 203-204]). ეს ცნობები ეხმაურება და შეესატყვისება ძველ ბერძენთა წარმოდგენებს ხდაწვრ. 31, გვ. 12; 51, გვ. 44, 64, 109], რომელთა თანახმად მდინარე-ღვთაებანი გვევლინებიან როგორც ადგილობრივი გმირების წინაპრები (მდრ. „ილიადა“, V, 541; XVI, 174; XXI, 140, 190), ან ამა თუ იმ მხარის ადრეულ ისტორიასთან დაკავშირებული გვარების მამამთავრები (მაგ. ინახოსი ითვლებოდა არგოსის პირველ მეფედ – პავსანია, „ელადის აღწერა“ II, 15[4]), ან კიდევ როგორც მამები ქალაქების თუ სახელმწიფოების დამაარსებელი გმირებისა (არგოსი იყო ინახოსის ძე, ოლინთოსი – სტრიმონისა, სამოსი – მეანდროსის და ა.შ.). ასეთ ღვთაებად გვევლინება ფასისიც – კოლხის მამა.

მდინარე-ღვთაება ფასისი იხსენიება აგრეთვე კოლხთა მეფის აიეტის ე.წ. ფიცში, რომელიც მწერალ კალიმაქესთანაა შემონახული: „... დაე იცოდნენ ჰელიოსმა და ფასისმა, მეფემ ყველა ჩვენი მდინარისა“ („მიზეზები“, ფრ. 7, 34 -11ა, 107 და 109). აქ ფასისი წარმოგვიდგება ყველა ადგილობრივი მდინარის მეუფედ, რაც აგრეთვე ტიპიურია მდინარე-ღვთაებების შესახებ წარმოდგენებისათვის და წერილობით წყაროებშიცაა ასახული (იხ. მაგ. დიონისე პერიეგეტი, 353: „თიუმბრისი, მეფე ყველა მდინარისა“, ან ვირგილიუსი, გეორგ., I, 482: „მდინარეთა მეფე ერიდანოსი“). მდინარე-ღვთაებების სახელით დაფიცებაცაა დამოწმებული როგორც ლიტერატურულ წყაროებში („ილიადა“, III, 278: აგამემნონის ფიცი), ასევე ეპიგრაფიკულ ძეგლებში (ძვ.წ. III-II სს-ის წარწერა დრეროსიდან კუნძულ კრეტაზე [29, გვ. 84]). რომის იმპერატორთა ხანის ერთ-ერთ წარწერაში, იფიცებენ მდინარე (№ მდინარე-ღვთაებას) მელესს, როგორც შავი ჭირისა და სხვა ავადმყოფობათაგან მხსნელს [31, გვ. 14; 43, გვ. 18]. მდინარე-ღვთაება ფასისი გვხვდება აგრეთვე III ს-ის ბერძენ მწერალ ფილოსტრატე IV (უმცროსთანაც), რომელიც აღწერს სურათს „მოთამაშენი“: „შენ ხედავ თვითონ მდინარეს ხდმერთს| ლერწმარის სიღრმეში მწოლიარეს, საშინელი შესახეაობისას: თმა მას ხშირი და ყალყზე შემდგარი აქვს, ხოლო ნიკაპი საზარელი, თვალები კი მბრწყინავი. [წყლის] ნაკადი თავისი სიმრავლით იღვრება არა თასიდან, როგორც ჩვეულებრივ ხგამოსახავენ], არამედ მთლიანად [ღმერთისგან] მოედინება, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ თუ რა ძალით ეშვება პონტოში [9, გვ. 450-451].

ფილოსტრატესეული ეს აღწერილობა მსგავსია (მაგრამ არა იდენტური) მდინარე-ღვთაების ელინისტურ-რომაული იკონოგრაფიისა, რომელიც მას წარმოადგენდა მდინარეში გაწოლილ მოხუცად [27, გვ. 360 და შემდ., 51, გვ. 126 და შემდ.].

მდინარე ძველ ბერძნულ მითოლოგიაში უძველესი დროიდან იყო გაღმერთებული და კულტის საგნად ქცეული. ყოველ შემთხვევაში, ჰომეროსის პოემებში მათ უკვე ანთროპომორფული იერი აქვთ („ილიადა“, XIV, 201 და შემდ., 302) და პერსონიფიცირებულიც არიან, როგორც მაგ. ალფეოსი („ილიადა“, V, 544; XI, 727; „ოდისეა“, XV, 187), აქელოსი („ილიადა“ XXI, 193), სკამანდროსი („ილიადა“, V, 77; XXI, 131 და შემდ.), ქსანთოსი („ილიადა“, XXI, 2). ეს ღვთაებანი საკმაოდ დიდი პატივით სარგებლობენ: ზევსი იწვევს მათ ოლიმპოზე ღმერთების საბჭოზე („ილიადა“, XX, 7 და შემდ.), მათ ჰყავთ ქურუმები („ილიადა“, V, 77), იწოდებიან „ყოვლისშემძლე ღმერთებად“, როგორც მაგ. სკამანდროსი („ილიადა“, XXI, 136 და შემდ., 306 და შემდ.), მათ სახელს იფიცებენ (მაგ. აგამემნონი: „ილიადა“, III, 276 და შემდ.). ხდაწვრ. იხ. 19, გვ. 68 და შემდ.; 31, გვ. 12 და შემდ.; 26, გვ. 69 და შემდ.ჯყ

მდინარეთა მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ძვ.წ. VIII-VI სს-ის ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესში: ახალშენები არსდებოდა, როგორც წესი, მდინარეების შესართავთან, სადაც იქმნებოდა ნავსადგურიც; მდინარეულ თევზს დიდი ადგილი ეკავა კვებით რაციონში; წყალუხვი მდინარეები გამოიყენებოდა სარწყავად და სასმელ წყლად საქონლისათვის; მდინარეები დიდ როლს ასრულებდნენ ხე-ტყისა თუ სხვა სავაჭრო საგნების ტრანსპორტირებაში, ამასთან წარმოადგენდნენ სავაჭრო-მაგისტრალებს, ზოგჯერ საერთაშორისო მნიშვნელობისაც. კოლონიზაციის პროცესში დაარსებული ქალაქებისათვის მდინარეების აგრე დიდი მნიშვნელობის გამო იყო, რომ მდინარეების სახელები შეერქვა მრავალ ქალაქს (გელა, აკრაგასი, სელინუნტი, პანტიკაპეიონი, ბორისთენე და მრავალი სხვა). მდინარე-ღვთაებები იქცნენ ასეთი ქალაქების ეპონიმებად და მფარველ ღვთაებებად, რომელნიც გამოსახული იყვნენ ამ ქალაქების მონეტებზე, ძირითადად ხარ-კაცის ან ხარის ნაწილების (თავის, რქის) მატარებელი მამაკაცის სახით. იგივე უნდა ვივარაუდოთ ფასისის მიმართ. მილეტელთა ახალშენი დაარსდა მდინარე ფასისთან და ეწოდა მისი სახელი (შდრ. სტრაბონი, XI, 2, 16-17; პომპონიუს მელა, I, 109; ამიანე მარცელიანე, XXII, 24). ეს მდინარე კი ფართოდ იყო ცნობილი ბერძნულ სამყაროში არგონავტების შესახებ თქმულებებიდან. ქალაქი ფასისი სწრაფად იქცა სავაჭრო ცენტრად,

რომელსაც ჰქონდა თავისი ნავსადგურიც.⁹ მიწის გამანაყოფიერებელი შლამით განსაკუთრებით მდიდარი მდინარე ფასისი დიდ როლს ასრულებდა მიწათმოქმედების განვითარებაში [5, გვ. 60-65]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მდინარე ფასისის დიდი მნიშვნელობა როგორც ბერძნებისათვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ქმნიდა საფუძველს ფასისის მდინარე-ღვთაებად პერსონიფიცირებისათვის.¹⁰

I ტიპის კოლხურ დიდრაქმებს ათარიღებენ ძვ.წ. VI ს-ით (მაგ. 8 გვ. 428; 14, გვ. 168), უფრო ზუსტად – ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელი მეოთხედით [12, გვ. 14] ან ძვ.წ. V ს-ის სულ დასაწყისით [13, გვ. 37]. ასეთი დათარიღების საფუძველად ზოგადად ასახელებენ რაღაც „სტილისტურ თავისებურებებს“ ან „ფაქტურას.“ თუ გავითვალისწინებთ მდინარე-ღვთაების იკონოგრაფიის განვითარებას, კერძოდ იმას, რომ ანთროპომორფიზებული ხარის ნიშნებიანი გამოსახულება თეატრის გავლენით იქმნებოდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხარისთავიანი ტანშიშველი მუხლმოდრეკილი მამაკაცის ე.ი. მდინარე-ღვთაება ფასისის გამოსახულებიანი ვერცხლის დიდრაქმები იჭრებოდა ძვ.წ. V ს-ის პირველ ნახევარში.

Отар Лордкипанидзе

РЕКА-БОЖЕСТВО ФАСИС

(К иконографии т.н. колхидской дидрахмы I типа)

(Резюме)

О колелопреклоненной нагой мужской фигуре с бычьей головой (или маской), избраженной на т.н. колхидской дидрахме I типа (рис. 1-3), высказаны различные мнения: "монстр," "фантастическое существо," "минотавр" ([37, стр. 52], [13, стр. 38], [8, стр. 425], [23, стр. 179], [45, Nr.220], [36, стр. 367, Nr. 692]), "древнеколхидское божество" ([4, стр. 27]), "человек в звериной маске в сцене совершения культового действия, возможно, мистерии" ([11, стр. 104]); "связано примитив-

⁹ ჩვეულებრივ თვლიან, რომ ქალაქ ფასისს ჰეროდოტე არ იხსენიებს. მაგრამ სავარაუდებელია, რომ ჰეროდოტეს „ისტორიის“ IV, 38 და IV, 86-ში, სადაც საუბარია პონტოს (ე.ი. შავი ზღვის) ცალკეულ ნაწილებს შორის მანძილებზე, იგულისხმება არა მდინარე ფასისი, არამედ ქალაქი-ნავსადგური.

¹⁰ ფასისის, როგორც ძველი ქართველური ტოპონიმის შესახებ იხ. (1, გვ. 3 და აქ დასახ. ლიტ).

ными верованиями древних грузин и абхазов и находит параллель среди бычьеголовых существ в памятниках сиро-хеттской глиптики ([37, стр. 8]). "Это Ио, идентифицированная с Изис египтского пантеона ([33, стр. 205]).

По мнению автора, мужскую фигуру с бычьей головой следует считать изображением реки-божества, образ которого в греческой мифологической иконографии был связан с быком – символом воды, а также плодородия и мощи. Реки-божества изображались в виде человека-быка или мужчины с частями быка (голова, рога, ноги). На колхидских дидрахмах I типа, чеканившихся вероятно в милетской апойкии Фасисе ([14, стр. 168], [11, стр. 98], [37, стр. 129]) должно быть представлен река-божество Фасис, упомянутый в греко-римских источниках (Гесиод, Теогония, 342; Мнасеас: в Схолии Теокрит, Идиллия, XIII, 75; Каллимах, Причины, фр. 7; Псевдо-Плутарх, О реках, V; Филострат (младший), Игроки, 8,3; Валерий Флакк, Аргонавтика, V, 425-426; Сидоний, Стихотворения, XXIII, 272-273).

Otar Lordkipanidze

THE RIVER-GOD PHASIS

(On the Iconography of "Colchian" Didrachms of Type I)

(Summary)

There are divergent opinions regarding the interpretation of the kneeling nude male figure with bull's head (or mask) on the reverse of "Colchian" didrachms of type I: "a monster", "a fantastic creature", "the Minotaur" ([37, p. 52], [13, p. 38], [8, p.425], [23, p. 179], [45, n. 220], [36, p. 367, n. 692]), "a Colchian god" ([4, p. 27]), "a man in an best's mask performing an action connected with a religions cult" ([11, p. 104]); "to be related to the primitive beliefs of the ancient Georgians and Abkhasians parallels should be sought in the bull-headed human figures of Syro-Hittite glyptic" ([37, p. 8]), "an image of Io, identified with Isis ..." ([33, p. 205-206]).

The author interprets a kneeling male figure with a bull's head on the so-called Colchian didrachmas of type I as a River-God, an earlier image of which was widespread in the Archaic and Classical Greek mythological iconography. This image was related to the bull and personified

water, fertility and strength. River-Gods were consequently represented in the form of bull-man or in the shape of a man with features of a bull. It has been suggested that the coins under discussion were struck in the Milesian *apoikia* at Phasis ([14, p. 168], [11, p. 98], [3, p. 129]).

It may thus be assumed that on the "Colchian" didrachms of type I bearing a representation of male figure with a bull's head, we have an image of the River-God Phasis about which a great dear fascinating evidence has been preserved in Greek and Roman authors (Hesiod, Theog., 342; Mnaseas in Sch. ad Theocr., Id. XIII, 75; Callimachus: Aetia, fr. 7, Ps. Plutarch, De Fluv., V; Philostr. Junior, Playrs, 8, 3; Valer. Flac., Arg., V, 425-426; Sidonius, Carmina, XXIII, 272-273).

ნახატების აღწერილობა:

1. I ტიპის კოლხური დიდრაქმა (2:1) – იხ. აღწერილობა სურ. 3₁.

2. I ტიპის კოლხური დიდრაქმა (2:1) – იხ. აღწერილობა სურ. 3₇).

3. I ტიპის კოლხური დიდრაქმის რევერსის სქემატური გამოსახულება (2:1):

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ნუმიზმატიკის განყოფილება. ქართული მონეტების ფონდი. № 1628 ([4, გვ. 28; 12, გვ. 11].

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ნუმიზმატიკის განყოფილება. ქართული მონეტების ფონდი. № 1628: „ფოთის განძიდან“ ([17, გვ. 11].

3. სანქტ-პეტერბურგი. სახელმწიფო ერმიტაჟი. ნუმიზმატიკის განყოფილება. № 27610: „ქუთაისის ოლქიდან“ ([18, გვ. 20; ტაბ. IV, № 48].

4. ბერლინის სახელმწიფო მუზეუმი. მონეტების კაბინეტი. ფონ პროკეშ-ოსტენის კოლექცია: „კოლხეთიდან“ ([44, გვ. 259, ტაბ. XI,5].

5. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ნუმიზმატიკის განყოფილება. ქართული მონეტების ფონდი. № 4808: „ახალსოფლის განძიდან“ ([8, გვ. 426, სურ. 3].

6. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. R 973 04.924: „სამეგრელო. შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო“ ([23, გვ. 179, № 1352, ტაბ. 68].

7. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. № 4183: „ახალსოფლის განძიდან“ ([8, გვ. 425, სურ. 2].

8. სანქტ-პეტერბურგი. სახელმწიფო ერმიტაჟი. ნუმიზმატიკის განყოფილება. № 27511: „ქუთაისის ოლქიდან“ ([18, გვ. 21, ტაბ. IV, № 49].

9. ბრიტანეთის მუზეუმი. მონეტებისა და მედელების კაბინეტი: „შავი ზღვა“, № 1010 ([32, გვ. 168, ტაბ. VI,5; 38, გვ. 137-138, ტაბ. XVII; 47, ტაბ. XXXVII].

Пояснения к иллюстрациям

1. Колхидская дидрахма I типа (2:1) – см. пояснение к рис. 3₁.

2. Колхидская дидрахма I типа (2:1) – см. пояснение к рис. 3₇.

3. Схематический рисунок изображения на реверсе колхидских дидрахм I типа (2:1):

1. Государственный музей Грузии. Отдел нумизматики. Фонд грузинских монет. № 1628 [4, с. 28; 12, с. 11].

2. Государственный музей Грузии. Отдел нумизматики. Фонд грузинских монет. № 3824: "Из потийского клада" [17, с. 11].

3. Санкт-Петербург. Государственный Эрмитаж. Отдел нумизматики. № 27610: "Кутаисская область" [18, с. 20, табл. IV, № 48].

4. Берлин. Государственный музей. Кабинет монет. Коллекция Фон Прокеш-Остена: "Из Колхиды" [44, с. 259, табл. XI,5].

5. Государственный музей Грузии. Отдел нумизматики. Фонд грузинских монет. № 4868: Из клада с. Ахалсопели [8, с. 426, рис. 3].

6. Бостон. Музей изящных искусств. R 973 04.924: "Из Мегрелии. Восточный берег Черного моря" [28, с. 88-89; 23, с. 179, № 1352, табл. 68].

7. Кутаисский историко-этнографический Музей. № 4183: "Из клада с. Ахалсопели" [8, с. 425, рис. 2].

8. Санкт-Петербург. Государственный Эрмитаж. Отдел нумизматики. № 27511: "Из Кутаисской области" [18, с. 21, табл. IV, № 49].

9. Британский Музей. Кабинет монет и медалей: "Черное море. № 1010" [32, с. 168, табл. VI,5; 38, с. 137-138, табл. XVII; 47, табл. XXXVII].

Explanation of figures

1. Colchian didrachmas of type I (2:1) – see the explanation of fig. 3₁.

2. Colchian didrachmas of type I (2:1) – see the explanation of fig. 3₇.

3. The schematic representation on the reverse of Colchian didrachmas of type I:

1. Tbilisi. The State Museum of Georgia. Dept. of Numismatics. Section of Georgian coins. n. 1628 [4, p. 28; 12, p. 11].

2. Tbilisi. The State Museum of Georgia. Dept. of Numismatics. Section of Georgian coins. n. 3824: "From the Poti Hoard" [17, p. 11].

3. Sankt-Petersburg. The State Hermitage. Dept. of Numismatics. n. 27610: "From Kutaisi district" [18, p. 20, pl. IV, 48].

4. Staatlich Museen zu Berlin. Preussischer Kulturbesitz. Münzkabinet. Sammlung von Prokesch-Osten: "Kolchis" [44, p. 257-270, pl. XI,5].

5. Tbilisi. The State Museum of Georgia. Dept. of Numismatics. Section of Georgian coins. n. 4808: "From Akhalsopeli hoard" [8, p. 425-428].

6. Museum of fine Arts. Boston. R 973 04.924: "From province of Mingrelia, eastern coast of Black Sea" [28, p. 88-89].

7. Kutaisi. State Historical-Ethnographical Museum. n. 4183: "From Akhalsopeli hoard" [8, p. 425, fig. 2].

8. Sankt-Petersburg. The State Hermitage. Dept. of Numismatics. n. 27511: "From Kutaisi district" [18, p. 21, pl. IV, 49].

9. The British Museum. Dept. of coins and Medals: "Black Sea. n. 1010" [32, . 168, pl. VI,5; 3, p. 137-138, pl. XVII; 47, pl. XXXVII].

ლიტერატურა:

1. **გამყრელიძე გ.**, ფოთი-ფასისის ტოპო-არქეოლოგიისათვის, თბილისი, 1998.
2. **დუნდუა გ.**, ლომისგამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1, 1972, გვ. 56-71.
3. **ინაძე მ.**, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1982.
4. **კაპანაძე დ.**, ქართული ნუმისმატიკა, თბილისი, 1969.
5. **ლორთქიფანიძე ოთ.**, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1986.
6. **ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ.**, ფასისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა, „სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი. მოხსენებები“, თბილისი, 1973, გვ. 17-35.
7. **მაკალათია მ.**, მესაქონლეობა მესხეთში, „მესხეთ-ჯავახეთი“, თბილისი, 1972, გვ. 56-69.
8. **მაკალათია ს.**, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIV-0, 1947, გვ. 425-428.
9. **ურუშაძე ა.**, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964.
10. **ყაუხჩიშვილი თ.**, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბილისი, 1967.
11. **ყაუხჩიშვილი თ.**, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI, თბილისი, 1987.
12. **Болтунова А. И.**, Колхидки, "Вестник древней истории," 4, 1973, стр. 92-109.
13. **Дундуа Г. Ф.**, Нумизматика античной Грузии, Тбилиси, 1987.
14. **Зограф А. Н.**, Распространение находок античных монет на Кавказе, "Труды нумизматического отдела Гос. Эрмитажа," I, Ленинград, 1945.
15. **Инадзе М. Р.**, Причерноморские города Колхиды, Тб., 1968.
16. **Куфтин Б. А.**, Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950.
17. **Латышев В. В.** Scythica et Caucasia (Известия древних писателей – греческих и латинских о Скифии и Кавказе), I, 1, Санкт-Петербург, 1890.
17. **Пахомов Е. А.**, Несколько слов о происхождении рисунка "Колхидок", Батуми, 1911.
18. **Якунчиков Б. Я.**, Неизданные и редкие древнегреческие монеты, СПб., 1908.
19. **Bauer J. B., Fluss I.**, "Reallexikon für Antike und Christentum," VIII, 1972, p. 68-73.
20. **Beazley J. D.**, The Development of Attic Black-Figure (№ Sather Classical Lectures, 24), London, 1983.
21. **Blume H. D.**, Einführung in das antike Theaterwesen, Darmstadt, 1978.
22. **Böhm St.**, Die "nächte Göttin". Für Ikonographie und Deutung unbekleideter weiblicher Figuren in der frühgriechischen Kunst, Mainz am Rhein, 1990.
23. **Brett A. B.**, Catalogue of Greek Coins, Boston, 1955.
24. **Corpus Vasorum Antiquorum**, Brit. Mus., 6.
25. **Von Dinkler**, Fluss II. "Lexikon für Antike und Christentum" VII, 1972, p. 74-100.
26. **Dohrn G.**, Antike Flussgötter, "Mousaion" (Studien aus Kunst und Geschichte für O.H. Foster), Bonn, 1960.
27. **Gais R. M.**, Some Problems of River-God Iconography, "American Journal of Archaeology," 82, 1978, p. 355-370.
28. **Greenwell W.**, Rare Greek Coins, "Numismatic Chronicle", Part II. Third Series, Nr. 50, p. 81-92.
29. **Guarducci M.** (Ed.), Inscriptiones Cretica, I, Roma, 1935.
30. **Guthrie W.**, The Greeks and their Gods, London, 1950.
31. **Hamdorf F. W.**, Griechische Kultpersönifikationen der vorhellenistische Zeit, Frankfurt, 1964.
32. **Head B. V.**, On Some Rare Greek Coins, "Numismatic Chronicle", 1871, p. 166-168.
33. **Hind J.**, The Types of the Earliest Silver Coins of the Phasian's – "Kolkhidki", "Sur les traces des Argonautes (Actes du 6e symposium de Vani 22-29 Septembre 1990, publiés sous la direction de O. Lordkipanidzé et P. Lévêque), Paris, 1996, p. 203-214.
34. **Imhoof-Blumer F.**, Fluss- und Meergötter auf griechischen und römischen Münzen, "Rev. Numism. Suis.," 23, 1923, p. 173-421.

35. **Isler H. P.**, Acheloos, "Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae," I, 1, Zürich-München, 1981, p. 1-78.
36. **Kraay L. M.**, Greek Coins, New York, 1976.
37. **Lang D. M.**, Studies in the Numismatic History of Georgia, New York, 1955.
38. **Lang D. M.**, Notes on Caucasian Numismatic, I, "Numismatic Chronicle," Six th Sesies, XVII, 1957, p. 137-138.
39. **Lloyd-Jones H., Wilson N. G.**, Studies on the text of Sophocles, Oxford, 1990.
40. **Lordkipanidze O.**, Phasis, "Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae" VII, 1, Zürich-München, 1995, p. 368-370.
41. **Mitropoulou S.**, Kneeling Worshippers in Greek and Oriental Literature and Art, Athens, 1975.
42. **Nilsson M. P.**, Geschichte der griechischen Religion, I, München, 1955.
43. **Pfeifer R.**, Callimachus, II, Oxford, 1953.
44. **Prokesch-Osten**, Inedita meiner Sammlung, "Numismatische Zeitschrift," II, Wien, 1870, p. 257-270.
45. **Regling K.**, Die antike Münze als Kunstwerk, Berlin, 1924.
46. **Simon E.**, Zwei Springtänzer, "Antike Kunst," 21, 2, 1978, p. 66-69.
47. **Stoll W.**, Phasis, – Roscher, Ausführliches Lexikon der griechischen und römischen Mythologie, II, 1, p. 2287.
48. **Sylog. Num. Graec.**, IX: Black Sea.
49. **Tsetskhladze G.**, On the Numismatic of Georgia, "Dialoges d'histoire ancienne," 19, 1, 1993, p. 233-256.
50. **Wasser**, Flussgötter – Pauly – Wissowa, Realencyclopädie der klassischen Altertumswissenschaft, 12 (VI, 2), 1909, p. 2774-2815.
51. **Weiss K.**, Griechische Flussgottheiten in vorhellenistischen Zeit, Würzburg, 1984.
52. **West M. L.**, Hesiod. Theogonie, Oxford, 1966.

ნოდარ შოშიაშვილი,
ბესარიონ ჯორბენაძე

საბაქლაში შინაგარე ნაპლაქარის სამაროვნის აღწერა

1973 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რ. რამიშვილი) ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე გათხარა მეორე ეკლესია და მის გარშემო გამოვლენილი სამარხები [1, გვ. 28-33; 2, გვ. 39-42; 3, გვ. 71].


მეორე ეკლესია მდებარეობდა სამაროვნის ჩრდილოეთ განაპირას და წარმოადგენდა დარბაზულ ნაგებობას სამხრეთი მინაშენით. ეკლესია თარიღდება XI-XII სს., ხოლო მინაშენი საგანგებოდ უნდა აგებულიყო შიგნით მოთავსებული ორი სამარხისათვის XII-XIII სს. [4, გვ. 11-13].

მინაშენში მოთავსებული სამარხები № 25 და 54 წარმოადგენენ აკლამებს (სურ. 1, 2), რომლებშიც აღმოჩნდა მეტად საყურადღებო ინვენტარი. მათ შორის აღსანიშნავია ოქროს საბეჭდავი, გამოვლენილი № 25 სამარხში.¹¹



სურ. 1

სამარხი № 25 მდებარეობდა მინაშენის აღმოსავლეთ ნაწილში და გეგმაში მოგრძო, ოდნავ ოვალური მოყვანილობისაა. აგებული იყო კლდოვან ქანებში, რომელიც შუაში საგანგებოდ მოსწორებულია. გადახურული იყო კლდის ფილებით, რომლებსაც ზევიდან გადასხმული ჰქონდა დულაბი (სურ. 1, 2). კედლები ამოყვანილი



სურ. 2

იყო ხუთ-ექვს რიგად დალაგებული მოგრძო და კვადრატული მოყვანილობის კლდის კვადრებით, რომლებიც დაკავშირებულია დულაბით. წყობაში აგრეთვე გამოყენებულია რიყის წვრილი ქვები. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ზედა რიგი გამოწეული იყო შიგნით და მასზეა დაყრდნობილი გადახურვა. სამარხს ჩასასვლელი დასავლეთის მხრიდან ჰქონდა. მიწა ბოლომდე არ იყო ჩასული. არეულ ძვლებში დადასტურდა თხუთმეტი ჩონჩხი, მათ შორის სამი ბავშვისა.¹² სამარხის გარე სიგრძე – 3,4 მ, სიგანე – 2 მ, შიდა სიგრძე – 3 მ, სიგანე ქვევით – 1,13 მ (შუაში), – 1,05 მ (აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში), სიღრმე – 1,55 მ, კედლების სიგანე – 0,37-0,5 მ.


სამარხში აღმოჩნდა (სურ. 3, 4, 5): თიხის ქოთნის ძირი; მინის სამაჯურები, მძივები; რკინის სამაჯურები; ბრინჯაოს სამაჯურები, საყურე, ბეჭდები, ღილი, რგოლი, მძივები; ვერცხლის ბეჭდები, ღილი, ფირფიტის ნატეხი, მონეტა; ოქროს საყურე მოტეხილი ყუნწით, მძივი, საბეჭდავი; ძვლის ნივთი. სულ სამარხში აღმოჩენილი ნივთების რაოდენობა შეადგენს 39 ერთეულს.

¹¹ ტაბულაზე მოთავსებული საილუსტრაციო-გრაფიკული მასალები შეასრულეს ნ. თოფურაძემ, ნ. ბაკაშვილმა, მ. ვაჩნაძემ და ვ. ასტანოვმა.


¹² ანთროპოლოგიური მასალა შეისწავლა ვ. ასლანიშვილმა.

აღნიშნული ინვენტარის მიხედვით, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებული შუასაუკუნეებისათვის, სამარხი № 25 XII-XIII სს. თარიღდება [5, გვ. 192-195; 6, გვ. 136-149; 7, გვ. 91-129; 8, გვ. 65-66; 9, გვ. 98-115; 10, გვ. 150].

ამავე თარიღს აზუსტებს ვერცხლის მონეტა (09-III-73-141) ყაანური მეორე ტიპის, მოჭრილი თბილისში XIII საუკუნის 60-იან წლებში.¹³ ამ მონეტასთან ერთად, სამარხის სამხრეთი კედლის ზედაპირიდან 1,5 მ სიღრმეზე, აღმოჩნდა ოქროს საბეჭდავი.



სურ. 3




სურ. 4

ოქროს საბეჭდავი (09-III-73-138) წარმოადგენს შესაკრავს და შედგება ორი ნაწი-

¹³ მონეტის განსაზღვრა ეკუთვნის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ირ. ჯალაღანიას.

ლისაგან.¹⁴ ერთი – ოვალური თვალბუდეა, რომელსაც ირგვლივ შემოწყობილი აქვს გავარსის სამკუთხედების სარტყელი. ბუდეში ჩასმულია ოვალური თვალი ბრტყელი ძირით და ოდნავ ამობურცული ზედაპირით, რომელზედაც ნეგატიურად ამოკვეთილია ასომთავრული სამი ასო ქარაგმის ნიშნის ქვეშ. ფირუზის თვალს უკანა მხრიდან შემორჩენილი აქვს მოყავისფრო მასა, რითაც მაგრდებოდა ბუდეში. თვალბუდეს ზურგზე აქვს ნახევარწრიული კოლოფი, სამი გამჭოლი ნახვრეტით და სპირალურად დახვეული მავთულისგან შედგენილი ორი მილისებური ბუდით. საბეჭდავის მეორე ნაწილი წარმოადგენს აგრეთვე ნახევარწრიულ კოლოფს, სამი გამჭოლი ნახვრეტით და ერთი მილისებური ბუდით შუაში, რომლითაც ის ჯდება პირველი ნაწილის მილისებურ ბუდეებს შორის. მათ აერთებს ორმაგლეროიანი და ბურთულთავიანი მოძრავი სამსჭვალის საბეჭდავი დამაგრებული უნდა ყოფილიყო ტყავის ღვედზე და გამოიყენებოდა სამაჯურად. საბეჭდავის სიგრძე – 1,4 სმ, სიგანე – 1,3 სმ, ბუდის სიგრძე – 1,1 სმ, სიგანე – 0,9 სმ, სიღრმე – 0,3 სმ, კოლოფების სიგრძე – 1,4 სმ, სიგანე – 0,5 სმ, სისქე – 0,3 სმ, ნახვრეტების დიამ. – 0,2 სმ, სამსჭვალის სიგრძე – 1,6 სმ, სამსჭვალის ბურთულას დიამ. – 0,3 სმ, სპირალის ბუდის დიამ. – 0,2-0,3 სმ, შესაკრავის წონა თვალის გარეშე – 2,1 გ.

ჟინვალის ნაქალაქარის განვითარებული შუასაუკუნეების სამაროვანზე გათხრები მიმდინარეობდა სამ მონაკვეთზე: პირველ ეკლესიასთან, შუა ნაწილში და მეორე ეკლესიასთან.¹⁵ ამ უკანასკნელთან სამარხები განლაგებული იყო მეჩხერად და ერთ, იშვიათად ორ სართულად.



ნახ. 5

¹⁴ ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (საინვენტარო № 145-975/1-3).

¹⁵ ეკლესიების ნუმერაცია პირობითია. სულ სამაროვანზე გაითხარა სამი ეკლესია დაკავშირებული საქანო-ეკვდერების ფუნქციასთან.

გათხრების შედეგად მეორე ეკლესიასთან ასეთი სურათი წარმოდგა. თავდაპირველად, XI-XII სს. აქ აგებული ჩანს დარბაზული ეკლესია, რომლის გარშემო გაჩნდა სამაროვანი, სადაც დადასტურდა სხვადასხვა ტიპის სამარხები.

ეკლესიაზე, სამხრეთის მხრიდან XII-XIII სს-ში მიდგმულია მინაშენი, რომლის შიგნით ამოყვანილია ორი აკლდამა (№ 25, 54). ამავე პერიოდში ჩანს შემოზღუდული ეკლესიის გარშემო განლაგებული სამარხები. მათგან ზოგიერთი მოხვედრილია გალავნის ქვეშ. შემოზღუდულ ტერიტორიაზე, მეორე ეკლესიიდან ჩრდილოეთით, მდებარეობდა კამაროვანი აკლდამა, რომელიც გამოირჩევა თავისი მოცულობით და წარმოადგენდა ქალაქ ჟინვანის მფლობელის საოჯახო განსასვენებელს [11, გვ. 19-22].

მეორე ეკლესიასთან შესწავლილი სხვადასხვა ტიპის სამარხები და მათში აღმოჩენილი მრავალფეროვანი ინვენტარი მეტყველებს იმაზე, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანის ეს მონაკვეთი იყო წარჩინებულ პირთა საოჯახო განსასვენებელი.

ამის აგრეთვე კარგი დამადასტურებელი ფაქტია ოქროს საბეჭდავი, ასომთავრული ასოებით, რომლის აღმოჩენა პირველი შემთხვევაა საქართველოს შუა საუკუნეთა არქეოლოგიაში.

ოქროს ბუდეში ჩასმულ ფირუზის თვალზე ამოკვეთილია სამი დაქარაგმებული ასომთავრული გრაფემა: ԴՄԻ – ვდნ (სურ. 5). ქარაგმის გახსნა ეჭვს არ იწვევს: „ვ (არ) დ (ა) ნ“.

წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, შეიძლება დათარიღდეს XII-XIII სს-ით, რაც თანხმობაშია № 25 სამარხის ინვენტარის დათარიღებასთან. კერძოდ, ამ თარიღზე მიგვანიშნებს გრაფემა Թ-ს მიდრეკილება მსხლისებური მოყვანილობისკენ, მოკლე ყელით და გრძელი განივი ხაზით (დანარჩენი ორი გრაფემის: Դ და Ի -ს მოხაზულობა დამახასიათებელია როგორც XII-XIII, ისე მომდევნო საუკუნეების დამწერლობისათვის).

რას გვაძლევს ეს წარწერიანი საბეჭდავი როგორც საისტორიო წყარო?

უპირველეს ყოვლისა, ის მოწმობს, რომ ისტორიული ჟინოვნი//ჟინვანი აღნიშნულ პერიოდში იყო დიდებული რეზიდენცია: საბეჭდავზე ამოკვეთილი „ვარდანი“, ცხადია, ქართველი დიდებულის სახელია, ხოლო ჟინვალის მეორე ეკლესიის მინაშენში გათხრილი სამარხი, სადაც ის მიკვლეული იქნა, ამ დიდებულის სამკაულია.

ვინ იყო ეს დიდებული და როგორ უფლებრივ მიმართებაში იყო ის ჟინოვთან: იყო ის მისი მემამულე-პატრონი (ე.ი. „მკვიდრად და სამამულედ“ მფლობელი), მოსაკარგავი (ე.ი. ჟინოვნის „სასაკარგოდ“, სამსახურის პირობით, პირადად მფლობელი), სახელმწიფო-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებელი მოხელე (ერისთავი, ორბელიანი, ციხისთავი), თუ სამეფო – სეფე ქვეყნის (ე.ი. სამეფო დომენის) გამგებელი მოურავი?

ვის ფეოდალურ საკუთრებას წარმოადგენდა ამ პერიოდში ჟინოვნი და მისი მხარე: ფეოდალის მამულს, სეფე-ქვეყანას, თუ საერისთავო ქვეყანას?

XV-XVIII საუკუნეებში ჟინოვნი//ჟინვანი შედიოდა არაგვის საერისთავოში, რომლის ერისთავებს სათავე დაუდო შაბურისძეთა საგვარეულომ. შაბურისძენი წყაროებში ჩანან XIII ს-ის ბოლოდან [12, გვ. 308]. ამის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ არაგვის საერისთავო წარმოიქმნა XIII-XIV სს-ის მიჯნაზე [13, გვ. 89]. მაგრამ, ეს მოსაზრება არ უნდა იყოს ზუსტი, რადგანაც, არაგვის ერისთავებად შაბურისძენი იხსენიებიან მხოლოდ XIV ს-ის მიწურულიდან [14, გვ. 203]. ამასთან, XIII ს-ის მიწურულის ერთი დოკუმენტი მოწმობს, რომ ჟინოვნი ამ დროს შედიოდა ქართლის საერისთავოში [15, გვ. 183-185] და, მამასადაამე, არაგვის საერისთავო ჯერ კიდევ არ არსებობდა.

XII ს-ის ბოლოს თამარ მეფემ ჟინოვნი და მისი მხარე უბოძა საქონებლად – სასაკარგოდ (და არა სამამულოდ) ამირსპასალარ და მანდატურთუხუცეს ჭიაბერს [15, გვ. 95-98]. ჭიაბერის შემდეგ ჟინოვნის მოსაკარგავი – მქონებული ყოფილა შოთა [15, გვ. 97], რომელსაც ზოგი მკვლევარი შოთა რუსთველად მიიჩნევს.

როგორც ჩანს, XII-XIII საუკუნეებში ჟინოვნი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ციხე-ქალაქს, რომელსაც განაგებდა ამირა. ჟინოვნის ამირა იხსენიება 1297-98 წწ. დოკუმენტში [15, გვ. 183-184]. ჟინოვნის მხარეში შედიოდა სხვადასხვა სოფლები (ერთი მათგანი – ლაუშა 1297-98 წწ. დავით VIII-მ გამოყო ჟინვანის საგამგებლოდან და სამამულედ უწყალობა გრიგოლ ჭარმაულს [15, გვ. 183-184]. ამ პერიოდში ჟინოვნის მხარე შედიოდა ქართლის საერისთავოში. ჟინოვანს მეფე სასაკარგოდ (ე.ი. პირად მფლობელობაში, სამსახურის პირობით) უწყალობებდა ხოლმე ამა თუ იმ დიდ მოხელეს, რომელიც იწოდებოდა წყაროებში „ჟინოვნის პატრონად“ [15, გვ. 183-184].

ასე, რომ ჟინოვნი XII-XIII სს-ში იქნებოდა რეზიდენცია მისი მოხელე-გამგებლის – ამირასი და შესაძლოა მისი საკარგავის პირობაზე მფლობელი ფეოდალის – „პატრონის“. ამდენადვე, № 25 სამარხის ინვენტარში შემავალი შესაკარგავის წარწერაში მოხსენიებული „ვარდანი“ შეიძლება ყოფილიყო ჟინოვნის ამირა, ან ჟინოვნის მოსაკარგავი –

პატრონი (უფრო ამირა, რადგან ჟინოვნის პატრონს ალბათ სხვა სამფლობელოებიც ჰქონდა და შესაძლოა რეზიდენციაც სხვაგან ჰქონოდა). ცხადია, ის იქნებოდა ფეოდალთა მაღალი წოდების – დიდებულთა წარმომადგენელი. სახელი ვარდანი ამ პერიოდში გვხვდება დიდგვარიანი ფეოდალებიდან: დადიანთა, ვარდანისძეთა და კოლონკელისძეთა საგვარეულოებში.

შესაძლოა ჩვენი წარწერის ვარდანი ეკუთვნოდა კოლონკელისძეთა (ჰერეთის დიდებულები) საგვარეულოს (დადიანი ან ვარდანი ძე საეჭვოა რომ ეს ვარდანი ყოფილიყო). მაგრამ შესაძლოა ის ეკუთვნოდა რომელიმე სხვა დიდ ფეოდალურ სახლს.

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს საბეჭდავი ყურადღებას იქცევს, როგორც ქართული შუა საუკუნეთა ოქრომჭედლობისა და დამწერლობის ნიმუში. ის წარმოადგენს ახალ წყაროს ძველი ჟინვანის ისტორიის გასაშუქებლად.

Н.Ф. Шошиашвили, В.А. Джорбенадзе

ПЕЧАТЬ ИЗ ЖИНВАЛЬСКОГО МОГИЛЬНИКА НАКАЛАКАРИ

(Резюме)

В 1973 году Жинвальская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии им. И.А. Джавахишвили Академии наук Грузии на Жинвальском могильнике Накалакари раскопала вторую церковь и расположенные вокруг погребения. Вторая церковь находилась в северной части обширного могильника. Она зального типа и имеет пристройку с южной стороны. Церковь датируется XI-XII вв., а пристройка возможно специально была возведена для помещенных внутри двух склепов в XII-XIII вв.

В погребении № 25, расположенном в восточной части пристройки, зафиксировано 15 костяков и обнаружен разнообразный и богатый инвентарь. Погребение по инвентарю и серебряной монете, т.н. Кааник второго типа чеканенной в Тбилиси в 60-ых годах XIII века, датируется XII-XIII вв.

Среди инвентаря заслуживает внимание золотая печать с бирюзовой вставкой, на которой вырезаны титловые три древнегрузинские буквы асомтаврული ძღვ – ВДН. Раскрытие титла не вызывает сомнения: В(არ)დ(ა)ნ. Надпись по палеографическим признакам можно

датировать XII-XIII веками, что находится в соответствии с датировкой инвентаря погребения № 25 & В частности, на это указывает склонность к грушеобразному очертанию графемы 1 – დ, с короткой шейкой и длинной продольной чертой.

Найденная печать свидетельствует прежде всего, что в указанный период исторический Жинвани являлся резиденцией дидебула (крупного феодала).

Исторические источники свидетельствуют, что в XII-XIII вв. Жинвани являлся резиденцией грузинского правителя города – эмира, а также, возможно временно-держателя этого края ("мосакаргаве"). Следовательно, упомянутый в надписи печати Вардан должно быть являлся или эмиром (правителем города) Жинвани, или феодалом "мосакаргаве".

Имя Вардан в этот период засвидетельствовано в феодальных фамилиях Дадиани, Варданисдзе и Колонкелидзе. Возможно Вардан, упомянутый в данной надписи был представителем одной из этих феодальных родов (вероятнее всего Колонкелидзе – еретских дидебулов).

Золотая печать, обнаруженная на Жинвальском могильнике Накалакари единственный экземпляр среди археологических материалов указанного периода. Она привлекает внимание как образец грузинского средневекового златокузнечества и письменности. Печать является новым источником для освещения истории древнего Жинвани.

N. Shoshiashvili, B. Jorbenadze

A SEAL FROM THE NAKALAKARI NECROPOLIS OF ZHINVALI

(Summary)

In 1973 the Zhinvali archaeological expedition of the Institute of History, Archaeology and Ethnography of the Georgian Academy of Sciences excavated the second church and burials around it at the Zhinvali necropolis of Nakalakari.

The church was situated in the northern part of the vast burial ground. It is a hall-type church and has an annex on the southern side. The church is dated to the 11th-12th cent. while the annex was

probably built specially for two 12th-13th cent. vaults arranged inside it.

In burial 25, sited at the eastern side of the annex, fifteen skeletons were identified and rich and varied inventory was discovered. According to its inventory and a silver coin – the so-called second type *kaanik* minted in Tbilisi in the 1260 s – the burial is dated to the 12th-13th cent.

Among the gold inventory interest attaches to a golden seal with a torquoise mount with three old Georgian capital letters (*asomtavruli*) engraved as an abbreviation: $dly - (VDN)$. The decipherment of the abbreviation causes no doubt: $V(ar)d(a)n$. According to its palaeographic features the inscription may be dated to the 12th-13th cent. which conforms to the dating of the inventory of burial 25. Particularly, this is indicated by the pear-shaped outline of the grapheme $l - D$ with a short neck and a longitudinal dash.

The discovered seal primarily attests to the fact that at the indicated period historical Zhinvali was the residence of a Georgian "*didebuli*" (big feudal lord). According to the historical sources, in the 12th-13th cent. Zhinvali was the residence of the ruler or emir of the city or of a temporary ruler of this region, *mosakargave*. Thus, Vardan, mentioned in the inscription, must have been either the emir (ruler) of Zhinvali or a *mosakargave* feudal lord. At this time the name Vardan is found in the feudal families of Dadiani, Vardanidze and Kolonkelidze. Vardan, mentioned in the inscription was, perhaps, a representative of one of these feudal families (most probably of Kolonkelidze – noblemen of Hereti). The gold seal found in the Zhinvali necropolis of Nakalakari is the only example among the archaeological materials of the given period. It attracts attention as a specimen of Georgian medieval goldsmithing and writing. The seal constitutes a new source shedding light on the history of medieval Zhinvali.

ნახატების აღწერილობა

1. სამარხი № 25-ის ჩასასვლელი და გადახურვა;
2. მეორე ეკლესიის მინაშენში მოთავსებული სამარხების № 54 და № 25-ის ჭრილი დასავლეთიდან-აღმოსავლეთით;
3. სამარხი № 25-ის ინვენტარის ნაწილი;
4. ოქროს საყურე (№137) და მძივი (№152) სამარხი № 25-დან;

5 საბეჭდავი ასომთავრული დაქარაგმებული სამი ასოთი.

Описание рисунков:

1. Перекрытие и вход погребения № 25, вид с запада;
2. Погребения № 54 и № 25 раскопанные в пристройке второй церкви, разрез с запада на восток;
3. Часть инвентаря погребения № 25;
4. Золотая серьга (№137) и бусина (№ 152) обнаруженные в погребении № 25;
5. Золотая печать с титлованными древнегрузинскими буквами асомтаврული.

Description of plates

1. Descent and roofing of burial N 25;
2. East-West section of burials N 54 and N 25 situated in the South extension of the second church;
3. Part of the inventory of burial N 25;
4. Gold earring (N137) and bead (N152) from burial N 25;
5. Gold clasp-seal with three Georgian capital letters (*asomtavruli*) – an abbreviation.

ლიტერატურა:

1. ბ. ჯორბენაძე, ჯ. წიკლაური, „ნაქალაქარის“ სამაროვნის თხრის პირველი შედეგები. – ჟინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები). თბ., 1975.
2. ბ. ჯორბენაძე, განვითარებული შუასაუკუნეების ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანი. – ძმ, კრ. 68, 1984.
3. რ. რამიშვილი, ნაქალაქარი ჟინვანი. – ფსად, IV, 1982.
4. ბ. ჯორბენაძე, კ. წერეთელი, ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვნის ეკლესიები. – ძმ, კრ. 49, 1979.
5. გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. – მსკა, ტ. I, 1955.

6. ლ. ქილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.

7. რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I. სიონი, თბ., 1970.

8. ვ. ჯაფარიძე, ვ. ართილაყვა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში. – სსმაე, II, 1971.

9. რ. დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები. – სსმმ, ტ. XXVIII-B, 1969.

10. მ. ჩხატარაშვილი, შუასაუკუნეთა რუსთავში მინის წარმოების ისტორიისათვის. – ფსაპ, I, 1969.

11. ბ. ჯორბენაძე, ჟინვალის კამაროვანი აკლდამა. – ძმ, კრ. 47, 1978.

12. ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

13. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

14. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფილისი, 1897.

15. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984.

გვიანო შუასაუკუნეების ქუთაისი არქეოლოგიური მასალების მიხედვით

შუა საუკუნეების ქართულ ქალაქთა შორის ქუთაისს ერთ-ერთი მოწინავე და თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. იგი მდებარეობს მდინარე რიონის ხეობაში, იქ, სადაც მთავრდება მთისწინა ზოლი და იწყება კოლხეთის დაბლობი. ამ ადგილზე ერთმანეთს კვეთდა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საგზაო არტერიები, რაც ყოველ ეპოქაში განსაზღვრავდა ქუთაისის, როგორც სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე პუნქტის მქონეობას.

ქუთაისის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა შესწავლამ, რომელიც 1984 წლიდან დაიწყო ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სრულიად ახლებურად წარმოაჩინა ქალაქის ისტორიის მთელი რიგი საკითხები წინარეანტიკური ხანიდან მოყოლებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით [1, გვ. 67 და შმდ.].

XV საუკუნის მეორე ნახევარში საბოლოოდ დასრულდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის პროცესი და ამიერიდან ასპარეზზე ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს სახელმწიფოები გამოვიდნენ [2, გვ. 86; 3, გვ. 85]. ახლადჩამოყალიბებული იმერეთის სამეფოს დედაქალაქად იქცა ქუთაისი, რის შედეგადაც ქალაქის ისტორიის მორიგი აღმავალი ეტაპი იწყება.

გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისის გარეგანი იერსახის, მშენებლობის ეტაპებისა თუ სხვა ნიუანსების შესახებ საისტორიო წყაროების ცნობები წინა ეპოქებთან შედარებით გაცილებით მეტია, მაგრამ იმის გამო, რომ მათი უმეტესი ნაწილი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და აღწერილობით მონაცემებს ნაკლებად შეიცავენ, მხოლოდ მათზე დაყრდნობით აღნიშნული ეპოქის ქალაქის ისტორიის ძირითადი საკითხების სასურველი სრულყოფით აღდგენა ძალზე ძნელია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც. ეს განსაკუთრებით შეეხება ქართული წყაროების მონაცემებს. ამ მხრივ შედარებით სრულყოფილია უცხოური წყაროების ცნობები. კერძოდ: მისიონერების [4], ელჩების [5; 6] თუ მოგზაურების [7; 8] ჩანახატები, აღწერილობანი, ჩანაწერები თუ შთაბეჭდილებანი.

გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისში ქალაქის განაშენიანების მთავარ ორიენტირად კვლავ რჩება ჯერ კიდევ ახ.წ. IV საუკუნეში ჩამოყალიბებული 0,6 ჰა ფართობის, არასწორი ექვსკუთხედის ფორმის შიდა-ციხის ტერიტორია [1, გვ. 79-90], სადაც შენდება თავდაცვის ახალი სისტემა და მასთან ორგანულად დაკავშირებული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები.

X-XIII საუკუნეებთან შედარებით (როცა ხანგრძლივი მშვიდობიანობის კვალობაზე კლებულობს ქალაქის თავდაცვითი მნიშვნელობა)

ციხე-ქალაქს უბრუნდება დაახლოებით ისეთივე ფუნქცია, როგორც მას ჰქონდა ადრეულ შუასაუკუნეებში, კერძოდ: აქცენტი გადატანილია თავდაცვით მნიშვნელობაზე, რისი დასტურიცაა დიდი მასშტაბის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები და ქალაქის ფაქტობრივად ახალი ციტადელის მშენებლობა.

XV-XVIII სს-ში ქალაქი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა, რომელთა ბუნებრივ გამყოფს მდინარე რიონი წარმოადგენდა. მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ბუნებრივად დაცულ, მაღალ, კლდოვან გორაკზე იდგა ძირითადად თავდაცვითი ფუნქციის მქონე სამნაწილიანი ციხე-ქალაქი, ხოლო მარცხენა სანაპიროს დაბლობში „ოქროს ჩარდახის“ ტერიტორიაზე განლაგებული იყო ე.წ. „მცირე“ ანუ „პატარა ქუთაისი“ [5, გვ. 128; 6, გვ. 109-110] სასიმაგრო, საერო და საკულტო ნაგებობები.

მდინარის მარჯვენა სანაპიროზე აღმართული „დიდი ქუთაისი“ თავის მხრივ სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. შიდაციხე, იგივე „ქუთაისის ციხე“ (რუს ელჩებთან Кремль город), სადაც მოთავსებული იყო სამეფო სასახლის კომპლექსი, ეკლესია, ხაზინა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. მართალია შიდაციხის შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები არსებობდა [4; 5; 6], მაგრამ არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინეს (რიგ შემთხვევებში კი დეტალური სიზუსტით დაადასტურეს) წყაროების მონაცემები.

2. შიდაქალაქი. ქალაქის ეს ნაწილიც გარეგნული სახით უკვე IV-V სს-ში ჩამოყალიბდა. საკვლევ ეპოქაში ქალაქის ამ უბნის განაშენიანებისა თუ თავდაცვითი სისტემის შესახებ ცოტა რამ ვიცით, რადგან ამდროინდელი კულტურული ფენები აქ ძალზე სუსტად არის შემონახული და შენობა-ნაგებობებიც (გარდა ტაძრის ირგვლივ გაწმენდილი და რუს ელჩებთან დადასტურებული სამრეკლოსა და სასულიერო პირთა პალატების ნაშთებისა) ფაქტიურად აღარ შემორჩენილა. რაც შეეხება ქალაქის ამ ნაწილის გამაგრების სისტემას, უნდა ვივარაუდოთ, რომ წინა ეპოქებში აგებული, ახლა უკვე თხრილშემოვლებული და ხის კონსტრუქციებით გამაგრებული [5, გვ. 136; 6, გვ. 117-118] გალავნის კედლები კვლავ აგრძელებენ ფუნქციონირებას.

3. ქვედა ქალაქი. ქალაქის ეს ნაწილი განთავსებული ყოფილა მკვეთრად დაქანებულ, რთული რელიეფის მქონე კლდოვან ფერდობზე, რომლის საგრძნობი ნაწილიც განადგურებულია თანამედროვე საავტომობილო გზის გაყვანის დროს. ქვედა ქალაქი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოზღუდულია მასიური (2,5 მ სიფართის) გალავნის კედლებით. ისინი ებჯინე-

ბიან მდინარის კალაპოტის მარჯვენა ნაპირს (სადაც მდებარეობდა „ხიდის კარი“) და იცავდნენ ქუთაისის ვაკე ნაწილიდან ლეჩხუმ-სვანეთისაკენ მიმავალ დიდმნიშვნელოვან საგზაო მაგისტრალს. ცუდი დაცულობისა და არქეოლოგიური შეუსწავლელობის გამო ამ უბნის განაშენიანების შესახებ დღეისათვის ჩვენ თითქმის არავითარი მასალა არ მოგვეპოვება.

ქალაქის ის ნაწილი, რომელიც მდინარე რინის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა (დღევანდელი „ოქროს ჩარდახის“ ტერიტორია), ვაკეზე იყო გაშენებული. იგი ისტორიულ წყაროებში პირველად მე-15 საუკუნის ვენეციელი დიპლომატისა და მოგზაურის ამბროზიო კონტარინის მიერ იხსენიება, ხოლო შედარებით ვრცელი აღწერილობა რუს ელჩებს ეკუთვნით [5; 6]. მის ფარგლებში შედიოდა სამეფო სასახლე, ორი დიდი სასტუმრო დარბაზი, ეკლესია და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. ქალაქს გარშემორტყმული ჰქონია კოშკებით გამაგრებული გალავანი. მთელი ამ კომპლექსიდან დღეისათვის ზედაპირულად უმნიშვნელო ნაწილია შემორჩენილი [9, გვ. 63-70]. ეს ტერიტორია არქეოლოგიურად სავსებით შეუსწავლელია.


საკვლევი პერიოდის ძეგლებიდან არქეოლოგიურად დღეისათვის შედარებით სრულყოფილად ქალაქის შიდაციხეა („ქუთაისის ციხე“) შესწავლილი. შიდაციხის სასიმაგრო და საერო ნაგებობათა მშენებლობაში კვლევის დღევანდელ ეტაპზე სამი ძირითადი ფენა გამოიყოფა:

I. პირველ ეტაპზე შენდება შიდაციხის სასიმაგრო სისტემა და მასთან ორგანულად დაკავშირებული საერო, საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მთელი წყება.

შიდაციხე თავის დროზე მძლავრი და შეუვალი ნაგებობა ყოფილა. გეგმაში იგი, როგორც აღინიშნა, ძირითადად იმეორებს ახ.წ. IV-V სს. ჩამოყალიბებული ციხის ფორმას, ბევრ ადგილზე დაშენებულია წინამორბედი ეპოქების კედლებზე და რიგ შემთხვევებში იყენებს კიდეც მათ. მშენებლობაში გამოყენებულია სხვადასხვა ეპოქების სამშენებლო მასალა. კუთხეებში კოშკებითაა გამაგრებული. მათგან სამხრეთ-დასავლეთის კოშკი ნახევარწრიულია, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კი სწორკუთხა. კოშკებს შორის გარკვეული ინტერვალებით გალავნის კედლებზე გარედან მიშენებულია ოვალური მონახულობის ყრუ კონტრფორსები (ბურჯები). სავარაუდოა, რომ ზოგი მათგანის ზედა ნაწილი შეგნიდან განსნილი იყო და საბრძოლო კოშკის მოვალეობასაც ასრულებდა, როგორც ეს ხშირად დასტურდება შიდა ქართლის აღნიშნული პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობებზე [10].

XVII ს-ის იტალიელი მისიონერის კასტელის ჩანახატის მიხედვით ირკვევა, რომ გალავნის კედლებსა და კოშკებს ზედა ნაწილში სათოფურების ერთი რიგი გაუყვებოდათ და დაკბილული პარაპეტით ბოლოვდებოდნენ [4]. რუსი ელჩების აღწერილობით „... საკრებულო

ტაძრის მიღმა დიდი ქუთაისის ოთხკუთხიანი ციხე-გალავანია. კედლები სიმაღლით ათი საყენია, სისქით საყენზე ნაკლები იქნება. გარშემო გალავანზე შვიდი კოშკია აღმართული, სიმაღლით თორმეტ-თორმეტ საყენიანი იქნებიან... ციხე-გალავანს ერთი ალაყაფის კარები აქვს, რკინის საკეტით...“ [5, გვ. 140-141]. შიდაციხეს მთავარი შესასვლელი გალავნის ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში უნდა ჰქონოდა, მეორე ე.წ. „ცოტა კარით“ და გვირახით კი წყაროზე და საიღუმლო ბილიკზე ჩასვლა შეიძლებოდა.



სურ. 1


შუასაუკუნეთა ქალაქების შიდაციხე ყოველთვის წარმოადგენდა მაღალი საერო ხელისუფალის რეზიდენციას. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქუთაისია. შიდაციხის ზედა ტერასაზე ბაგრატიონების ქვითკირის სასახლის (X-XI სს.) ნანგრევებზე იმერეთის მეფეებს ახალი რეზიდენცია გაუმართავთ. მისი ძირითადი ნაწილი დღეისათვის გათხრილია. სამეფო სასახლეზე მშენებლობა-გადაკეთების ორი ეტაპის გამოყოფა შეიძლება. პირველ ეტაპზე იგი წარმოგვიდგება ჩრდილოეთიდან სამხრეთით დამხრობილი მართკუთხა ფორმის ორფერდასახურავიანი ნაგებობის სახით. დასავლეთისა და სამხრეთის კედლები გალავანზეა მიდგმული, რასაც წყაროს ცნობაც ადასტურებს: „... მეფის დარბაზები ციხის კედლებზეა გაშენებული“ [5, გვ. 140-141]. ანალოგიური ვითარება შიდა ქართლის საფორტიფიკაციო სისტემაში ჩართულ საერო ხასიათის (კერძოდ სასახლეების) მთელ რიგ ძეგლებზეც დასტურდება და უმრავლეს შემთხვევაში სამშენებლო მოედნის რაციონალური გამოყენებითაა ნაკარნახევი [10]. სასახლის მშენებლობისას ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებად გამოუყენებიათ ბაგრატიონთა სასახლის ნაშთები. პირველ ეტაპზე სასახლე ექვსსათავსოიანია და ყველა მონაცემით ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. დღეისათვის მისგან სარდაფი ანუ პირველი სართულია შე-

მორჩენილი და ისიც უკიდურესად დაზიანებული სახით. სარდაფში მარნები ყოფილა გამართული. ამ ეტაჟზე ისინი წარმოდგენილია დაუკირავი, ქედებიანი ქვევრებით.

მეორე ეტაჟზე სასახლის ძირითად ნაწილს მცირე გადაკეთება განუცდია: ზოგი სათავსო გაუტიხრავეთ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ახალი დიდი დარბაზი მიუშენებიათ (სურ. 1). დარბაზს ოთხი კარი აქვს. მათგან ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა ეზოებში გადის, დასავლეთის კარი სასახლის ძირითად ნაწილში შესასვლელს წარმოადგენს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გაჭრილი კარით დარბაზიდან საბრძოლო ბილიკზე გასვლა შეიძლებოდა. დარბაზის ზომებია 17,3 x 13,2 მეტრი. კედლების სიფართე 90 სმ-ია; მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლე 1,6 მ. დასავლეთის კედლის ინტერიერში ორი თაღოვანი თახჩაა შემორჩენილი. კედლების ფასადები მეორადი გამოყენების საშუალო ზომის ქვებითაა ამოყვანილი. ნაგებობას კირხსნარზე დაფენილი აგურის იატაკი აქვს (აგურის ზომებია 26 x 24 x 4 და 22 x 22 x 4 სმ). მშენებლობის ამ ეტაჟზე გადაკეთებულია სარდაფის მარანი. ქვევრები უკვე ჩაკირულია. ჩაკირულქვევრებიანი ორი ღია მარანი შიდაციხის აღმოსავლეთ ნაწილშიცაა ფიქსირებული. ერთი ასეთივე მარანი კი ტაძრის დასავლეთით არსებულ სასულიერო პირთა პალატების ინტერიერშია გამართული. ჩვენი ვარაუდით სასახლის კომპლექსის სწორედ ეს დარბაზი ჩანს კასტელის ზემოაღნიშნულ ნახატზე. იგი გალავნის კედლებზე საკმაოდ მაღლა აღმართული, ისე რომ მოჩანს მეორე სართულის სარკმლები და ორფერდა სახურავი. შიდაციხის საერო დანიშნულების ნაგებობებიდან აღსანიშნავია მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გალავნის კედელზე მიდგმული სწორკუთხა დარბაზი. მისი სამხრეთი ნაწილი გალავანზე ყოფილა მიდგმული და მასთან ერთად განადგურებულა. უკეთ შემორჩენილი ჩრდილოეთის კედლის ცენტრში ორი მეტრის სიმაღლისა და ერთი მეტრის სიფართის თაღოვანი კარია გაჭრილი. ნაგებობის ზომებია 12,5 x 6 მ. კედლების სიფართე 1,25 მ; გადახურვა თაღოვანი ყოფილა. მისი ფუნქციის ზუსტი დადგენა ჯერჯერობით არ ხერხდება. შესაძლოა იგი სამეფო ხაზინის საცავი ყოფილიყო (სურ. 2).


კვლევის დღევანდელ ეტაჟზე შიდაციხის ზემოაღწერილი კომპლექსის ზოგად თარიღად XVI-XVII ს. პირველი ნახევარი უნდა მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში იმერეთის მეფე ალექსანდრე III დროს (1636-1660) მას უკვე დასრულებული სახე აქვს, რასაც კასტელის ჩანახატი [4] და ელჩების აღწერილობაც ადასტურებს [5; 6]. აღნიშნული კომპლექსი ფუნქციონირებდა XVIII ს-ის 70-იან წლებამდე. 1770 წლის 6 აგვისტოს იმერეთის მეფე სოლომონ პირველისა და რუსეთის საექსპედიციო კორპუსის მეთაურის გენერალ ტოტლებენის

გაერთიანებულმა ჯარებმა თურქთა ასწლიანი (1669-1770) ბატონობისაგან გაათავისუფლა „ქუთაისის ციხე“, რის შემდეგაც იგი აფეთქებულ და დაშლილ იქნა [11, გვ. 57-58; 12, გვ. 309-320; 13, გვ. 150; 14, გვ. 147].




სურ. 2

არქიტექტურულ ნაგებობათა გარდა ნაქალაქარზე გამოვლენილია წყალმომარაგების კარგად გააზრებული სისტემა, რომელშიც შედის: წყაროზე ჩამავალი გვირაბი, ორი ჭა (მათ შორის ერთი სასახლის ინტერიერში, სურ. 3), თეთრამიწის ქედიდან გამოყვანილი წყალსადენის ორი მაგისტრალი, ერთი მათგანი 1739-40 წლებით დათარიღებული [15], სამაროვანი, ცალკეული სამარხები და მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური არტეფაქტები: თიხის, ფაიფურის, ფაიანსის, სელადონის, მინის, ბრინჯაოს, რკინისა და ზის ნაწარმი, სამშენებლო კერამიკა, ჩიბუხები, სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს მონეტები, სამკაული და სხვა, რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭებათ გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისის დღემდე უცნობი საკითხების გაშუქებისას.



სურ. 3



სურ. 4

II. მეორე ეტაჟზე შიდაციხის კომპლექსმა პრაქტიკულად შეწყვიტა ფუნქციონირება. სამეფო რეზიდენცია მთლიანად ე.წ. „ოქროს ჩარდახში“ გადადის, ხოლო ციხის ნანგრევებზე ჩნდება ტერასულად განლაგებული ხის საცხოვრებელი კვარტალების კომპლექსი, რომლის ძირითადი ნაწილი განლაგებულია შიდაციხის ცენტრალურ და ქვედა ტერასებზე. დღეისათვის სულ გამოვლენილია სამი ასეთი კვარტალი. პირველი, სასახლის ზემოაღწერილი დარბაზის ნანგრევებზეა გამართული და ძლიერ დაზიანებულია; მეორე მისგან სამხრეთითაა ფიქსირებული, ხოლო მესამე ქვედა ტერასაზე მდებარეობს. თითოეული მათგანი რამდენიმე ნაგებობას აერთიანებს, რომელთაგან შედარებით უკეთ დაცულია სამი ნაგებობის ქვის ცოკოლის ნაშთები. მათი კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის მეორადი გამოყენების ქვებით, შიდა სივრცე ამოვსებულია ნატეხი ქვებითა და სუსტი კირხსნარით. მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლეა 0,5 მეტრი. ხის კონსტრუქციებიდან ფაქტიურად აღარაფერია შემორჩენილი. ნაგებობები ერთმანეთს ქვის ფილებით მოკირწყლული ქუჩებით უკავშირდებიან. ქუჩებზე საგულდაგულოდ მოწყობილი ღვარსადენებია გამართული.

შიდაციხის ნანგრევებზე აღმოცენებული ეს კომპლექსი რიგითი მოქალაქეების დასახლებას წარმოადგენს. ქალაქის ამ ნაწილს ამ დროისათვის სავსებით დაკარგული აქვს თავდაცვითი ფუნქცია. წერილობითი წყაროებისა [11; 12; 13; 14] და არქეოლოგიური მონაცემების გათვა-

ლისწინებით ირკვევა, რომ აღნიშნული კვარტალური დასახლება 1775 წლიდან XIX ს-ის ათიან წლებამდე ფუნქციონირებდა [16, გვ. 63-66].

III. მესამე სამშენებლო ეტაჟზე შიდაციხის ადგილზე შენდება თითქმის იმავე მოცულობის ციხე, ორფერდასახურავიანი, კორიდორული სისტემის ყაზარმა და მართკუთხა ფორმის აგურისიატაკიანი ნაგებობა.

ციხე ოთხივე კუთხეში გამაგრებულია შიგნიდან გახსნილი ნახევარწრიული კოშკებით. ერთ მათგანზე შემორჩენილია საზარბაზნე ამბრაზურები. კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით. იშვიათად გამოყენებულია რიყის ქვაც. ციხეს შემოსასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონია. მშენებლობა ვიზუალურად საკმაოდ უფერულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ყაზარმა გამართულია იმერეთის მეფეთა სასახლის ნანგრევებზე და გამოყენებული აქვს ნგრევას გადარჩენილი კედლები. ინტერიერში მთელ სიგრძეზე მას ერთი მეტრის სიფართის ქვაფენილიანი კორიდორი გასდევს, რომლის ორივე მხარეს სხვადასხვა ზომის სათავსებია. ნაგებობას მისი გეგმარებიდან გამომდინარე ორფერდა სახურავი უნდა ჰქონოდა.

მართკუთხა ფორმის ნაგებობა განთავსებულია ციხის სამხრეთ ნაწილში, დარბაზულ ეკლესიასა და გალავნის კედელს შორის და დასავლეთიდან აღმოსავლეთითაა დამხრობილი (სურ. 4). მისი სიგრძე დაახლოებით 14-15 მეტრია, სიფართე 9,8 მეტრი. კედლების სიფართე 0,7 მეტრია, მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლე 0,8 მეტრი. კედლებში ფიქსირებულია თანაბარი ინტერვალებით დაშორებული თხუთმეტი ვერტიკალური ღრმული. ერთ მათგანში ხის მორის ფრაგმენტი დადასტურდა. როგორც ჩანს, ცოკოლს ზემოთ კედლები ამ შემთხვევაშიც ხის იყო. გადახურვის კონსტრუქციის დამადასტურებელი მასალა აღარ შემორჩენილა. ინტერიერი ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. ნაგებობას კარგად ნიველირებული აგურის იატაკი აქვს. აგურის ზომებია: 25 x 13 x 5 სმ [16, გვ. 66-68].

წერილობითი წყაროების [17], სტრატეგრაფიისა და არქეოლოგიური მასალების გათვალისწინებით ციხე, კორიდორული სისტემის ყაზარმა და მართკუთხა ფორმის აგურის იატაკიანი ნაგებობა რუსეთის არმიის ქუთაისის გარნიზონის სადგომად უნდა მივიჩნიოთ და XIX ს-ის 10-იანი წლების ახლო ხანებით დავათარილოთ.

Р. О. Исакадзе

ПОЗДНЕСРЕДНЕВЕКОВЫЙ КУТАИСИ ПО АРХЕОЛОГИЧЕСКИМ МАТЕРИАЛАМ

(Резюме)

По данным археологических раскопок в позднесредневековом Кутаиси выделяются три основных строительных этапа.

I. XVI-первая половина XVIII в. На этом этапе возводится новая система укрепления города: цитадель, комплекс царского дворца и связанные с этим последние постройки (казначейство, винные погреба, система водоснабжения и т.д.).

II. В 1775-1810 гг. После разрушения цитадели (1770 г.) на его месте возникает террасированный квартал рядовых жителей города.

III. Около 1810 г. на территории цитадели на месте вышеуказанного квартала возводятся постройки кутаисского гарнизона российской армии – крепость, казарма и офицерские помещения

R. Isakadze

DAS SPÄTMITTELALTERLICHE KUTAISSI NACH ARCHÄOLOGISCHEN ANGABEN

(Zusammenfassung)

Die archäologischen Ergebnisse haben bestätigt, daß das spätmittelalterliche Kutaissi aus drei Bauhorizonten bestand:

I. 16. Jh. – I Hälfte des 18. Jh. In dieser Zeit baut man neues Befestigungssystem: Akropolis, Königspalast und dazu gehörige Gebäuden (Münzhof, Weinkeller, Wasserversorgung u.a.).

II. 1775-1810. Nach der Zerstörung der Akropolis (1770) entsteht an seiner Stelle terrassenartig gebautes Holzgebäude der einfachen Bevölkerung.

III. In den 1810 Jahren an der Stelle der Holzbauten baut man dort die Kutaisser Garnison der russischen Armee – eine Festung, Kaserne und Offizierquartier.

სურათების აღწერილობა:

1. სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მიშენებული სათავსო.
2. სამეფო ხაზინის შენობა
3. წყალმომარაგების სისტემა.
4. სიმაგრის სამხრეთ ნაწილში გამოვლენილი მართკუთხა ნაგებობა.

Описание рисунков:

1. Помещение пристроенное к юго-восточному углу дворца.
2. Царское казначейство.
3. Система водоснабжения.
4. Прямоугольное помещение в южной части крепости.

Die Beschreibung der Bilder

1. Der angebeute Saal in der Südostecke des Palastes
2. Die königliche Schatzkammer
3. Das Wasserversorgungssystem im Innenpalast.
4. Rechteckiges Gebäude südlich der Festung

ლიტერატურა:

1. **ო. ლანჩავა**, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. ქუთაისი, 1996.
2. **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II. თბ., 1965.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
4. **დონ ქრისტოფორო დე კასტელი**, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ. ბეჟან გიორგაძის გამოცემა. თბ., 1976.
5. **ალექსი ივგლევის** 1650-52 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. იასე ცინცაძის გამოცემა. თბ., 1963.
6. **ნიკიფორე ტოლოჩანოვის** იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. იასე ცინცაძის გამოცემა. თბ., 1970.
7. **გიულდენშტედტის** მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1964.
8. **Dubois de Montpéroux**, Voyage autour du Caucase, I, Paris, 1839.
9. **გ. ბერიძე**, XVI-XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1983.
10. **П. Закарая**, Древние крепости Грузии. Тб., 1969.
11. **დე გრაი დე ფუა** საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა ჯუმბერ ოდიშელმა. თბ., 1985.
12. **თ. ჟორდანიას**, ქრონიკები, წიგნი III, თბ., 1967.
13. **ნ. დადიანი**, „ქართველთ“ ცხოვრება. თბ., 1962.
14. **შ. ლომსაძე**, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები. თბ., 1973.
15. **ს. ჯიქია**, XVIII საუკუნის თურქული წარწერა ქუთაისიდან. – ივ. ჯავახიშვილის 100


წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976.

16. **რ. ისაკაძე**, ქუთაისი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). – ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის „მასალები“. კრებული VIII, ქუთაისი, 1996.

17. **გიორგი ავალიშვილი**, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. გამოსცა ელენე მეტრეველმა. თბ., 1967.

ქუთაისის ციტადელის წმ. გიორგის ეკლესია

ქუთაისის ციტადელის ეკლესია რომ წმ. გიორგის სახელზე ყოფილა აგებული, იტყობინებიან მოსკოველი ელჩები, რომლებმაც XVII ს-ის 50-იან წლებში იმოგზაურეს იმერეთის სამეფოსა და ქუთაისში. აი რას გვიაზიბობენ ისინი: „ციხე-გალავანში (იგულისხმება ქუთაისის ციხის ციტადელი – ა.გ.) წმინდა გიორგის სახელობის ქვის საყდარია, შიგ კედლის მხატვრობა... ელჩები ამ საყდარში არ ვყოფილვართ, იმიტომ რომ კარები მეფის ბეჭდით იყო დაბეჭდილი“ [1, გვ. 140]. ამას გარდა ეკლესიის შესახებ ცნობას გვაწვდის გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს მოინახულა ქუთაისი. იგი წერს, რომ „ციხის შუაში (აქაც ქუთაისის ციტადელი იგულისხმება – ა.გ.) ქართული ქრისტიანული ეკლესიის მაგივრად თურქებს აუშენებიათ მეჩეთი“ [2, გვ. 139-140].



სურ. 1

ეკლესიამ იმთავითვე მიიპყრო ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ყურადღება (სურ. 1). ნაგებობა ძლიერ დაზიანებული იყო. კედლების უმეტეს ნაწილს პირვანდელი პერანგი მთლიანად ჰქონდა შემოცლილი, პერანგის ქვები არც ნგრევის ფენაში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ისინი ციტადელიდან აღრევე გაუტანიათ. შე-

მორჩენილი კედლები მთლიანად იყო დაფარული მცენარეული საფარით. ინტერიერი შევსებული იყო 3 მ სიმაღლის ღორღნარევი მიწით.

როგორც კვლევამ ცხადყო, ეკლესიას რამდენიმეჯერ განუცდია ნგრევა და შემდგომ განახლება, რამაც ნაწილობრივ გაართულა ძეგლის შესწავლა. ინტერიერის არქეოლოგიური დამუშავების პარალელურად გათხრებს ვაწარმოებდით ნაგებობის ირგვლივ. ეკლესიის დასავლეთ მხარეზე, კედლის კუთხეებთან აღმოჩნდა ორი, ცილინდრული ფორმის სადრენაჟე ორმო (სიმაღ. № 1 მ, დიამ. № 0,8 მ). როგორც ჩანს, ამ ორმოებითა და მათთან დაკავშირებული მიწისქვეშა არხით გაიწოვებოდა ჩამონადენი წყალი. მაშასადამე, მშენებლებს ჰიდროტექნიკური ხერხისათვის მიუძარტავთ, რაც მათი პროფესიონალური ცოდნის მაღალ დონეზე მიუთითებს.

ეკლესიის სამხრეთ მხარეზე აღმოჩნდა სწორკუთხა ფორმის მინაშენი (20 მ²). ამას გარდა კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ყუმბარის ნამსხვრევები და ფინდიხი, რომელიც 1770 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს უნდა დაეშინათ ქუთაისის ციხეში გამაგრებული თურქებისათვის. ამ დროს ეკლესიამ, როგორც ჩანს, განიცადა საბოლოო დიდი ნგრევა.

ეკლესიის ინტერიერიდან მთლიანად იქნა გამოტანილი ქვა-ღორღი. სტრატეგრაფიის დასაზუსტებლად ავიღეთ იატაკის ნაწილი, რის შედეგად ნათლად გამოიკვეთა ამავე ადგილას არსებული უფრო ძველი და გეგმაში სრულიად განსხვავებული ეკლესიის ნაშთი, რომელიც ფუნქციონირებდა V-XIII სს. [9, გვ. 137-141]. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა მოგვეხდინა ძეგლის აზომვა-ფიქსაცია.

ჩვენთვის საინტერესო ეკლესია დარბაზული ტიპის, შვერილაბსიდიანი ნაგებობაა. იგი ქართული საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს [3, გვ. 85-116; 4, გვ. 73-82]. ეკლესიის სიგრძე აბსიდამდე 10,4 მეტრია, აბსიდიანად – 14,8 მ, სიგანე – 8 მეტრია. ინტერიერი პილასტრების სამი წყვილით ოთხ თითქმის თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. აბსიდა მოგრძო, უხეშად გათლილი ქვებისაგან შემდგარი კანკელის საფუძვლითაა გამოყოფილი დარბაზისაგან. აბსიდის იატაკი 15 სმ-ითაა ამაღლებული ეკლესიის იატაკის დონიდან. კანკელის ქვების ზედაპირზე ამოკვეთილი გრძივად და განივად მიმართული ღარები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ საფუძველზე იქნებოდა გამართული ზის კანკელი (იკონოსტასი), რომელიც გასაგები მიზეზების გამო დღემდე არ შემოინახა.

საინტერესოა საკურთხევლის ტრაპეზის მდებარეობა. თავდაპირველად იგი აბსიდის

ცენტრში ყოფილა. პირველი განახლების დროს იგი აბსიდის კედლისათვის მიუდგამთ. აბსიდის სარკმლები ეკლესიის ბოლო განახლების დროინდელია. სარკმლები წარმოადგენენ შიგნითკენ გაფართოებულ ცილინდრულ ჭრილებს (ე.წ. ამბრაზურა). აბსიდის კედელი ამოყვანილია უხეშად დამუშავებული, არასწორი ფორმის საშუალო და მცირე ზომის ქვებითა და აგურის ნატეხებით. რიგთა ჰორიზონტალურობა დარღვეულია. კედელი დაუდევრად ნაშენების შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავდაპირველი ნაგებობის კედლები ნაშენია ცერად დაწყობილი, დიდი და საშუალო ზომის კარგად გათლილი კირქვის ქვათილებით. შიდა პერანგი მცირე ზომის ასევე კირქვის კარგად გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული. პერანგებს შორის სივრცე შევსებულია ნატეხი ქვითა და მოციფრო, დიდი სიმტკიცის მქონე კირ-ღუღაბით. ინტერიერის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია აგური (26 x 5 x 26 სმ). იგი განახლების დროინდელი ჩანს (XVI ს.).

ეკლესიის სამხრეთ კედელში გაჭრილია სარკმელი, რომლის ჩარჩო წარმოადგენს მოჩუქურთმებულ მართკუთხედს, შუაში მართკუთხედის ფორმის ვიწრო, შიგნითკენ გაფართოებული ღიობით. სარკმლის ჩარჩოს მთელი ჩაწეული სიბრტყე დამშვენებულია ღრმა კვეთით შესრულებული ჩუქურთმით, რომლის ცალკეული დეტალები ერთმანეთში ქმნიან ტოლმკლავა, ბოლოებგაფართოებული ჯვრების გამოსახულებას. მხატვრულსტილისტური ანალიზით ასეთი ჩუქურთმა შეიძლება დათარიღდეს XIII-XIV სს.

ეკლესიას სამი, თითქმის თანაბარი სიგანის კარი აქვს ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის მხარეზე. შესაბამისად მათი სიგანეა: 1,50 მ; 1,53 მ; 1,50 მ. დასავლეთის კარის სვეტები საფასადო მხრიდან შემკულია განვითარებული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ღრმა კვეთით შესრულებული ჩუქურთმით, რომელიც სტილითა და თემით იმეორებს ბაგრატის ტაძრის დასავლეთის კარიბჭის (XI ს.) ჩუქურთმას. სამხრეთის კარის სიმაღლე 2,10 მეტრია. იგი ერთ-ერთი გადაკეთების დროს მოზრდილი ქვებისაგან შედგენილი კედლით ამოუქოლავთ. სამხრეთის კარს არქიტრაჟიანი გადახურვა აქვს განმტვირთავი თაღის გარეშე და შიდა მხრიდან ნახევარცილინდრული თაღითაა დაგვირგვინებული. არქიტრაჟი დამშვენებულია ღრმა კვეთით შესრულებული ჩუქურთმით. ვერაფერს ვიტყვით ჩრდილოეთის შესასვლელის გადახურვის და შემკულობის შესახებ, რადგან იგი მთლიანად ჩამონგრეული დაგვიხვდა. სამხრეთის და ჩრდილოეთის შესასვლელები შიდა მხრიდან პილასტრებითაა დაგვირგვინებული, რომელთა კუთხეები W მაგვარადაა ვერტიკალზე ჩაჭრილი. პილასტრები კედლის სიბრტყიდან 0,17 მ-თაა გამოზიდული და ინტერიერის მშენებელ დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს.

ნაგებობის ინტერიერი შელესილი ყოფილა და შესაძლოა მოხატულიც. შელესილობის 1 სმ სისქის ვარდისფრად შეღებილი ფრაგმენტი დადასტურდა რამდენიმე ადგილას.

ეკლესიაში დაფიქსირდა იატაკის ორი ფენა. პირველი იატაკი შედგენილია წითელი ფერის, მცირე ზომის ქვიშაქვის მრავალკუთხა ნაჭრებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დუღაბითაა შეკავშირებული. იატაკი ზემოდან 3 სმ სისქის ნაკლებად მტკიცე დუღაბითაა გადალესილი. იატაკის მეორე ფენა პირვანდელი განახლების დროინდელია. იგი მხოლოდ კირხსნარისაგან შედგება და დიდი სიმტკიცით გამოირჩევა. ამ იატაკის სისქე 0,20 მეტრია. აღსანიშნავია, რომ დუღაბში, რომლითაც იატაკია შედგენილი, მცირე რაოდენობითაა შერეული აგურის ნაფხვენი. ანალოგიური ფაქტურის კირ-ღუღაბი ქუთაისის ციტადელში გვხვდება XV-XVI საუკუნეებით დათარიღებულ ნაგებობებზე.

ეკლესიის საძირკველი უშუალოდ დედაქანშია ჩასმული. საძირკველში კონგლომერატია (რიყის, კირქვისა და აგურის ნატეხები) გამოყენებული. 0,40 მ სიმაღლის ცოკოლი იმავე ტექნიკითაა ნაშენები, როგორც ნაგებობის ძირითადი კედლები.

გადახურვის კონსტრუქციის რაიმე ფრაგმენტი არ აღმოჩენილა. თუ შენობის მთლიანი ფორმის და სხვა მსგავსი გეგმარების ნაგებობების მიხედვით ვიმსჯელებთ ეკლესიას ორფერდა სახურავი უნდა ჰქონოდა ფრონტონით დასავლეთ მხარეზე, ხოლო ნახევარწრიული შვერილი აბსიდი შესაბამისად შეკრული კამარით იქნებოდა გადახურული.

მნიშვნელოვანია ეკლესიის თხრისას მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც (კერამიკა, მონეტა). სადრენაჟო ორმოში აღმოჩნდა ცისფრად (შაბიამნისფრად) მოჭიქული თეთრკეციანი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი. მსგავსი მასალა ნაქალაქარზე სხვაგანაც აღმოჩნდა, უმთავრესად XII-XIII სს. კულტურულ ფენებში. აქვეა აღსანიშნავი ეკლესიის ინტერიერში, პირველი იატაკის ქვეშ, სამშენებლო (ანატაკციებიან) ფენაში ნაპოვნი რუსუდანის სახელზე მოჭრილი მონეტა, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა ეკლესიის აგების სავარაუდო თარიღი. ამას გარდა, ეკლესიის ცენტრში, პირველი განახლების დროინდელი იატაკის ფენის აღების შემდეგ აღმოჩნდა კონუსური მოყვანილობის 1,30 მ სიმაღლის ორმო. აქ მოპოვებული მასალა (XIII-XVI სს ქვევრის კედლისა და ქუსლის ფრაგმენტები) და ასევე თვით ორმოს მოყვანილობა მიგვანიშნებს, რომ ამ ორმოში ქვევრი უნდა მდგარიყო დაახლოებით პირველი ნგრევისა და პირველი განახლების შუალედში. შესაძლოა ქვევრი წარმოადგენდა რაიმე ნივთის ან განძის სამალავს, რომელიც შემდგომში გაუქმებიათ და ნაქვევრალი ორმო იატაკის ფენით დაუფარავთ.

ეკლესიის ისტორია შემდგენიარად წარმოგვიდგება: იგი უნდა აეგოთ XIII ს-ში, კერძოდ

კი ამავე საუკუნის 70-90-იან წლებში. ამგვარი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის კონკრეტული ისტორიული სიტუაცია, რომელიც სუფევდა დას. საქართველოში, კერძოდ კი ამ სამეფოს დედაქალაქ ქუთაისში XIII ს-ის მეორე ნახევარში.

როგორც ცნობილია, XIII ს-ში საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს ჯერ ჯაღალ ად დინის, ხოლო შემდგომ კი მონღოლთა სახით. საქართველოს სამეფო კარი დროებით ქუთაისში გადავიდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მონღოლთა აქტიური ჩარევით საქართველო ორ პოლიტიკურ ერთეულად გაიყო, რუსუდანის მემკვიდრე დავით ნარინმა საბოლოოდ ქუთაისში დაიდო ბინა. ამ დროს ქუთაისი შედარებით მშვიდობიანათ ცხოვრობდა, რადგან „ტყიან დასავლეთ საქართველოში მონღოლებს უჭირდათ ლაშქრობა“, თუმცა მათ XIII ს-ის 70-იან წლებში მაინც მოუხერხებიათ ქუთაისის აღება [5, გვ. 93]. „თათართა მოაოხრეს ეკლესიანი და მრავალი სული ქრისტიანი მოიკლა“ [6, გვ. 269]. სავარაუდოა, რომ ამ დროს მონღოლებმა ქუთაისის ციტადელიც დააქციეს. რაღა თქმა უნდა ის ეკლესიაც დაინგროდა, რომლის ნაშთებიც დაფიქსირდა ჩვენთვის საინტერესო ეკლესიის იატაკის აღების შემდეგ (იხ. ზემოთ). ამას გარდა, მონღოლების შემოსევის კვალი ციტადელში მრავალ ადგილას დადასტურდა. ამ გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ სამეფო კარი, ცხადია, იზრუნებდა ციტადელის ეკლესიის (რომელიც ფაქტიურად სამეფო კარის ეკლესიაცაა) აღდგენაზე. როგორც ჩანს, ხუროთმოძღვარმა საჭიროდ აღარ ჩათვალა ეკლესიის ძველი გეგმით (სამაბსიდიანი ბაზილიკა?) აღდგენა და ამავე ადგილას სრულიად განსხვავებული ტიპის ეკლესია ააგო, რომლის პირველი მნიშვნელოვანი ნგრევა უნდა მომხდარიყო XVI ს-ის დასაწყისში, როცა ქუთაისი თურქებმა აიღეს. „ქუთაისს თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ, ქუთათისი და საყდარი“ [7, გვ. 326-327]. ამის შემდეგ, საფიქრებელია, ეკლესია აღადგინა იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.), რომელმაც აღადგინა გელათი, ნიკორწმინდა, „მეორედ აღაშენა ციხენი, საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და შეამკნა ყოველითურთ უნაკლულოდ“ [8, გვ. 64]. ამ დროს განახლებულ ეკლესიას იხსენიებენ მოსკოველი ელჩები თავიანთ აღწერილობაში [1, გვ. 140].

XVII ს-ის ბოლო მეოთხედში ქუთაისი კვლავ დალაშქრეს თურქებმა. მათ ააფეთქეს ბაგრატის ტაძარი (1691 წ.). ამ დროს უკვე ციტადელის ეკლესია თურქებს მეჩეთად გადაუქცევიათ [8, გვ. 64] და სამხრეთის მხრიდან მისი ფართი მართკუთხა ფორმის მინაშენით გაუზრდიათ. თურქები ქუთაისში 1770 წლამდე იხსდნენ, სანამ ისინი ქალაქიდან არ განდევნა სოლომონ I რუსთა საექსპედიციო კორპუსის

მხარდაჭერით. ამ დროს ეკლესია დანგრეული იქნა [10, გვ. 60-68, ლიტ. იხ. იქვე]. ეკლესიის ბოლო განახლება, რომელიც ძალიან ზერედედაა შესრულებული, უნდა მომხდარიყო XVIII-XIX სს. მიჯნაზე.

А. А. Габриадзе

ЦЕРКОВЬ СВ. ГЕОРГИЯ КУТАЙССКОЙ ЦИТАДЕЛИ (Резюме)

Церковь святого Георгия расположена в центральной части Кутаисской цитадели. При наличии скудных письменных источников для реконструкции истории этого памятника, большое значение имеет археологический материал, который был собран во время раскопок Кутаисской цитадели в 1984-1990 гг.

Церковь является постройкой т.н. "зального" типа с вытянутой абсидой. Церкви такого типа были широко распространены в средневековой Грузии. На основании археологических данных (керамика, монета) и стратиграфических данных церковь должна быть датирована второй половиной XIII в. В статье дана история этого памятника вплоть до XIX в.

A. Gabriadze

THE CHURCH OF ST. GEORGE IN THE CITADEL OF KUTAISI-SITE (Summary)

During the archaeological excavations in the citadel of Kutaisi the hall church of St. George was excavated and investigated.

In spite of the fact, that Church was almost completely demolished, its essential form and elements of decor is well preserved. By means of written sources, architectural data, archaeological and numismatic material the church is possible to be dated to the second half of the 13th c. Since then the church was many times destroyed and restored.

სურათის აღწერა:

1. ქუთაისის ციტადელის წმ. გიორგის ეკლესიის გეგმა.

Описание рисунка:

1. План церкви св. Георгия Кутаисской цитадели.

Description of the figure

1. Plan of the St. George Church from Kutaisi Citadel.

ლიტერატურა:

1. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლებრივი აღწერილობა“), თბ., 1969.
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I, თბ., 1962.
3. რ. მეფისაშვილი, სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი – ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში. ბათუმი, 1955.
4. შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993.
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 3, XIII-XIV სს. თბ., 1941.
6. „ჟამთააღმწერელი“, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
7. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, ტფ., 1898.
8. გ. ბერიძე, XVI-XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ., 1983.
9. თ. ლანჩავაძე, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი, 1996.
10. რ. ისაკაძე, ქუთაისი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). – ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრებული VIII, ქუთაისი, 1996.

საინტერესო გამოკვლევა საქართველოს ძველი ისტორიის ერთი საკითხის შესახებ

საქართველოს ძველ წინაქრისტიანულ კულტურას, ისევე როგორც უმეტეს მსგავს კულტურებს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ქრონოლოგიურად საკმაოდ მოზრდილ პერიოდს მოიცავენ, აქვთ ერთი საერთო მახასიათებელი: ესაა მათი ცნობიერება, მათი აზროვნების სტილი, რომელსაც ზოგადად შეიძლება მითოსური ცნობიერება ვუწოდოთ. პლატონისტურ - ქრისტიანული აზროვნება, რომელიც ცნობიერების გარკვეულ ტიპს, საფეხურს ამკვიდრებს ერთი მხრივ, პრინციპულად განსხვავდება მითოსური ცნობიერებისაგან, მაგრამ მეორე მხრივ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანისათვის როგორც ცნობიერებისათვის, რომელიც თვითგანვითარების შედეგად მიღწეული სრულია ის უცხოა, არამედ ის არის ერთი გარკვეული საფეხური ცნობიერების, როგორც თვითშემდეგნებელი სუბიექტის თვითქმნადობით მიღწეული სრულის ქმნადობის პროცესისა. ისტორიულობაში ამგვარ ცნობიერებას გარკვეული შესატყვისი კორელატი მოეძებნება რომელთაც შეიძლება მითოსური საზოგადოებები თუ კულტურები დავარქვათ.

ადამიანი მაშინ გამოდის ისტორიის ასპარეზზე, როდესაც ის ბუნებრივ სამყაროს უპირისპირდება, თავისუფლდება შიშველ-ინსტიქტური არსებობიდან და პირველად თავისი ნების წყალობით იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ანუ „თვალეები აეხილება“. ამის შემდგომ იქმნება სოციალური ინდივიდი ანუ საზოგადოება, სახელმწიფო. თავის მხრივ, ყოველ სოციალურ ინდივიდს თავისი შინაგანი მამოძრავებელი ერთი ზოგადი კანონი აქვს, რომელიც ყოველ დანარჩენ მცირე კონკრეტულ კანონებსა თუ წესებს განსაზღვრავს და შესაბამისად ყოველი ცალკეული ინდივიდის სამყაროში ყოფნის წესიც ამითი არის განსაზღვრული. ეს შინაგანი ზოგადი კანონი ერთი მხრივ, ამ სოციალური ინდივიდის ცნობიერებითაა განსაზღვრული, მეორე მხრივ კი თვით ცნობიერებაა. ეს ცნობიერება მითოსია. მითი სამყაროს, ღმერთების, ადამიანის შესაქმნის ისტორიული ამბავია, ღმერთების და ადამიანის ადგილის განმსაზღვრელი სამყაროში, ხოლო როგორც წარმოდგენია ადამიანს ღმერთების არსი, სრულ შესაბამისობაშია წარმოდგენაზე თავის თავზე, თავის იმ უშინაგანეს არსზე, რისი ფლობითაც არის ის სწორედ ადამიანი - თავისუფლებაზე. ეს ამბები რადგანაც შესაბამისი საზოგადოების მამოძრავებელი და

განმსაზღვრელი უნდა იყვნენ, ამიტომ დოქტრინალურ ხასიათს ატარებენ, ხოლო დოქტრინა (დოქტრინალური ამბავი) ისეთი ხასიათისაა, რომ ადამიანისა და საზოგადოებისაგან მის უპირობო შესრულება - განმეორებას მოითხოვს უმცირეს ყოფით საკითხებშიც კი, ანუ იმგვარია, რომ საზოგადოების ყოველი სოციალური ინსტიტუტის საფუძველთ-საფუძველია.

მითოსს, მითოსურ ამბებს ჩვენ ძირითადად ვიცნობთ ძველი ტექნოლოგიურად და სოციალურად დაწინაურებული საზოგადოებების, როგორც იყვნენ ძველ ეგვიპტური, შუამდინარული, მცირეაზიული, ეგეოსური და სხვა წერილობითი წყაროებიდან. თუმცა მითოსის, მითოსური კონცეფციის აღდგენა შეიძლება საკმაოდ წარმატებულადაც მატერიალური კულტურის ძეგლების წყალობითაც და სწორედ იმ ძველი საზოგადოებებისა და კულტურების მითოლოგიას, რომელთაც დამწერლობა არ გააჩნდათ უპირატესად ამ ძეგლების წყალობით ვიცნობთ. ამგვარ საზოგადოებებს განეკუთვნება სწორედ ძველი წინაქრისტიანული ქართული საზოგადოება, რომელთა ძველი ისტორიის აღდგენა სწორედ არქეოლოგიის მიერ მოპოვებული ძეგლების საშუალებითაა შესაძლებელი. არქეოლოგი განსაკუთრებით ჩვენში, ძველი ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი წყაროების მოპოვებელ-დამშუშავებელი და თვით ამ ძველი ისტორიის უპირველესი რესტავრატორ-შემოქმედი უნდა იყოს და როგორც ბატონი ნიკო ბერძენიშვილი წერდა, არ უნდა წარმოადგენდეს „საქართველოს ისტორიისაგან და ქართველთმცოდნეობისაგან“ მოწყვეტილ მკვლევარს. იმის მაგივრად, რომ ძირითადად ძველი საზოგადოებების მამოძრავებელი სულის, სულიერი ძალების, შესაბამისად ჭეშმარიტი ისტორიის აღდგენა-გააზრების მცდელობები გვეკონდეს, თითქმის უმეტეს შემთხვევაში ვხვდებით კატალოგურ-ქრონოლოგიურ, სამეურნეო ყოფის ამსახველ ნაშრომებს. უფრო მეტად სასიმოვნოა, როდესაც ამგვარ ფონს არღვევს ისეთი გამოკვლევების გამოჩენა, რომლებშიც მოცემულია ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა სულიერი ისტორიის აღდგენის წარმატებული მცდელობები, წარმოდგენილია ისტორიის ის მამოძრავებელი ძალები, რომლებითაც ადამიანი და მის მიერ შექმნილი საზოგადოება აღწევს იმ ღირსებას, რომ ის წოდებულ იყოს სოცია-

ლურ ინდივიდად ანუ იმ არსად, რაც სოციურად ადამიანის ფიზიკურ-ბუნებრივი არსებობიდან, როგორც ცხოველური სამყაროს შემადგენელი ნაწილიდან სულიერში გადაიყვანს და თავის ჭეშმარიტ ადგილს მიუჩენს სამყაროში.

სწორედ ამგვარ გამოკვლევათა რიგს მიეკუთვნება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნინო შანშაშვილის ნაშრომი „მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი ორნამენტის ინტერპრეტაციისათვის“ (თბილისი, 1997 წ.). გამოკვლევის ავტორმა, ერთი შეხედვით მხოლოდ კერამიკისათვის (მტკვარ-არაქსული) და ლითონის სამკაულისათვის დამახასიათებელი, თითქოს უმნიშვნელო ორნამენტი, ორმაგი სპირალი ძალზედ გონებამახვილურად და ლოგიკურად, არა მარტო დაუკავშირა ისეთ სიმბოლურ მითოსურ წარმოდგენას, როგორც კოსმიური ხე ანუ ღერძია, არამედ საკმაოდ დამაჯერებლად წარმოადგინა ამ ძველ კულტურაში არსებული ზოგადკონცეპტუალური იდეა კოსმიური წესრიგისა, რაც კონკრეტულად ყოველი ცალკეული მითოსისთვისაა დამახასიათებელი.

მითოსური წესრიგის დამყარება, ანუ ისტორიულად კონკრეტული ქვეყნისა თუ საზოგადოების და მათი შექმნილი კულტურის დამყარება, როგორც ცნობილია მონასხრება, ქაოსის განწვალებით, ანუ იმ მდგომარეობის გარღვევით, როცა ჯერ არაფერი არ არსებობდა „როცა არც ზემოთ არის და არც ქვემოთ, როდესაც არაფერს სახელი არა აქვს, არაფერს ბედიბალი დასახლვრული არა აქვს“, ე. ი. პოტენციური საგნები უწესრიგო, აღრეულ მდგომარეობაში არიან. სახელის არქონა არანაირი საგნისა, უბრალო ფორმალური მდგომარეობა კი არ არის, არამედ საგანთა არსებობა მათი საკუთარი არსის გარეშე. ამ ქაოსის განყოფით, სადაც ცა და მიწა ჯერ კიდევ ერთმანეთში იყო აღრეული, მათი საკუთრივი ადგილის მიჩენით, მათი განყოფით ანუ თავიანთი არსის მიღებით მყარდება კოსმოსი, წესრიგი ანუ კულტურა და იმავდროულად ამ კულტურის საყრდენად და მის მცველად ამოიზრდება კოსმიური ღერძი, ამ განყოფილი ქაოსიდან, რომელიც განყოფილ ერთად ამ მოწესრიგებულ საგანთა მაკავშირებელიც უნდა იყოს სამყაროში, რამეთუ კოსმოსი ქაოსის განყოფასთან ერთად გაყოფის შედეგად მოწესრიგებული საგანთა კავშირია. რადგანაც მითოსი, მითოსური ცნობიერება, როგორც ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, გრძნობად-აღმქმელია და საგნის საგნობრიობის თავისმიერი გაგებისათვის მუდმივად მაგალითს საჭიროებს, ამიტომ

თავისი შემეცნებითი ოპერაციებისათვის ჰქმნის სიმბოლოებს და მათით ოპერირებს. ამდენად, როგორც ყოველ ძირითად საგანს მითოსური ცნობიერებისა თავისი შესატყვისი სიმბოლო აქვს, რაღა თქმა უნდა კოსმიური წესრიგის უძირითადეს საგანსაც, როგორც კოსმიური ღერძია, თავისი ბუნების შესატყვისი სიმბოლოები აქვს. ესენია: თვით ღვთაება, მთა, ხე, კერიდან ცამდე ამოზრდილი ცეცხლი, კვერთხი და სხვ. ეს სიმბოლოები შეიძლება ყოველ კერძო შემთხვევაში თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობითაც იყოს დატვირთული, მაგრამ არსობლივად ისინი ერთი არსის გამომხატველნი არიან, რაც გამომდინარეობს მითოსური ცნობიერების კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშნიდან - სინკრეტულობიდან.

ჩვენის აზრით, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი გამომდინარე მითოსის სინკრეტულობიდან აბსოლუტურად სწორად განსაზღვრავს, რომ ორმაგი სპირალის ორნამენტი, არა უბრალო მხატვრული ხერხია, არამედ ერთ-ერთი მხატვრული ხერხით გადმოცემული უნივერსალური წარმოდგენა ყოველი მითოსური საზოგადოებისა, სამყაროსეული წესრიგის მაკავშირებელი და მცველი ღერძის შესახებ. ნინო შანშაშვილი თვითონვე მიუთითებს, რომ ამ მხატვრულ მოტივზე სხვა ავტორებსაც ჰქონდათ ყურადღება მიქცეული და გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლოა ეს ორნამენტი „სამყაროს ხე“ ან რომელიმე ღვთაება ყოფილიყო. მაგრამ, ჩვენის აზრით სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, რომელნიც მხოლოდ „სამყაროს ხისა“ თუ რომელიმე ცენტრალური ღვთაების არსებობის ფაქტს ადასტურებენ, ნინო შანშაშვილი არ სჯერდება მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას და ნათლად წარმოაჩენს, რომ მითოსური ცნობიერებისათვის სამყაროსეული წესრიგის მცველი და მაკავშირებელი ღერძი, არათუ ფორმალურ-მხატვრული სიმბოლოა, არამედ ერთი განმსახლვრელი აუცილებელი პირობაა და შესაბამსად თავად არის განმსახლვრელი მითოსური მხატვრული აზროვნებისაც ისევე, როგორც მითოსური აზროვნების სხვა კერძო შემთხვევებისა. ამის შესაბამისად, საკვებით სწორად არის მიკვლეული ის ფაქტი, რომ ძველი პროტოხეთური დამწერლობის ნიშანი, რომელიც „დიდ მეფეს“ აღნიშნავს იდენტურია ორმაგი სპირალის მხატვრული სახისა, რადგანაც, როგორც ცნობილია, თვით მეფეც ძველი საზოგადოებისა თავად წარმოსდგება ხოლმე, როგორც კოსმიური ღერძი.

რადგანაც მითოსური საზოგადოების, სახელმწიფოს საფუძველი და თვით ამ სა-

ზოგადობის რელიგია ანუ ამ შემთხვევაში მითოსი ერთი და იგივეა, მეტიც იდენტურია, ამიტომ ამ ცნობიერებით ნასაზრდოებ და გაჯერებულ სოციალურ საზოგადოებას, ისევე როგორც მის წმინდა ცნობიერებას, მყარი საყრდენი სჭირდება, რათა ის არ დაიშალოს, ქაოსში არ დაბრუნდეს, ანუ იმ დროში როდესაც არაფერი, თვით საზოგადოებაც არ არსებობდა. ასეთი საყრდენი ამგვარი სოციალური საზოგადოებებისა მისი მთავარი ანუ ბელადი ან მეფეა, რომელიც გარკვეულწილად თვით ამ საზოგადოების განმასახიერებელი სიმბოლოა. მაგრამ თვით ამ სიმბოლოს სჭირდება სიმბოლური გამოსახულების საგანი, რომლის ფლობის წყალობითაც სოციალურმა ინდივიდმა უნდა ირწმუნოს მთავრის, მეფის ფუნქცია - სამყაროსეული და შესაბამისად სოციალური წესრიგის, ანუ მიკრო და მაკრო კოსმოსების მყოფობის გარანტიისა. ასეთ სიმბოლოებად სამეფო ძალაუფლებისა მითოსში წარმოჩნდებიან ხოლმე კვერთხი, რქადასხმული გვირგვინი, ოქროს საწმისი და სხვ. ნინო შანშაშვილი ამ შემთხვევაშიც სწორად უკავშირებს ამ სიმბოლოებს ორმაგი სპირალის მხატვრულ გამოსახულებებს და საერთოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანად კარგადაა გააზ-

რებული სინკრეტული ცხოვრების წესი მითოსური ცნობიერების საზოგადოებისა.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ისიც, რომ ავტორი საკმაოდ სწორად ოპერირებს იმ უხვი მითოლოგიური ფაქტობრივი მასალით, რომელიც მას აქვს გამოყენებული და რაც არც თუ ისე იოლი საქმეა.

შენიშვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ უმჯობესი იქნებოდა ავტორის „კოსმიური ხე“ და ბიბლიური „სიცოცხლის ხე“ რიგ შემთხვევაში ერთმანეთთან არ გაეგივიებინა, რამეთუ ჯერ ერთი, არც ერთ ძველ მითოლოგიურ ტექსტებში „სიცოცხლის ხე“ არ ფიგურირებს, რაც მეცნიერულად საკმაო დამაჯერებლობითაა დადასტურებული და მეორე, ეს ორი ცნება შინაგანად შინაარსობლივად საკმაოდ განსხვავებული არსისი მატარებლები არიან.

დასასრულ, ვუსურვებთ ნინო შანშაშვილს გაეგრძელებინოს ასეთი წარმატებული კვლევა-ძიება ძველი საქართველოსა და საერთოდ ძველი კულტურების კვლევაში, ისე როგორც სარეცენზიო ნაშრომშია წარმოდგენილი.

მამუკა ბერიაშვილი

ქრონიკა

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 1997 წელს

სამეცნიერო სესიები

29 აპრილს – 3 მაისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა დაარსებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად ჩაატარა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო სესია თემაზე „კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები“. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები თბილისიდან, ბათუმიდან, მოსკოვიდან, ვლადიკავკაზიდან, მაჰაჩყალიდან, ბაქოდან, ერევნიდან და მაინციდან (გერმანია).

სესია გახსნა და მოხსენება „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი დაარსებიდან 20 წლის თავზე“ წაიკითხა ცენტრის დირექტორმა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ. სესიაზე წაკითხული მოხსენებები მიეძღვნა საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ჩრდილო კავკასიასა და სირიაში უკანასკნელ წლებში სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს. გამსვლელი სხდომები მოეწყო ცენტრის თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმში, მცხეთაში, დუშეთსა და რუსთავში.

ცენტრში მოეწყო საგანგებო გამოფენა.

28 სექტემბერს – 3 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „კავკასიის იბერია (ქართლის სამეფო) და მისი მეზობლები აქემენიდურსა და პოსტაქემენიდურ ხანაში“, რომელიც პირველად მოიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა და გერმანიის ჰალეს უნივერსიტეტის კლასიკური არქეოლოგიის კათედრამ. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, გერმანიიდან, დანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნეს ცენტრის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ და ჰალეს უნივერსიტეტის პროფ. ა. ფურტვენგლერმა.

მოხსენებებში გაშუქებული იყო კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები და მათი ურთიერთობები აქემენიდურ ირანთან და მეზობელ ქვეყნებთან. გამსვლელი სხდომები ჩატარდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მცხეთაში, ძალისაში, დუშეთში, უფლისციხესა და კავთისხევში, სადაც მოისმინეს მოხსენებები, დაათვალიერეს არქეოლოგიური გათხრები და მასალები.

ცენტრში მოწყობილი იყო საგანგებო გამოფენა „ქართლის მოხატული კერამიკა“.

6-9 სექტემბერს ბულგარეთის ქ. ვარნაში მოეწყო პირველი საერთაშორისო პონტოს კონგრესი თემაზე „ბერძნები და რომაელები შავ ზღვაში და პონტოს რეგიონის მნიშვნელობა ბერძნულ-რომაულ სამყაროში ძვ.წ. VII-ახ.წ. V სს.“. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებები წაიკითხეს ოთ. ლორთქიფანიძემ, ვ. ჯაფარიძემ, ვ. ლიჩელმა და ნ. მათიაშვილმა.

არქეოლოგიური საუბრები

თებერვალ-აპრილში ჩატარდა არქეოლოგიური საუბრები („ოთხშაბათობები“), სადაც მოხსენებები წაიკითხეს ოთ. ლორთქიფანიძემ, კ. ფიცხელაურმა, გ. ფხაკაძემ, ირ. ლამბაშიძემ, მ. ფუთურიძემ, მ. ოდიშელმა, მ. ბარამიძემ, გ. გოგოჭურმა, გ. ჩიქოვანმა, მ. მუმლაძემ, გ. ბოლქვაძემ, მ. ჭირაქაძემ და მ. გაბუნია.

საგამოფენო სამუშაო

დეკემბერში, ერთი თვის განმავლობაში, საბერძნეთის საელჩოსა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინიციატივით ქ. სალონიკში მოეწყო გამოფენა „ოქრომრავალი კოლხეთი“, სადაც წარმოდგენილი იყო ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ოქროსა და ბრინჯაოს ნივთების ასლები, აგრეთვე ფოტომასალები.

სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლება

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადი-სერტაციო საბჭოზე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სპეციალობით დაცული იყო 9 დისერტაცია. აქედან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა: 1. ბ. მაისურაძემ. ცენტრალური ამიერკავკასია ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. ლითონის ნაწარმი. 10 აპრილს; 2. გ. ინანიშვილმა. რკინის წარმოება ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიაში ძვ.წ. XIII-I საუკუნეებში. 26 დეკემბერს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალი წევრები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად 3 ივლისს არჩეული არიან პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე და პროფ. კ. ფიცხელაური.

მონაწილეობა საზღვარგარეთის ქვეყნების ექსპედიციების მუშაობაში

ივლისის თვეში მეცნიერ თანამშრომლებმა გ. ჩიქოვანმა და გ. გოგოჭურმა მონაწილეობა მიიღეს დაღესტან-ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ექსპედიციის მუშაობაში (ხელმძღვ. პროფ. მ. გაჯიევი და პროფ. ფ. კოლი), რომელიც თსრ-ის ს. ველიკენტთან განლაგებულ ძვ.წ. IV ათასწ. მეორე ნახევ. – III ათასწ. პირველი ნახევ. ნამოსახლარს და სამაროვანს.

ექსპედიციები

- 1) გურიის (ვ. სადრაძე);
- 2) ვანის (ოთ. ლორთქიფანიძე);
- 3) დმანისის (I. კოპალიანი, მ. ნიორაძე) ქ. მაინცის გერმანულ-რომაულ მუზეუმთან ერთად;
- 4) ეგრისის (ვ. ჯაფარიძე);
- 5) კასპის (ზ. მახარაძე);
- 6) კახეთის (კ. ფიცხელაური) გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან და ჰალეს უნივერსიტეტთან ერთად;
- 7) კოლხეთის (თ. მიქელაძე);
- 8) კუხეთის რუსთავის (ც. ჩიკოიძე);
- 9) მესხეთის (ვ. ლიჩელი) მონრეალის მაკ-გილის უნივერსიტეტთან ერთად;
- 10) ნასტაკისის (ნ. მირიანაშვილი);
- 11) სამხრეთ საქართველოს მთიანეთის (მ. გაბუნია)
- 12) სვანეთის (შ. ჩართოლანი);
- 13) ქუთაისის (ო. ლანჩავა);
- 14) შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური (გ. გამყრელიძე);
- 15) წალკის (გ. ნარიმანიშვილი).

მივლინებები საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში

ცენტრს დამყარებული აქვს მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან. სხვადასხვა ვადით საზღვარგარეთ იყვნენ: ოთ. ლორთქიფანიძე (გერმანია, საბერძნეთი, ირანი); ოთ. ჯაფარიძე (თურქეთი); კ. ფიცხელაური (გერმანია); მ. ნიორაძე (გერმანია, ბელგია); ვ. ლიჩელი (საბერძნეთი); გ. გამყრელიძე (თურქეთი); ნ. სულავა, ირ. ღამბაშიძე, დ. ახვლედიანი (გერმანია); დ. კაჭარავა (ინგლისი, გერმანია); მ. აბრამიშვილი (საბერძნეთი); პ.

ბუხრაშვილი (პოლონეთი); გ. ქავთარაძე (გერმანია).

ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარი

შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილება რამდენიმე წელია ატარებს კონფერენციებს და სემინარებს ქრისტიანულ არქეოლოგიაში. საანგარიშო წელს სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს რ. რამიშვილმა და გ. ბოლქვაძემ.

ცენტრის ბიბლიოთეკის ურთიერთობა სხვა ბიბლიოთეკებთან

ცენტრის ბიბლიოთეკის შევსება ახალი ლიტერატურით ხდება გაცვლითი ფონდის საშუალებით. წიგნები გადმოგვცეს: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმმა, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა.

წიგნები მიღებულია მოსკოვიდან, სანქტ-პეტერბურგიდან, ბაქოდან, ერევნიდან, ვლადიკავკაზიდან, მაჰაჩყალიდან, ანკარადან (დიდი ბრიტანეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი), ბუქარესტიდან (არქეოლოგიის ინსტიტუტი) და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს ცენტრმაც გაუგზავნა წიგნები.

ხსოვნა

ლორთქიფანიძე მარგარიტა ნიკოლოზის ასული (13.X.1921, ბათუმი – 20.V.1997, თბილისი). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1959). დაამთავრა თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი (1942). 1943-1960 მუშაობდა საქართველოს სახელმწ. მუზეუმში უმცროს მეცნ. თანამშრ., გლიპტიკის კაბინეტის სწავლულ მცველად, 1960 წლიდან უფროს მეცნ. თანამშ. 1961 წლიდან ისტ., არქეოლ. და ეთნ. ინ-ტშია უფროს მეცნ. თანამშრ., ხოლო 1986 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნ. თანამშრ.

1945-1948 მონაწილეობდა მცხეთის არქეოლ. ექსპ. მუშაობაში. დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სახელმწ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტის ჩამოყალიბებაში და იქ დაცული მასალების პუბლიკაციაში, მის მიერ დაფუძნებულ კატალოგში „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები“ (I-IV).

მ. ლორთქიფანიძის ნაშრომებში მოცემულია საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი გლიპტიკური ძეგლების ღრმა მეცნიერული და მხატვრულ-სტილისტუ-

რი ანალიზი, ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, განსაზღვრულია საწარმოო ცენტრები და წარმოდგენილია ურთიერთობანი გარე სამყაროსთან ანტიკურ ხანაში.

მ. ლორთქიფანიძე მონაწილეა საერთაშორისო კონგრესებისა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი, იუგოსლავია, უნგრეთი), სადაც წაკითხული აქვს მოხსენებები.

ავტორია 50-მდე სამეცნიერო ნაშრომისა. ზოგი დაბეჭდილია უცხოეთში.

1977 წელს ისტ., არქეოლ. და ეთნ. ინ-ტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით მიენიჭა საინსტიტუტო პრემია ნაშრომისათვის „კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი)“.

თხზ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. I, თბ., 1954, 104 გვ.; II, თბ., 1958, 126 გვ.; III, თბ., 1961, 88 გვ.; IV, თბ., 1967, 118 გვ.; ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. I, თბ., 1969, 160 გვ.; კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები. თბ., 1975, 126 გვ.; უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან. თბ., 1981, 134 გვ.

ურუშაძე ნინო ეგვანის ასული

(12.VII.1917, სანქტ-პეტერბურგი – 7.IX.1997, თბილისი). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1970). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1946). მუშაობდა მხატვრად სხვადასხვა დაწესებულებებში, მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. 1966-1970 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი. 1971-1981 საქართველოს სახელმწ. მუზეუმის უფროსი მეცნ. თანამშრ. 1981-1996 ისტ., არქეოლ. და ეთნ. ინ-ტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნ. თანამშრ.

ნ. ურუშაძის კვლევა-ძიების ძირითადი მიმართულება იყო საქართველოში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსური შესწავლა ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ხელოვნებათმცოდნეობის ასპექტების ერთიანობაში.

წაკითხული აქვს მოხსენებები სამეცნიერო სესიებზე თბილისში, ბაქოში, ერევანში, მოსკოვში, ნოვოსიბირსკში, ტაშკენტში. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

თხზ.: Бронзовая летопись древней Грузии. Тб., 1984, 120 с.; древнегрузинское пластическое искусство. Тб., 1988, 183 с.; Древнейшие памятники фигуративной пластики Грузии. – Мацне. Серия истории..., № 2, 1986, с. 87-102; Изобразительная символика палеолита Грузии. Тб., 1989, 130 с.; Бронзовый пояс из Набагреби. – Мцхета, т. IX, 1989, с. 155-159.

რობაქიძე ცისანა ვიქტორის ასული (20.

V.1946, ს. ტელეფა, თერჯოლის რ-ნი – 20.XI.1997, თბილისი). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1972). 1974 წლიდან ისტ., არქეოლ. და ეთნ. ინტ-ის უფროსი ლაბორანტი, 1986 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი.

ც. რობაქიძის მეცნიერული საქმიანობა დაკავშირებული იყო ჟინვალის, შემდგომში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან, რომელიც მუშაობდა არაგვის ხეობის ახალმშენებლობებზე. მისი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით გაითხარა არაგვისპირის, ბაგიჭალის, ჟინვალის, თალთების, საკრამულის, ნეძინის, ბადრიანების სამაროვნები და სხვა ძეგლები.

სადისერტაციო თემა იყო არაგვის ხეობა გვიანრომაულ ხანაში.

მონაწილეობა აქვს მიღებული საანგარიშო სესიებში, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და დუშეთის სამეცნიერო კონფერენციებში.

დიდი წვლილი აქვს შეტანილი დუშეთის არქეოლოგიური ბაზის კეთილმოწყობაში.

გამოქვეყნებული აქვს 20-მდე ნაშრომი.

თხზ.: არაგვისპირის სამაროვნის თიხის ჭურჭელი. – აბ, 1982, გვ. 85-92; არაგვისპირის სამაროვნის სამკაული. – აბ, 1985, გვ. 87-92; სამაჯურები არაგვის ხეობის გვიანრომაული ხანის სამაროვნებიდან. – აბ, 1986, გვ. 76-91; ნეძინის სამაროვანზე მოპოვებული მცირე პლასტიკის ნიმუშები. – ძმ, № 1, გვ. 67-71.

გამოქვეყნებული ნაშრომები

1. **აბრამიშვილი რ.** ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. – არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, №1, 1997, თბ., გვ. 3-22.

2. **ამირანაშვილი ჯ.**, საკრაველის სამაროვანი. – ძმ, №3, 1997, გვ. 15-17.

3. **არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.** ბიბლიოგრაფია. 1977-1996. თბ., 1997, 224 გვ. შემდგენლები: ნ. ბერძნიშვილი, თ. გოგიძე, რ. ლეჟავა, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ლამბაშიძე. რედაქტორი დ. კაჭარავა.

4. **ბუნრაშვილი ზ.** „საწარმოო ფსიქოლოგიისა“ და ნაციონალური ცნობიერების ურთიერთმიმართებისათვის. – დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ქუთაისური საუბრები – IV. ქუთაისი, 1997, გვ. 38-39.

5. **გაბრიაძე ა.** „აყვავებული ჯვარი“ ქუთაისის ციტადელიდან. – ძმ, № 4, 1997, გვ. 45-48.

6. **ვაგოშიძე ი., ყიფიანი გ.** სვეტი კავთისხევის ციხიავორიდან. – ძმ, № 3, 1997, გვ. 8-11.

7. **გამყრელიძე გ.** კოლხი მედეას სახე სოხუმის სტელიდან. – ძმ, № 4, 1997, გვ. 3-15.

8. **გურია. II.** მხარის კვლევა-ძიების შედეგები. თბ., 1997, 297 გვ. რედაქტორი ვ. საღრაძე.

[ვ. საღრაძე, რ. დავლიანიძე, ბ. მურვანიძე, კ. კალანდაძე, ზ. კალანდაძე, კ. კახიანი, თ. ჭანიშვილი, რ. პაპუაშვილი, გ. დუნდუა, თ. თოდუა, მ. ოდიშელი, გ. კვიციანი, მ. ჭირაქაძე, ვ. ლიჩელი].

9. **თოდუა თ.** რომაული კოლონიზაცია და საქართველოს შავიზღვისპირეთი. – საქართველო, ევროპა, ამერიკა, – № 1, 1997, გვ. 19-25.

10. **კავკასიის არქეოლოგია:** უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1997, 113 გვ. რედაქტორები: ოთ. ლორთქიფანიძე, ბ. ჯორბენაძე.

[ოთ. ლორთქიფანიძე, დ. ახვლედიანი, მ. ბარამიძე, მ. გაბუნია,]. კოპალიანი, ვ. ლიჩელი, ზ. მახარაძე, გ. ნარიშკინი, ნ. შანშაშვილი, მ. ნიორაძე, რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, კ. ფიცხელაური, ბ. მაისურაძე, გ. ფხაკაძე, შ. ჩართლანი, ც. ჩიკოძე, ვ. ჯაფარიძე].

11. **კავლელაშვილი ე., ჩინლაძე ვ.** საბეჭდავი ჟინვალისა და შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. ნარკვევები, III, თბ., 1997, გვ. 85-96.

12. **ლორთქიფანიძე ოთ.** თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმი. – ძმ, № 3, 1977, გვ. 3-4.

13. **ლორთქიფანიძე ოთ.** წინათქმა. – არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1, 1997, თბ., გვ. 1-2.

14. **მახარაძე ზ.** ციხიაგორა. – ძმ, № 3, 1997, გვ. 5-7.

15. **მინდორაშვილი დ.** სასანური გემები გველეთის სამაროვნიდან. – ძმ, № 4, 1997, გვ. 16-22.

16. **მუმლაძე მ., ორჯონიკიძე ა.** გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხები ჯავახეთიდან. თბ., 1997, 21 გვ. პრეპრინტი.

17. **ნარიშკინი გ.** ქართლში წითლად გამომწვარი კერამიკის გავრცელების შესახებ. – სსმ, ტ. XLII-B, 1997, გვ. 180-182.

18. **ორჯონიკიძე ა.** ზოგი რამ ბრინჯაოს ხანის შესწავლის ისტორიიდან მესხეთ-ჯავახეთში. თბ., 1997, 11 გვ. პრეპრინტი.

19. **რამიშვილი რ., წითლანაძე ლ., ჯორბენაძე ბ.** ძვ.წ. VII-III სს. ძეგლები დუშეთის რაიონში. – ძმ, № 3, 1997, გვ. 12-14.

20. **რამიშვილი ქ., შატბერაშვილი ვ.** ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები ეცოს სამაროვნიდან. – ძმ, № 3, 1997, გვ. 20-23.

21. **რედაქტორისგან** [მ. აბრამიშვილი]. – არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1, 1997, თბ., გვ. 1.

22. **რჩეულიშვილი გ.** ჟინვალის ნაქალაქარის გარეუბნის ხუროთმოძღვრება. – საქართველოს მოამბე, № 2, 1997, თელავი, გვ. 211-218.

23. **საღრაძე ვ.** სამთავროს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1997, 68 გვ.

24. **საქართველოს ენციკლოპედია.** ტ. I, თბ., 1997, 622 გვ.

[გ. ჩიქოვანი, გ. გოგოჭური, ც. ლომიძე, ქ. ბუაჩიძე, გ. ლომთათიძე, ა. კალანდაძე, გ. დუნდუა, თ. ჩიქოვანი, ზ. კალანდაძე, ო. ტყეშელაშვილი, რ. აბრამიშვილი, ივ. წიკლაური, გ. რჩეულიშვილი, ა. აფაქიძე, შ. დედაბრიშვილი, რ. რამიშვილი, კ. ფიცხელაური, ი. ჯალაღანია, გ. ცქიტიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე, ტ. ჩუბინიშვილი, თ. მიქელაძე,]. წიკლაური, ნ. ლოლობერიძე, დ. მინდორაშვილი, ც. რობაქიძე, დ. გოგელია, ს. მარლიშვილი, ლ. წითლანაძე, ბ. ჯორბენაძე, ნ. მუხიგულაშვილი, კ. კვიციანიძე, ლ. წერეთელი, მ. ბარამიძე, ნ. მირიანაშვილი, დ. თუშაბრამიშვილი, ე. ჯანდიერი, ა. ბუჩუკური, გ. გობეჯიშვილი, რ. ფუთურიძე].

25. **ქურდიანი მ., ჭირაქაძე მ.** ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ნორმალიზაციის საკითხისათვის. – სამხედრო ტექნიკა, №2, 1997, თბ., გვ. 97-101.

26. **ყიფიანი გ.** ბერიკლდეები, გალავანი და ტაძარი. – სსმ, XLII-B, 1997, გვ. 13-57.

27. **ყიფიანი გ.** კედლის ბურჯთა კორინთული კაპიტელები სვეტიცხოვლის ეზოდან. – შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. ნარკვევები, III, თბ., 1997, გვ. 61-64.

28. **ყიფიანი გ.** „ულევი ჭურჭელი“ ბაგრატიის ტაძრის მორთულობაში. – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გ. ჩუბინაშვილის ხსოვნისადმი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1997, გვ. 19-20.

29. **ყიფიანი გ.** შეწირულობანი ბამბების ველზე. – საქართველოს შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. საგაზაფხულო სამეცნიერო სესია ეძღვნება]. ნადირაძის ხსოვნას. მოხსენებათა თეზისები და პროგრამა. თბ., 1997, გვ. 12-13.

30. **ყიფიანი გ.** ძველი ვანის ხუროთმოძღვრება. – ძმ, №1, 1997, გვ. 54-60.

31. **შანშაშვილი ნ.** მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი ორნამენტის ინტერპრეტაციისათვის. თბ., 1997, 25 გვ.

32. **შატბერაშვილი ვ.** ეცოს სამაროვანი. – ძმ, №3, 1997, გვ. 18-19.

33. ჩიქოვანი გ. აღრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი სოფ. ჩინთიდან. „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტი. პროფესორ-მასწავლებელთა IV რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და თეზისები. თბ., 1997, გვ. 60-61.

34. წიკლაური ივ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ვაინახური სამყაროს ეთნო-კულტურული ურთიერთობიდან. – დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ქუთაისური საუბრები – IV. ქუთაისი, 1997, გვ. 116.

35. ჭირაქაძე მ., არქეოქეტის ფორმოზოლოგი ალწერის პრინციპები. თბ., 1997, 11 გვ.

36. ჭირაქაძე მ. „არქეოლოგიური ალწერისა“ და „ალწერთი არქეოლოგიის“ ცნებებრივი მიმართების საკითხისათვის. – მეცნიერება და ტექნიკა, №1-3, 1997, გვ. 117-121.

37. ჭირაქაძე მ. ლექსიკოლოგიის ძირითად ცნებათა სისტემა. – სმამ, 156, №1, 1997, გვ. 174-176.

38. ჭირაქაძე მ. ლექსიკოგრაფიის ძირითად ცნებათა სისტემა. – სმამ, 156, №3, 1997, გვ. 168-171.

39. ჭირაქაძემ მ. ქართველურ ენათა ლექსიკა – არქეოლოგიური ტერმინოლოგიის წყარო. – არნ. ჩიქობავას საკითხავები. VII. მუშაობის გეგმა და თეზისები. თბ., 1997, გვ. 31-32.

40. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბ., 1997, 168 გვ. რედაქტორი მ. ბარამიძე.

41. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობი და გარე სამყარო ბრინჯაოს ხანაში. – საქართველო, ევროპა, ამერიკა, №1, 1997, გვ. 13-18.

42. ჯორბენაძე ბ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 20 წლისა. – ძმ, №2, 1997, გვ. 29-30.

43. ჯორბენაძე ბ. სამეცნიერო სესია მიძღვნილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ოცი წლისთავისადმი. – საქართველო, ევროპა, ამერიკა, №2, 1997, გვ. 152-153.

44. ჯორბენაძე ბ. სოფელ გუდრუხის სათაოს სამაროვანი. – ძმ, №2, 1997, გვ. 31-34.

45. ლორდკიპანიძე ო. დ. Божества города Фасиса (Аполлон или Аполлинарная Триада?). – ВДИ, '1, 1997, с. 15-34.

46. Полевые археологические исследования в 1988 году. Тб., 1997, 117 с.

47. Archaeology of Caucasus: new discoveries and perspectives. International Scientific Session: Abstracts of Papers. Tbilisi, 1997, 93 pp. Editors: O. D. Lordkipanidze, B. A. Jorbenadze, A. A. Tchanturia.

[O. Lordkipanidze, D. Akhvlediani, M. Baramidze, Sh. Chartolani, Ts. Chikoidze, M. Gabunia, G. Ghambashidze, V. Japaridze, J.

Kopaliani, V. Licheli, Z. Makharadze, G. Narianishvili, N. Shanshashvili, M. Nioradze, K. Pitskhelauri, B. Maisuradze, G. Phhakadze, R. Ramishvili, B. Jorbenadze].

შემდგენელი ბესარიონ ჯორბენაძე

ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ
В 1997 ГОДУ

(Резюме)

В хронике приводятся сведения о научных сессиях, археологических беседах, экспедициях, заграничных поездках, защищенных диссертациях и других мероприятиях проведенных в Центре.

Некрологи посвящены памяти М. Н. Лордkipanidze, Н. Е. Урушадзе и Ц. В. Робакидзе.

В конце прилагается список опубликованных научных работ сотрудников Центра.

Составитель В. А. Джорбенадзе.

CENTRE FOR ARCHAEOLOGICAL
STUDIES IN 1997

(Summary)

The annual report includes information on: scientific sessions, archaeological dialogues, expeditions, foreign travel, dissertations and other events held in the Centre.

There are obituaries of M. Lordkipanidze, N. Urushadze, Ts. Robakidze.

At the end there is a list of publications by members of the Centre.

by B. Jorbenadze